საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№15 (580)
28 აპრილი - 11 მაისი, 2021
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 12 მაისს**

## დასავლეთი, რომელიც ჩაგვძახის, — დემოკრატიის აშენებაში გეხმარებითო, ცხოვრების დღის წესრიგს გვიდგენს

2





ვაჟა ოთარაშვილი:

## გამოსაძიებელია, ვინ აიძულა ეს ბავშვი, სარჩელი შეეტანა. 9 წლის ბავშვი, უბრალოდ, თამაშობს და ერთობა, რა სასამართლო და რა რეპროდუქციული ჯანმრთელობა?!

11

## ვისაც ჩავაცვი, მან გამხადაო



ე.წ. ახალი ადამიანის კულტივირება — უზნეო, უტრადიციო, კაცობადაკარგული, სიტყვის გამტეხი და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ასოციალური კულტის დამკვიდრება „ახალ საქართველოში“

8

## საქართველოს ძლიერი მფარველი სჭირდება, ძლიერი მოკავშირე კი არა

5



## შერხანი და მისი ტაბაკები

14-15



«რუსეთის პასუხი მკაცრი იქნება!»

## საიდან მოაფიქრდა პრეზიდენტს დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავი მონუმენტის გადაკეთება?

4



## მოსახლეობაზე იზრუნეთ, ბატონებო, დაგჭირდებათ ეს ხალხი... ხალხი თუ არა, ხმები დაგჭირდებათ, ვილაცაა ხომ უნდა დაგდოთ იმ სკამებზე, რომლებსაც ვერ ელევით!

3





ლევან ჩაჩუა:

## ხელისუფლება ცინიზმით პასუხობს ხალხის სამართლიან მოთხოვნებს

10

„ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობასთან“ ტანდემში განაგრძობს ქვეყნის მიწა-წყლის გაყიდვას“

«სტრატეგიული პარტნიორები»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც კი 9 წელს ახსენებ, მშვიდად გიპასუხებენ: ეგ თემა დაძველდა, რამე ახალი მოიფიქრეთო. რა დაძველდა? კასტილიანი კაცის ვიდეო დაძველდა? მინისტრებისა და დეპუტატების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება დაძველდა? გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობა დაძველდა? სამეგრელოში აღმოჩენილი ვიდეოფაილები დაძველდა? ეს ყველაფერი ძველია და 20 ივნისის ღამეა ახალი? მიახლოებით მაინც წარმოგიდგენიათ, ნაციონალები ხელისუფლებაში რომ დაბრუნდნენ, რა სისხლიან კალოს დაატრიალებენ? როგორ და რა მასშტაბით, რა ხერხებით დაიწყებენ შურისძიებას?**

# დასავლეთი, რომელიც ჩაგვძახის, — დემოკრატიის აშენებაში გეხმარებითო, ცხოვრების დღის წესრიგს გვიდგენს

**27 აპრილი სიერა ლეონესა და ტოგოს დამოუკიდებლობის დღეა. ასეა კალენდარში შესული და, სავარაუდოდ, ორივე ქვეყანაში მოკრძალებულად აღნიშნავენ. მოკრძალებულად იმიტომ, რომ მსოფლიოში პანდემია მძვინვარებს და მოერიდებიან ხალხმრავალ ზეიმებს. საქართველოს ისტორიის კალენდარზე კი ეს დღე მოინიშნება, როგორც პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ გიორგი რურუას შეწყალების დღე. დიახ, დაპირებისამებრ, პრეზიდენტმა „ჟორიკა“ რურუა ციხიდან შეწყალებით გამოუშვა და ეს მაშინ, როცა შეწყალების კომისიას, საერთოდ, არ ამუშავებს, საქმეებს კარგად ვერ ვსწავლობ და ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდებაო. ისე, კითხვის ნიშნები ზურაბიშვილის მიერ შეწყალებულ მკვლელსა და ნარკორეალიზატორზე გაჩნდა და რატომ ჰგონია, რომ რურუაზე არ გაჩნდება, ძნელი სათქმელია. იმ რურუაზე, რომელსაც თამარ თორაძე ხელს ადებს, მთელი ოჯახი ამომიწყვიტა, პირადად ვუყურებდი, ძმები როგორ დამიხოცაო.**



**სუვერენული ქვეყანა რომ გქვია, რატომ დადიხარ სხვის ჭკუაზე? გაგვახსენეთ ერთი, ერთადერთი ფაქტი მაინც, როცა ხელისუფლებასა და ოპოზიციას ძალით მოაწერინეს ხელი დოკუმენტზე, რომელიც ევროპაში დაწერეს. გაგვახსენეთ ერთი ქვეყანა მაინც, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კვოტა დაუწესეს: თუ ამდენ პროცენტზე ნაკლებს აიღებთ, სხვა არჩევნებს დაგინიშნავთო. ვერ დაასახელებთ, იმიტომ, რომ საქართველოსავით დამონებულ-დაბეჩავებული არავინ ჰყავთ**

„1992 წლის თებერვალში ძმებ თორაძეებს (ლაშას, კახასა და იმედოს) და მათ მეგობარს, ვინმე გელას, „მხედრიონმა“ ნუცუბიძის პლატოზე ცეცხლი გაუხსნა. ძმები დაიჭრნენ, მათი მეგობარი კი დაიღუპა. 1992 წლის 3 მარტს, დედ-მამამ, ზაურ თორაძემ და იზო ქურხული-თორაძემ, ლაშა ექიმთან ჭრილობის გადასახვევად წაიყვანეს. თორაძეები ექიმისგან შინ კუთვნილი თეთრი „ვაზ 21-07“ მარკის ავტომანქანით ბრუნდებოდნენ, როცა ვერის სასაფლაოსთან თორაძეების ოჯახის სამივე წევრი ჩაცხრილეს. ამის შემდეგ შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა თორაძეების სახლს ალყა შემოარტყეს. ოჯახში დარჩენილ მამაკაცებს მეზობელთან მიაგნეს, სადაც ორი შეიარაღებული პირი შეიჭრა. მათ ავტომატის ჯერით დაცხრილეს იმედო და კახა თორაძეები. ამ სასტიკ მკვლელობას სხვებთან ერთად შეესწრო თორაძეების მცირეწლოვანი და — თამუნა, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ტრაგედიის დღეს თორაძეების უფროსი შვილი, ზაზა თორაძე, შინ არ იმყოფებოდა. იგი დილით გავიდა სახლიდან და მას შემდეგ აღარავის უნახავს. ორი წლის შემდეგ კი 17 წლის პაატა თორაძეც გაუჩინარდა,“ — ეს არის მცირე ამონარიდი იმ საქმიდან, რომელსაც, უკვე წლებია, თამარ თორაძე ადგილიდან ვერ ძრავს. მისი სარჩელი გენერალურ პროკურატურაში, დიდი ხანია, დევს, მაგრამ ამაოდ.

რურუას გათავისუფლების პარალელურად, საქართველოს პარლამენტი მუშაობს ამნისტიის კანონზე, რომელმაც 2019 წლის 20 ივნისს პოლიციასა და მომიტინგეებს შორის მომხდარი დაპირისპირების შედეგად ყველა ბრალდებული უნდა გაამართლოს და სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტოს. ეს იმიტომ ხდება, რომ ციხიდან **ნიკა მელია** გამოვიდეს, კაცი, რომელსაც ბრალად სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ედება. ჰო, **პროკურატურა მელიას პარლამენტში შევარდნის მცდელობას ედავება, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც, აუცილებლად გამოჩნდებოდა ერთი ჭიქა ჩაი და ახალ რევოლუციას მივიღებდით. ძალიან ცინიკურია მელიას მოწოდება, რომელმაც ოპოზიციონერ დეპუტატებს ციხიდან შემოუთვალა: თუ ჩემთან ერთად იმ პოლიციელებსაც შეახებენ ამნისტიას, რომლებმაც რეზინის ტყვიები გამოიყენეს, ამნისტიის კანონს მხარი არ დაუჭიროთო. მელია პირდაპირ ამბობს: ის ადამიანები თუ არ გასამართლდებიან, რომლებმაც სახელმწიფო გადატრიალებაში ხელი შემიშალეს, მაშინ ამნისტია არ მინდაო.** მელიას, რომელიც ნაცტელევიზიებმა ლამის ეროვნულ გმირად გამოაცხადეს, ერთხელაც არ წამოსცდენია, მისი პარტიის ზეობის პერიოდში, ასეულობით ადამიანი რომ აწამეს, მოკლეს და გააუპატიურეს, რატომ არავინ დაისაჯაო. ჰო, არავინ დასჯილა, ერთეულების გარდა და ეს მაშინ, როცა წამება-მკვლელობა-გაუპატიურებაში მთელი სახელმწიფო მანქანა იყო ჩართული, მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს იღებდნენ, აშანტაჟებდნენ, უსმენდნენ, დევნიდნენ, ქონებას ართმევდნენ. ამაზე ხმას უკვე არავინ იღებს, **როგორც კი 9 წელს ახსენებ, მშვიდად გიპასუხებენ: ეგ თემა დაძველდა, რამე ახალი მოიფიქრეთო. რა დაძველდა? კასტილიანი კაცის ვიდეო დაძველდა? მინისტრებისა და დეპუტატების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება დაძველდა? გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობა დაძველდა? სამეგრელოში აღმოჩენილი ვიდეოფაილები დაძველდა? ეს ყველაფერი ძველია და 20 ივნისის ღამეა ახალი? მიახლოებით მაინც წარმოგიდგენიათ, ნაციონალები ხელისუფლებაში რომ დაბრუნდნენ, რა სისხლიან კალოს დაატრიალებენ, როგორ და რა მასშტაბით, რა ხერხებით დაიწყებენ შურისძიებას?** თუ ვინმე ფიქრობს, რომ **გივი თარგამაძე, ვანო მერაბიშვილი** ან **გიგა ბოკერია** გაკეთილშობილდნენ და ახლა სხვანაირად აზროვნებენ? თუ ქართველი ერის მაგინებელი **თემურ ალასანია** პარლამენტის აივნიდან თეთრ თაიგულებს გადმოაყრის თავზე ყველას?!

ისევ რურუას დავუბრუნდეთ. ძალიან პატარაა საქართველო საიმისოდ, მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცოდეს ჟორიკა რურუას საქმენი საგმირონი. გენერალური პროკურატურა თუ მოინდომებს, ათეულობით მოწმეს ნახავს, რომლებიც რურუას ქმედებებს დეტალებში მოყვებიან, მაგრამ არა — **იმდენი მოვახერხეთ, რომ დასავლეთს რურუა, პრაქტიკულად, პოლიტპატიმრად ვაღიარებინეთ და პრეზიდენტი ვაიძულეთ, შეწყალების აქტი გამოეცა. ჰო, მაიძულესო, ასე თქვა თავად, ჩემთან შეთანხმების გარეშე გააკეთა მმართველმა გუნდმა განცხადება, გამოსავალი პრეზიდენტის გადაწყვეტილებაშია და მერე ევროპამ და ამერიკამ ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობაო.** პრეზიდენტმაც დასავლელი პარტნიორების წნეხს ვერ გაუძლო, ზუსტად ისე ვერ გაუძლო, როგორც ეს პარლამენტარებმა და მინისტრებმა ვერ მოახერხეს და დოკუმენტს, რომელზეც აგდებულად საუბრობდნენ, ხელი მოაწერეს, განხილვაც დაიწყეს და ტაშის გრიალით მიიღებენ კიდეც.

**რა გამოვიდა? დასავლეთის ზეწოლით, რურუა ციხიდან უნდა გამოვუშვათ, 20 ივნისის მონაწილე პოლიციელები არ შევიწყალოთ, ის პოლიციელები, რომლებმაც მომიტინგეებს პარლამენტზე შტურმი არ განახორციელებინეს და არ გავასამართლოთ ის კასტილიანი კაცი, რომელიც „საქმეზე“ მეგის ქარდავას მიერ მიცემული 20 ლარის სანაცვლოდ მიდიოდა?!** იმ მეგისას ქარდავასი, უკრაინაში რომ დააკავეს და უკრაინიდან, ჩვენი მეგობარი ქვეყნიდან, საქართველოში ვერ ჩამოიყვანეთ. 2017 წელი იყო მაშინ და ქართული მხარე ირწმუნებოდა, უკრაინული კანონმდებლობაა ჩახლართული, ერთი წელი გვჭირდება ექსტრადაციისთვისო. 2017 წელი იყო მაშინ და ახლა იციან, **საერთოდ, სად არის ქარდავა? ვინმემ აგვიხსნა, რატომ არ ჩამოიყვანეს? ჩვენ გეტყვით: დასავლეთმა არ აანთო მწვანე შუქი, რადგან ქარდავას, შესაძლოა, ისეთი რამ ჰქონოდა, რაც პირდაპირ დაამტკიცებდა, რომ ყველაფრის თავი მიხეილ სააკაშვილი იყო. „დემოკრატიის შუქურას“ კი ჩრდილს როგორ მიაყენებდა დასავლეთი?! იმავე მიზეზით არ ჩამოიყვანეს დათა ახალაია და იმავე მიზეზით ხელშეუხებელია ზურაბ ადეიშვილი. ამ ყველაფრის უფლება დასავლეთმა არ მოგვცა.** სწორედ ევროპელმა და ამერიკელმა პარტნიორებმა აიძულეს საქართველოს ხელისუფლება, დამნაშავეები არ დაესაჯა და უფრო მეტიც, ჩვენი კანონმდებლობით მისჯილები სხვადასხვა ქვეყანაში თანამდებობებზე დაენიშნა. ასე დაინიშნა ადეიშვილი უნგრეთში იუსტიციის სამინისტროში მრჩევლად, სააკაშვილი კი...

**სად არის მეგის ქარდავა? ვინმემ აგვიხსნა, რატომ არ ჩამოიყვანეს? ჩვენ გეტყვით: დასავლეთმა არ აანთო მწვანე შუქი, რადგან ქარდავას, შესაძლოა, ისეთი რამ ჰქონოდა, რაც პირდაპირ დაამტკიცებდა, რომ ყველაფრის თავი მიხეილ სააკაშვილი იყო. «დემოკრატიის შუქურას» კი ჩრდილს როგორ მიაყენებდა დასავლეთი?! იმავე მიზეზით არ ჩამოიყვანეს დათა ახალაია და იმავე მიზეზით ხელშეუხებელია ზურაბ ადეიშვილი. ამ ყველაფრის უფლება დასავლეთმა არ მოგვცა**

**დასავლეთი, რომელიც ჩაგვძახის, დემოკრატიის აშენებაში გეხმარებითო, ცხოვრების დღის წესრიგს გვიწესებს,** მათ გარეშე არათუ იმას ვერ ვსაზღვრავთ, როგორი უნდა იყოს ქვეყნისთვის უმთავრესი — საგარეო კურსი, არამედ არჩევანის უფლებაც წართმეული გვაქვს; უფრო მეტიც, კვოტაც კი დაგვიწესეს, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მმართველი ძალა 43%-ზე მეტს ვერ მიიღებს, 4 წლით არჩეულ პარლამენტს, უმთავრეს საკანონმდებლო ორგანოს, წელიწად-ნახევარში ახლიდან აგვარჩევინებენ. ისე ჩანს, დასავლეთს არც ის მოეწონა, მათ მიერ ჩამოტანილ დოკუმენტზე ხელი მაშინვე რომ არ მოაწერა ხელისუფლებამ და ამიტომ **არჩილ თალაკვაძეს** პოსტი დაატოვებინეს, მის ნაცვლად კი **კახა კუჭავა** დანიშნეს. ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ **ირაკლი კობახიძეს** ამერიკაში დაუგეგმავი ვიზიტისას სწორედ კუჭავა ახლდა და შტატებში ვიცესპიკერად წასული კუჭავა სამშობლოში სპიკერად დაბრუნდა, ამერიკელთა დანაბარები გადასცა თალაკვაძეს და მანაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

მარტივი შეკითხვა — **სუვერენული ქვეყანა რომ გქვია, რატომ დადიხარ სხვის ჭკუაზე? გაგვახსენეთ ერთი, ერთადერთი ფაქტი მაინც, როცა ხელისუფლებასა და ოპოზიციას ძალით მოაწერინეს ხელი დოკუმენტზე, რომელიც ევროპაში დაწერეს; გაგვახსენეთ ერთი ქვეყანა მაინც, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კვოტა დაუწესეს: თუ ამდენ პროცენტზე ნაკლებს აიღებთ, სხვა არჩევნებს დაგინიშნავთო. ვერ დაასახელებთ, იმიტომ, რომ საქართველოსავით დამონებულ-დაბეჩავებული არავინ ჰყავთ.** აგერ კი თურქეთი და აზერბაიჯანი ამერიკას ემუქრებიან: სომხების გენოციდი როგორ აღიარა ბაიდენმაო?! ჰო, იმ ამერიკას, რომლიდანაც დირექტივებს, სატელეფონო ზარით კი არა, მესიჯებით იღებენ ხელისუფალნი და ახორციელებენ. როგორ ვიცხოვროთ, როგორი დღის წესრიგით, დასავლეთი გვიწესებს და იმასაც გვეუბნება, ეს ყველაფერი კუჭავამ უნდა შეასრულოს თუ თალაკვაძემ...

27 აპრილი სიერა ლეონესა და ტოგოს დამოუკიდებლობის დღეა. ჩვენც ამ დღეს ხომ არ ვიზეიმოთ? ერთი ფასი აქვს დღეს სიერა ლეონეს, ტოგოსა და საქართველოს დამოუკიდებლობას, რადგან ყველაფერი მხოლოდ ფურცელზე წერია.

**ბესო ბარბაქაძე**

**რატომ არ ვარისკებთ განგაშის ზარებს მაშინ, როცა მთელი მსოფლიო, პრაქტიკულად, საგანგებო მდგომარეობაზეა გადასული? რატომ არ ვუკრძალავთ საქართველოში შემოსვლას იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებშიც ჯერაც დაუდგენელი შტამის აფეთქებაა და არ იკურნება თუ ვერ იკურნება? თუ ჩვენ „ერი გულადი-პურადი“ ვართ და არ გვეკადრება?!**

ვაქცინაციის დილემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მოსახლეობაზე იზრუნეთ, ბატონებო, დაგჭირდებათ ეს ხალხი... ხალხი თუ არა, ხმები დაგჭირდებათ, ვიღაცამ ხომ უნდა დაგდოთ იმ სკამებზე, რომლებსაც ვერ ელევით!

**ხელისუფლების წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საქართველოში ეპიდვითარებას მოქალაქეების მხრიდან აცრებზე უარის თქმა ართულებს. იმის მიუხედავად, რომ მთავრობის წევრებისა და პარლამენტარების ნაწილი პირდაპირ ეთერში აიცრა, მოსახლეობაში მაინც უნდობლობაა და, წესით, ექვს თვეში მოსახლეობის 60% რომ უნდა აგვეცრა, ამ ტემპით ადამიანების ამ რაოდენობის ვაქცინაციას, სულ ცოტა, სამი წელი დასჭირდება. რა თქმა უნდა, არ ვამბობთ, რომ არავინ არ უნდა აიცრას, პირიქით — მთელი ცივილიზებული სამყარო აღიარებს, რომ ეს გამოსავალია, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: ხელისუფლება ვალდებულია, მოსახლეობას არჩევანი შესთავაზოს ყველა იმ ვაქცინისა, რომელიც აღიარებულია, და მხოლოდ ერთით აცრა არ დააძალოს ხალხს.**



რუსულ ვაქცინაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელიც საქართველოში, უბრალოდ, არ შემოიტანეს, მოსახლეობის უმრავლესობა „ფაიზერს“ ანიჭებს უპირატესობას, რადგან „ასტრა ზენეკამ“ უამრავი კითხვა გააჩინა. ჰოდა, „ფაიზერი“ არ გვაქვს, სამაგიეროდ, გვაქვს ჩინელებისგან ნაჩუქარი „სინოფარმი“, რომელსაც დანარჩენი მსოფლიო ერიდება, მაგრამ ჩინელებმა გვაჩუქეს და ხომ არ გადავყრით? ჰო, ისიც აღვნიშნოთ, შემოტანილი ვაქცინის ნაწილს ვადა მაისში გადის და იმედია, ვადაგასულს არაფერს გაგვიკეთებენ.

ახალი, ბრიტანული შტამის გამოჩენამ ქართველ ექიმებში შეშფოთება გამოიწვია, ბრიტანული შტამის შემთხვევებს ცალკე აღრიცხავდნენ, მაგრამ **ამირან გამყრელიძემ** რამდენიმე დღის წინათ დაუფარავად თქვა: უკვე იმდენი შემთხვევა გვაქვს, აღრიცხვას შევეშვით, აზრი აღარ აქვსო. ჰოდა, ისიც გაირკვა, რომ ამ ბრიტანულ შტამს ეფექტიანად მხოლოდ „ფაიზერი“ ებრძვის (რუსულ „სპუტნიკ V“-ის შესახებ ჩვენი მედიკოსები ინფორმაციას, უბრალოდ, არ გვაწვდიან). **რა გამოდის? დანარჩენ ვაქცინას ტყუილად ვიკეთებთ, რადგან ბრიტანული შტამისგან დაზღვეულები მაინც არ ვართ?** მხოლოდ ეს რომ იყოს, გამოსავალს კიდევ ნახავდა კაცი, მაგრამ...

**„ბრაზილიაში ვირუსმა მუტაცია განიცადა და ახალი, ბრაზილიური შტამი გვაქვს. ეპიდაფეთქებაა ინდოეთში, სადაც ასევე მუტაცია განიცადა ვირუსმა და ველოდებით ახალ ტალღას აფრიკიდან, სადაც ასევე სხვა სახე მიიღო ვირუსმა. სამწუხაროდ, ვერც ერთ ახალ შტამს უკვე რეგისტრირებული ვაქცინები ვერ ებრძვიან და ამიტომ საჭიროა ახალი ვაქცინა, რომლის შექმნაზე არაერთი ქვეყანა უკვე მუშაობს“,** — ეს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებაა.

მკაფიოდ ითქვა, რომ **24 აპრილს, 24 საათის განმავლობაში, მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირების რეკორდული რაოდენობა აღირიცხა — 893 000 ახალი შემთხვევა. კორონავირუსით დაინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ კი 147 მილიონს გადააჭარბა. სამწუხაროდ, 3.11 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა.**

ქართველი ექსპერტებიც კი არ მალავენ, რომ მსოფლიო ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ მიდის კატასტროფისკენ. საქმე ის არის, რომ ვირუსი მუდმივ მუტაციას განიცდის და უკვე შემუშავებული ვაქცინები ეფექტიანი აღარ არის. ახალ ვაქცინაზე მუშაობა კი აზრს კარგავს, რადგან ახალი მუტაციის შემდეგ, ისევ ახალი ვაქცინაა შესაქმნელი და გამოდის, წელიწადში ორჯერ კი არა, პრაქტიკულად ყოველი ახალი მუტაციის შემდეგ უნდა ავიცრათ, რაც არარეალურია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მუტაციიდან მუტაციამდე კომპანიები ვაქცინების საჭირო რაოდენობასაც ვერ დაამზადებენ და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არსებული ვაქცინები უკვე აღარ ვარგა, ერთი და ორი კი არა, არც ერთი აღარ ვარგა.

მსოფლიო უზარმაზარ საფრთხეს ინდოეთიდან ელოდება, ქვეყნიდან, სადაც დღეში ახალი შტამის მაჩვენებლით, სულ ცოტა, 350 ათასი ადამიანი ინფიცირდება და 2700 ადამიანი ყოველდღიურად იღუპება. ინდოეთში 17 მილიონ ადამიანზე მეტია ინფიცირებული, 190 ათასზე მეტი — გარდაცვლილი და პროცესი შეუქცევადად მიმდინარეობს. ანალოგიური ვითარებაა ბრაზილიაში, თუმცა იქ სხვა შტამია, ინდურისგან განსხვავებული, და ძალისხმევას შედეგი, უბრალოდ, არ მოაქვს. ბრაზილიაში გარდაცვლილთა რაოდენობამ 400 ათასს მიუკაკუნა და ეს კატასტროფაა.

**პრაქტიკულად, ყველა ქვეყანამ ინდოეთსა და ბრაზილიასთან საზღვარი ჩაკეტა, ამ ქვეყნების მოქალაქეებს არსად უშვებენ, თუმცა საქართველოში აკრძალვა არ არსებობს. მთავარია, საქართველოში შემოსვლის მსურველს ჯიბეში კოვიდზე ტესტის პასუხი ედოს და საზღვარს უპრობლემოდ გადმოლახავს. ეს იმ პირობებში, როცა მსოფლიო მედიკოსები აღიარებენ — ახალი შტამი თავს იჩენს ინფიცირებიდან 5-7 დღის შემდეგ.** ე.ი., შესაძლებელია, საქათველოში შემოვიდეს მოქალაქე, მას მართლაც არ აღენიშნებოდეს ვირუსის არანაირი ნიშანი და მეოთხე-მეხუთე დღეს გამოუვლინდეს. რა ხდება ამ შემთხვევაში? არც არაფერი, ბატონებო. როგორც ბრიტანული შტამის აღრიცხვა დავიწყეთ და შემდეგ თავი დავანებეთ, რადგან აზრი დაკარგა, იმდენი შემთხვევა გამოვლინდა, ასე იქნება ახლაც. ჰო, ბრიტანული შტამის წინააღმდეგ მხოლოდ „ფაიზერი“ რომ მუშაობს და ისიც ნაწილობრივ, არ დაგავიწყდეთ. აი, ინდური და ბრაზილიური ვირუსის წინააღმდეგ არც ერთი ვაქცინა არ მუშაობს და საუკეთესო შემთხვევაში, მათ საწინააღმდეგო ვაქცინას მსოფლიო 4-6 თვეში დაამზადებს. ეს ინდოეთსა და ბრაზილიაში რამდენიმე მილიონ ახალ ინფიცირებულსა და ათიათასობით გარდაცვლილს ნიშნავს.

ცოტა არ იყოს, სასაცილოა, ამ ვითარებაში მთავარი განსახილველი თემა ის რომ არის, ვინ შევა პარლამენტში, ვინ დარჩება მის გარეთ, რამდენი კაცი მივა ან არ მივა აქციაზე და ვინ გადადგება თანამდებობიდან. დაძებნეთ (როგორც ერთი ე.წ. ჟურნალისტი იტყოდა — „დაგუგლეთ“, „დასერჩეთ“), შეამოწმეთ — არსად, საქართველოს გარდა, არც ერთ ქვეყანაში პოლიტიკური კინკლაობისთვის არავის სცალია. ყველა იმაზეა გადასული, როგორმე გადარჩეს და ხელისუფლებები საამისოდ ყველაფერს აკეთებენ. ამერიკამ, გერმანიამ, საფრანგეთმა, რუსეთმა... **მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ შეაჩერა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები და სამედიცინო სფეროს განვითარებაზე გადავიდა. ყველა ქვეყანა ჟანგბადის მარაგს იკეთებს, თუ არ აქვთ, ყიდულობენ, ქარხნები გადაეწყო ჟანგბადის ბალიშებისა და მოწყობილობების გამოშვებაზე, საქართველოში კი... აქ კვირაში 600 საწოლი რომ დაგვემატება, სპეციალურ ბრიფინგს უძღვნიან მინისტრთა კაბინეტის წევრები და მოსახლეობას ამშვიდებენ, — აგერ, ახალი საწოლები გამოჩნდაო.**




# საწოლები კი არა, ჟანგბადი მოიმარაგეთ, ახალი ვაქცინების რიგში ახლავე ჩადექით, არ გინდათ წინასაარჩევნოდ ორღობეების კეთება და გარე განათებების მონტაჟი. მთელი თანხა სამედიცინო სფეროსკენ მიმართეთ, ოღონდ ისე კი არა, პარლამენტის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარის ძმაზე რომ ამბობდნენ: 17-მილიონიანი ტენდერი ჩაიდო ჯიბეში და დიდძალი ფული იშოვაო

საწოლები კი არა, ბატონებო, ჟანგბადი მოიმარაგეთ, იმ ახალი ვაქცინების რიგში ახლავე ჩადექით, არ გინდათ წინასაარჩევნოდ, ორღობეების კეთება და გარე განათებების მონტაჟი. მთელი თანხა სამედიცინო სფეროსკენ მიმართეთ, ოღონდ ისე კი არა, პარლამენტის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარის ძმაზე რომ ამბობდნენ, 17-მილიონიანი ტენდერი ჩაიდო ჯიბეში და დიდძალი ფული იშოვაო. მოსახლეობაზე იზრუნეთ, დაგჭირდებათ ეს ხალხი... ხალხი თუ არა, ხმები დაგჭირდებათ, ვიღაცამ ხომ უნდა აგირჩიოთ და დაგდოთ იმ სკამებზე, რომლებსაც ვერაფრის დიდებით და არაფრის ფასად არ ელევით.

გადასარევი კრიზისმენეჯერი იყო **გიორგი გახარიაო** და სად არის მისი გეგმა ამ კრიზისიდან გამოსასვლელად? წავიდა და გეგმა თან წაიღო, თან კომპიუტერშიც წაშალა? სად არის **ირაკლი ღარიბაშვილის** გეგმა? რატომ არ ვარისკებთ განგაშის ზარებს მაშინ, როცა მთელი მსოფლიო, პრაქტიკულად, საგანგებო მდგომარეობაზეა გადასული? რატომ არ ვუკრძალავთ საქართველოში შემოსვლას იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებშიც ჯერაც დაუდგენელი შტამის აფეთქებაა და არ იკურნება თუ ვერ იკურნება? თუ ჩვენ „ერი გულადი-პურადი“ ვართ და არ გვეკადრება?!

საკოორდინაციო საბჭო ყოველდღიურად უნდა გაიმართოს და არა მაშინ, როცა რომელიმე მინისტრს სილამაზის სალონში გაკეთებული ახალი ვარცხნილობით კეკლუცობა მოუნდება ტელეკამერების წინ. არ ვხუმრობთ, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი სხდომის დაწყება სწორედ იმიტომ დაგვიანდა ერთი საათით, რომ მისი ერთ-ერთი წევრი სალონში ვარცხნილობას იყენებდა. **გამოდით და უთხარით ადამიანებს სიმართლე, ის სიმართლე, რომელიც იცით და ზუსტად ისევე გაუფრთხილდით თითოეულ მოქალაქეს, როგორც საკუთარი ოჯახის წევრებს უფრთხილდებით. თუ თქვენთვის არაფერს ნიშნავს, თვეში მინიმუმ 300 ადამიანი რომ მიჰყავს ვირუსს? სამასმა კაცმა ისეთი გმირობა ჩაიდინა, მათი საარაკო ამბავი საუკუნეებს უძლებს, თქვენ კი სათვალავშიც არ აგდებთ. ჰო, არ აგდებთ იმიტომ, რომ ბოლოს როდის გაიხსენეთ, როდის გამოხატეთ მწუხარება გარდაცვლილებზე? აღარ გახსოვთ, მიეჩვიეთ და, აბა, ახლა მათი ოჯახის წევრებს ჰკითხეთ, როგორ მიეჩვივნენ?!**

წინასაარჩევნოდ მოგონილი ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერებით ათეული მილიონობით ლარის დაზოგვა შეიძლება. ჰო, იმ პროექტების შეჩერებით, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს და ამ ფულით, სხვა ქვეყნების მსგავსად, ჟანგბადი მოვიმარაგოთ, მედიკამენტები მოვიმარაგოთ, ორი წლის წინათ დაანონსებული ახალი საავადმყოფოს მშენებლობა რომ დაგვეწყო, ახლა დამატებითი საწოლები დერეფნებში არ იდგმებოდა. ახლაც არ არის გვიან, უკვე ცხადია, რომ ვირუსი თავს არც წელს დაგვანებებს, არც გაისად და არც იმის შემდეგ. მეორე და მესამე ტალღა კი არა, პრაქტიკულად, ახალ ვირუსთან გვიწევს ბრძოლა და იმავე გზის გავლა, რომელიც პირველად გავიარეთ. **ჟანგბადი სჭირდება ხალხს, ჟანგბადი და ნუ გგონიათ, თქვენთვის მომარაგებულს შეგარჩენენ. როცა ერთსა და ორს კი არა, ათეულებს და ასეულებს გაუჭირდებათ, მოგადგებიან და ჟანგბადს თქვენ გადაგიკეტავენ, ბატონებო!**

**ბესო ბარბაქაძე**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი ჩარჩენილია 1918-21 წლებში, არის „მენშევიჩკა“ და ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკები არ იყვნენ პატრიოტები. მენშევიკებმა, გარდა იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლეს, საშინელება ჩაიდინეს ეკლესიის მიმართაც. 1917 წელს, როდესაც საქართველოში ავტოკეფალია აღდგა, საქართველომ კათალიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონი (საძაგლიშვილი), უსპეტაკესი ადამიანი, რომელიც მოკლეს მენშევიკებმა... სალომე ზურაბიშვილი შთამომავალია იმ მენშევიკებისა, რომლებმაც წაბილწეს ეკლესია და მოკლეს ილია“.**

# საიდან მოაფიქრდა პრეზიდენტს დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავი მონუმენტის გადაკეთება?

**„ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში“, — ასეა მოხსენიებული მსოფლიო ისტორიაში 1941-1945 წლების ომი, რომელშიც ქართველებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს. ფრონტზე საქართველოდან ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი წავიდა, მათგან 300 ათასი დაიღუპა, 100 ათასი ხეიბარი დაბრუნდა. წელს, 9 მაისს, დიდი სამამულო ომის დასრულებიდან 76 წელიწადი გადის. ქვეყანა, რომელმაც დიდ სამამულო ომს 300 ათასი შვილი შესწირა, გამარჯვების დღეს, წაბაძვით, სასხვათაშორისოდ, 8 მაისს აღნიშნავს. ასე იყო დღემდე, თუმცა არავინ იცის, როგორ აღინიშნება მომავალში ფაშიზმზე გამარჯვების დღე, რადგან საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ვაკის პარკში მდებარე „უცნობი ჯარისკაცის“ საფლავის გადაკეთება მოისურვა და მერიას მიმართა ინიციატივით „შეიქმნას საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის ასწლიან ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ერთიანი მემორიალი ვაკის პარკში, რომლის რეაბილიტაცია დღეს მიმდინარეობს“.**

**პრეზიდენტის ამ ინიციატივაზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე და ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი თემურ ფიფია გვესაუბრებიან.**





## „ასეთ პირობებში, როგორშიც სწორედ ზურაბიშვილისნაირების გამო აღმოვჩნდით, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა კიდევ დიდხანს მოუწევს საქართველოს“

**თემურ ფიფია, ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი:**

— დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ას წელიწადს ითვლის ლიბერალური მთავრობა და ჩვენი ფრანგი, მენშევიკი **პრეზიდენტი ხმამაღლა ფიქრობს უცნობი ჯარისკაცის საფლავის გადაკეთების საკითხზე, მაგრამ ყველას ვეტყვი — ასეთ პირობებში, როგორშიც სწორედ ზურაბიშვილისნაირების გამო აღმოვჩნდით, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა კიდევ დიდხანს მოუწევს საქართველოს. პრეზიდენტად წოდებული ზურაბიშვილის აზრი გაუგებარია მოსახლეობისთვის.**

ვაკის პარკს „გამარჯვების პარკს“ უწოდებენ, იქ ქერჩში დაღუპული ჯარისკაცის საფლავია და წმიდათაწმიდა ადგილია იმ ოჯახებისთვის, რომელთა მებრძოლი წინაპარი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი ომიდან ვერ დაბრუნდა. საბედნიეროდ, **ქართველები წინაპართა ხსოვნის პატივისმცემელი ხალხი ვართ, ამიტომ ზურაბიშვილისნაირები თავისას ვერ გაიტანენ ამ მიწაზე.**

უცნობი ჯარისკაცის საფლავი დარჩება მუდმივად სათაყვანებელ საფლავად, მუდმივად პატივის მისაგებ ადგილად. ყველა ქართული ოჯახი, რომლის წინაპარიც ქერჩში დაიღუპა და ასეთი უამრავია, ამ საფლავთან მივა, როგორც საკუთარი წინაპრის საფლავთან. აქ არა მარტო 9 მაისს, არამედ აღდგომასაც ბევრი ისეთი ოჯახი მიდის, რომელთა შთამომავლებმაც არ იციან, სად, რომელ ფრონტზე დაიღუპა მათი წინაპარი.

ასე რომ, **სალომე ზურაბიშვილის მიერ შემოგდებულ ინიციატივას, რომლის უკანაც გარეშე ძალები დგანან, განხორციელება არ უწერია. სალომე ზურაბიშვილმა თავი შორს დაიჭიროს დიადი გამარჯვებისგან, მის წინაპრებს არ უომიათ, ამიტომ გააჩეროს ენა. მენშევიკი, მოღალატე ზურაბიშვილის ეს ინიციატივა ახალგაზრდების გახრწნას და მათში წინაპრების სულისკვეთების ჩაკვლას, ისტორიის ფალსიფიკაციას ემსახურება...**

დიდი სამამულო ომი იყო წმიდათაწმიდა ომი ქართველებისთვის, უახლეს იტორიას ასეთი გამარჯვება არ ახსოვს და ეს გამარჯვება დიდწილად ქართველებს გვეკუთვნის, გამარჯვება, რომელსაც 300 ათასი ქართველი გმირულად შეეწირა; დაიღუპნენ იმისთვის, რომ ყოფილიყვნენ ფაშიზმისგან თავისუფლები, ყოფილიყვნენ იმ ქვეყნის შვილები, რომელშიც ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტირებული საბჭოთა წყობა იყო. ეცხოვრათ კომუნიზმში...

**— რას აპირებთ 9 მაისს, გეგმავთ თუ არა რაიმე ღონისძიებებს?**

— ვფიქრობ და აუცილებლად შევასრულებთ — **პრეზიდენტადწოდებულ, მენშევიკ სალომე ზურაბიშვილის სასახლეს წითელი დროშებით ვესტუმრებით და გავახსენებთ, მისი წინაპრები ფაშისტების მხარეს რომ იბრძოდნენ მაშინ, როდესაც ჩვენი წინაპრები სამშობლოს იცავდნენ. გავახსენებთ, როგორ გავყარეთ ბოლშევიკებმა ბინძური და მოღალატე მისი წინაპარი მენშევიკები!**



## „სალომე ზურაბიშვილმა, თუკი რამე სიკეთის გაკეთება სურს, დიდგორობა დააწესოს დღესასწაულად!“

**გულბაათ რცხილაძე, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპა და ამერიკა ცდილობენ, წარმოაჩინონ ისე, თითქოს მეორე მსოფლიო ომი, რომელიც ჩვენთვის დიდ სამამულო ომად არის ცნობილი, თვითონ მოიგეს და აკნინებენ საბჭოთა კავშირისა და სტალინის როლს, მაინც დიდი პომპეზურობით აღნიშნავენ, როგორც ფაშიზმზე გამარჯვების დღეს. არსად ისეთი რამ არ ხდება 9 მაისს, რაც ჩვენთან, საქართველოში.

ფაშიზმზე გამარჯვებას ძალიან ბევრი ქვეყანა სამხედრო აღლუმის გარეშე, მაგრამ მაინც აღნიშნავს გრანდიოზულად. ყველაზე პომპეზურად ამ დღეს რუსეთი აღნიშნავს. გამარჯვების დღის აღნიშვნა დაიწყო თურქმენეთმაც... ასე თუ ისე, ეს თარიღი ახსოვთ ყველგან, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში დაკარგულია ის სულისკვეთება, რომელიც ფაშისტებთან მებრძოლ საბჭოთა ჯარისკაცებს, ხალხს ჰქონდა.

**— ბატონო გულბაათ, თქვენ შექმენით პორტალი დიდი სამამულო ომის შესახებ — didisamamulo.ge, რომელზეც დიდ სამამულო ომში მონაწილე ქართველების ისტორიებს აქვეყნებთ. აქტიურობს მოსახლეობა, გთხოვენ ადამიანები წინაპრების ისტორიების გამოქვეყნებას?**

— კი, აქტიურობენ... ბევრს სურს წინაპრის ისტორიის გამოქვეყნება, ჩვენც ვაქვეყნებთ და ულრმესი მადლობა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“, რომ გვეხმარება ამ სასიკეთო საქმის პოპულარიზაციაში.

ბევრი წერილი მოდის პორტალზე, გვთხოვენ, დავეხმაროთ უგზო-უკვლოდ დაკარგული წინაპრების მოძებნაში. ჩვენ, ბუნებრივია, მივმართავთ რუსულ მხარეს, ისინი გზავნიან მოთხოვნას მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში და იქიდან ვიღებთ საარქივო მასალებს. ძალიან ბევრს დავეხმარეთ — შევძელით მათი წინაპრების ომისდროინდელი ცხოვრებისა და დამსახურების შეტყობა; შევძელით, ბევრი მებრძოლის დაღუპვისა და დაკრძალვის ადგილის გაგებაც.

სამწუხაროდ, პორტალს ხელს უშლის საქართველოში არსებული ე.წ. ვითომ ცენზურა, ჩვენი პორტალი არ ჩანს, **არ ჩანს ხელმომწერების რაოდენობა. გვბლოკავს სოციალური ქსელის ცენზურა, ე.წ. კინწურაშვილის კანტორა. როგორც ჩანს, ხელს არ აძლევთ, რომ „უკვდავი ჯარის“ მოძრაობა სახალხო მოძრაობად გადაიქცეს და აუცილებლად გადაიქცევა კიდეც, თუკი ხელი არ შეუშალეს, რადგან ქართველი კაცი წინაპრების დიდი პატივისმცემელია, ეს კი ამ მთავრობას ძალიან აშინებს.** არადა, ამ პორტალის მუშაობა ახალგაზრდებს გამოაფხიზლებს, სიმართლეს დაანახვებს... საქართველოს დიდი და საამაყო ისტორია აქვს, განსაკუთრებით დიდ სამამულო ომში და ეს ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ...

**— საქართველოს პრეზიდენტი ინიციატივით გამოვიდა, რომ ვაკის პარკში, იქ, სადაც უცნობი ჯარისკაცის საფლავია, გაკეთდეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა მემორიალი...**

— საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი მავნებელია. ეს ქალი, ჩარჩენილია 1918-21 წლებში, არის „მენშევიჩკა“ და ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკები არ იყვნენ პატრიოტები. მენშევიკებმა, გარდა იმისა, რომ **ილია ჭავჭავაძე** მოკლეს, საშინელება ჩაიდინეს ეკლესიის მიმართაც. 1917 წელს, როდესაც საქართველოში ავტოკეფალია აღდგა, საქართველომ კათალიკოს-პატრიარქად აირჩია **კირიონი (საძაგლიშვილი),** უსპეტაკესი ადამიანი, რომელიც მოკლეს მენშევიკებმა, თანაც ისე საშინლად მოკლეს, რომ მართლმადიდებლისთვის სათქმელადაც კი შემზარავია, მას თვითმკვლელობა დააბრალეს. ეს ამბავი, დიდი ალბათობით, ახალგაზრდებმა არ იციან, შესაძლოა, არც მათმა მშობლებმა იციან და ამიტომ ვამბობ, — **ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი შთამომავალია იმ მენშევიკებისა, რომლებმაც წაბილწეს ეკლესია და მოკლეს ილია.**

სალომე ზურაბიშვილს არეული აქვს ტვინი, რომელიც ისედაც დაბალი სიმძლავრის, დაბალი დონისაა, და ეს ქალი გამოდის ინიციატივით, რომ ის ერთადერთი მონუმენტი, რომელიც დარჩა თბილისში დიდი სამამულო ომის გამარჯვების აღსანიშნავად, გადააკეთოს, წაშალოს. აქვე ვიტყვი იმავეს, რაც თავშიც გითხარით: სალომე ზურაბიშვილი დიდი გონებრივი შესაძლებლობებით არ გამოირჩევა, ეს გველური ინიციატივა მის ტვინში არ მოხარშულა, მას ეს შესთავაზეს და დიდი სიხარულით დაეთანხმა, ზურაბიშვილსა და მისნაირებზე ამ ქვეყანაში ევროპა-ამერიკა მუშაობს.

დავრეკე მერიაში და, საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტის ინიციატივის შესახებ არაფერი იციან და სამუშაოები, რომელიც ვაკის პარკში მიმდინარეობს, არის მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლა, უცნობი ჯარისკაცის საფლავის მოპირკეთების შეცვლა-შეკეთება კი დაგეგმილი არ არის.

პრეზიდენტად წოდებულმა ქალმა ეს ინიციატივა გაასაჯაროვა, ქალმა, რომელიც ისე არაადეკვატურია, რომ ისტორიკოს **გიორგი ოთხმეზურის** შვილის მკვლელი შეიწყალა. მკვლელი, რომელსაც 15 წლის განმავლობაში ეძებდნენ, რატომ შეიწყალა, კაცმა არ იცის. ასე რომ, ინიციატივა, რომელიც უცნობი ჯარისკაცის საფლავის გადაკეთებაზე გამოითქვა, ჩვენთვის, ქართველებისთვის, დიდ საფრთხედ რჩება. ამ ქალის სიგიჟეები დაუსაბუთებელია.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ, ძალიან მალე მოდის დიადი გამარჯვების დღე – 9 მაისი. მოძრაობა „საქართველოს უკვდავი ჯარი“ გეგმავს ერთ-ერთ ქალაქში დიდი ღონისძიების ჩატარებას, — ქალაქის სახელს შეგნებულად არ ვასახელებთ. თბილისში არ ჩატარდება ღონისძიებები, მაგრამ ძალიან კარგი იქნება, თუკი მოსახლეობა ყვავილებს კონსტანტინე ლესელიძის ძეგლთან მიიტანს, რადგან ვაკის პარკი დაკეტილია. საერთოდაც, ყველამ იმ გმირების საფლავებთან მიიტანოს ყვავილები და მიაგონ პატივი, რომელთა ძეგლებიც შემორჩა დღევანდელ საქართველოს და ასეთი, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ბევრია...

ჩვენს ქვეყანას შემორჩა ერთადერთი საერო დღესასწაული დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღე — 9 მაისი, როცა ქართველებმა გავიმარჯვეთ... კარგი იქნებოდა, დიდგორიც გვეზეიმა 12 აგვისტოს, რადგან 1121 წლის 12 აგვისტოს ქართველებმა დავით აღმაშენებლის მეთაურობით მართლაც უდიდესი გამარჯვება მოვიპოვეთ თურქ-სელჩუკებზე.

სალომე ზურაბიშვილმა, თუკი რამე სიკეთის გაკეთება სურს, დიდგორობა დააწესოს დღესასწაულად! სანამ დიდგორობას არ ვიზეიმებთ ამ ქვეყანაში, მთავარი დღესასწაული სულ 9 მაისი იქნება.

*მოამზადა*
**ეკა ნასყიდაშვილმა**

პატარა საქართველოს სჭირდება დიდი რუსეთი და არა პირიქით — ასე იყო, ასეა და ასე იქნება. ეს რეალობა უნდა გავაცნობიეროთ, თუ არადა, დაღუპვა გველის მსოფლიო გეოპოლიტიკურ ოკეანეში. აშშ-ისა და საქართველოს ე.წ. სტრატეგიული მოკავშირეობა, რომელზე საუბრითაც, რომ იტყვიან, თავი წაგვჭამეს ქოც-ნაცებმა წლების განმავლობაში, ლამაზი ტყუილი, ზღაპარი აღმოჩნდა და სხვა არაფერი.



აპი მუსაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს ძლიერი მფარველი სჭირდება, ძლიერი მოკავშირე კი არა

**ეკონომიკურ-პოლიტიკურ-პანდემიურ-დემოგრაფიულ, ერთი სიტყვით, რაც კი უბედურება შეიძლება არსებობდეს ქვეყნიერებაზე, ამ უბედურებებით ყველმხრივ მოცულ, დაღუპვის პირას მყოფ საქართველოში არავინ არისხებს განგაშის ზარებს — არიქა, ხალხო, ვიღუპებით, თუ დროზე არ ვიღონეთ რამე, ე.წ. კოლექტიური დასავლეთის იმედით დაკარგულს (სოხუმი, ცხინვალი) დავიბრუნებთ კი არა, იმასაც დავკარგავთ, რაც ჯერ კიდევ ჩვენია — დავითგარეჯას, ახალქალაქს, მარნეულ-ბოლნისის რაიონებს, ნამოხვანჰესის გამო რიონის ხეობას და ა.შ. „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენა-მჭევრი"...**



დავითგარეჯა — ქართველთა სულიერების წმინდა სავანე დე ფაქტო უკვე დაკარგულია, ხოლო დე იურემდე გადასადგმელია ერთი ნაბიჯი, რომელსაც ჩვენი „მოძმე" აზერბაიჯანი ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში უეჭველად გადადგამს.

სიტყვამ მოიტანა და, ბარემ აქვე განვაცხადებ: **ერთმორწმუნე რუსეთთან ძმური ურთიერთობა (საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სურვილი) რომ გვქონოდა, „მოძმე" მუსლიმი აზერბაიჯანელები დავითგარეჯას „აგვახევდნენ" კი არა, ქართული მართლმადიდებლებისა და ერთმორწმუნე რუსებისთვისაც წმინდა ლავრისკენ ირიბად გახედვასაც ვერ გაბედავდნენ.**

ახლა მავანი, რომელსაც რუს-ქართველთა ერთმორწმუნეობის ხსენებაზე ლამის კლიმაქსური ალები ეკიდება, „რკინისებური" არგუმენტით „გამომიხტება" და ჩემს, ერთი შეხედვით, სამართლიანად დამუნათებას შეეცდება: ერთმორწმუნე რუსეთი არ იყო, სოხუმ-ცხინვალი რომ „აგვახია", ე.ი., რუს-ქართველთა რწმენით ერთობა საკმარისი არ აღმოჩნდა 2008 წლის აგვისტოს ომის თავიდან ასაცილებლადო. რუსოფობია ამ პრეტენზიას ერთი „უმნიშვნელო" სიტყვა აკლია — „მხოლოდ". დიახ, **მხოლოდ რწმენით ერთობამ იმხანად ვერ დაგვიცვა და ვერც ხვალ დაგვიცავს**, თუ მოცემულ გეოპოლიტიკურ რეალობაში კვლავ ერთი ადგილის ტელეჯო თამაშს გავაგრძელებთ...

„ქართლის ჭირსა" მართლაც „ვერვინ მოსთვლის". ზემოხსენებულ ყველა ჭირს თავი რომ დავანებოთ, ერთი სამარცხვინო პრობლემის იგნორირება უნამუსო ქოცების ხელისუფლებასაც გაუჭირდება — **საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილის ზღვარზეა.** ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება აშშ-ის ყურთგულესი მარიონეტია, „ძია სემი" არაფერ შუაშია და ყველაფერი ქოც-ნაცთა ხელისუფლების ბრალია, რადგან დალოცვილ პატარა საქართველოში ყველანაირი კლიმატური ზონაა და, ალბათ, ამიტომაც ვამბობთ ხოლმე ქართველები: უკუღმა ნასროლი თესლი მაინც წაღმა ამოდის და ხარობსო.

„ხალხის რჩეულები" იმის მაგივრად, რომ ამ მიმართულებით ითქრონ და იმოქმედონ, რამდენიმე თვეა, პოლიტიკურ კლოუნადას გვაყურებინებენ: პარლამენტში შევალ-არშევალ; რას იტყვის **შარლ მიშელი**, რას ფიქრობს **ჯიმ რიში** და ა.შ. ყველაზე მთავარი, მიშას პრეზიდენტობიდან მოყოლებული, დღემდე ნაცებისა და ქოცების ხელისუფლებები და მათი მორჩილი ე.წ. ენ-ჯი-ოები, ერთად და ცალცალკე მხოლოდ ერთი მიმართულებით — კოლექტიური დასავლეთისკენ, ევროკავშირ-ნატოსკენ იმზირებიან. და ისე იმზირებიან, რომ გეგონებათ, კისრის მალები დაუზიანდათ და ამიტომ კორსეტი უკეთიათ, რომლის გამოც თავს თავისუფლად ვერ ატრიალებენ, ვერ ხედავენ, იქვე რა ხდება და „ძია სემს" ყველაფერზე თავს უკანტურებენ, არ სმენიათ დიდი **მუხრანის** ნათქვამი: **„სუყველაფერზე თავის კანტური, საქციელია არაქართული!"**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეულეღური რეზიუმეს სახით, ერთ რამეს ვიტყვი, რაც ქვემოთ, წერილის სათაურის „გაშიფვრისას" გამომადგება — **რუსეთთან მხოლოდ რწმენით ერთობა, როგორც ადრე, დღეს აღარ არის საკმარისი მისი მფარველობის მოსაპოვებლად. საქართველოს ძლიერ სახელმწიფოსთან მოკავშირეობა კი არა, მფარველობა სჭირდება, რადგან გინდ სტრატეგიული მოკავშირე დაარქვი და გინდ პარტნიორი, ყველაფერი მითი და ზღაპარია.** სუსტის ძლიერთან ურთიერთობა იმთავითვე გამორიცხავს თანასწორობას, რადგან სუსტს სჭირდება ძლიერი და არა პირიქით, ამიტომ „მოკავშირეობის", მითუმეტეს „სტრატეგიული მოკავშირეობის" თამაშის წესებს, ძლიერი უწესებს სუსტს.

დასტურად ზემოთქმულისა გთავაზობთ დიდი **ილიას** ციტატას წერილიდან, რომელიც მან თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმეს მისწერა 1898 წელს:

„რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის ეს ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილმობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი".

უიცლოთავის ილიას ციტატას „დავეჭავ":

„პატარა საქართველოს სჭირდება დიდი რუსეთი და არა პირიქით — ასე იყო, ასეა და ასე იქნება. ეს რეალობა უნდა გავაცნობიეროთ, თუ არადა, დაღუპვა გველის მსოფლიო გეოპოლიტიკურ ოკეანეში. ალბათ, მიხვდით, საუბარი სათით მიმყავს. აშშ-ისა და საქართველოს ე.წ. სტრატეგიული მოკავშირეობა, რომელზე საუბრითაც, რომ იტყვიან, თავი წაგვჭამეს ქოც-ნაცებმა წლების განმავლობაში, ლამაზი ტყუილი, ზღაპარი აღმოჩნდა და სხვა არაფერი, თუმცა, როგორც წესი, ზღაპრის ბოლო ხომ კეთილია?..

**რუსეთ-საქართველოს ომში უაზროდ ჩახოცილი ქართველი ბიჭები; დე ფაქტოდ ისედაც დაკარგული სოხუმ-ცხინვალის დე იურედაც დაკარგვა; ათიათასობით ახალი დევნილი; „სტრატეგიული მოკავშირის" მართლაც „სტრატეგიული" დახმარება — ფოთისა და ბათუმის პორტებში მტკნარი წყლითა და პამპერსებით დატვირთული აშშ-ის კრეისერები; დასავლეთის აღშფოთებული რეზოლუციები და ა.შ. ამაზე ლამაზი და კეთილი ზღაპრის ბოლო გაგონილა?!**

**რუსეთთან მხოლოდ რწმენით ერთობა, როგორც ადრე, დღეს აღარ არის საკმარისი მისი მფარველობის მოსაპოვებლად. საქართველოს ძლიერ სახელმწიფოსთან მოკავშირეობა კი არა, მფარველობა სჭირდება, რადგან გინდ სტრატეგიული მოკავშირე დაარქვი და გინდ პარტნიორი, ყველაფერი მითი და ზღაპარია. სუსტის ძლიერთან ურთიერთობა იმთავითვე გამორიცხავს თანასწორობას, რადგან სუსტს სჭირდება ძლიერი და არა პირიქით, ამიტომ «მოკავშირეობის», მითუმეტეს «სტრატეგიული მოკავშირეობის» თამაშის წესებს, ძლიერი უწესებს სუსტს**

კიდევ ერთი დაუწერელი კანონის ცოდნა არ გვაწყენდა ქართველებს: ამ გაგანია გეოპოლიტიკური ცივი ომის (საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ცივის) დროს, რომლისგანაც ცხელ (უკრაინის ფაქტორის გამო) ომამდე ერთი ნაბიჯია გაშორებს, უნდა გავაცნობიეროთ: რუსეთმა კი არ „აგვახია", რუსეთის მტრებისთვის (ნაიკთხე, აშშ) ყველაფერზე თავის კანტურმა დაგვაკარგინა სოხუმ-ცხინვალი...

ჰოდა, ფრთხილად, მსოფლიო რუსოფობებო, რადგან „რა დროს ლექსიაო, მოუკვდა პატრონი!" — ხმლით შემოვარდნილა ერეკლე-ბატონი"! რუსეთის პრეზიდენტის ამასწინანდელმა მიმართვამ, რბილად რომ ვთქვათ, ე.წ. კოლექტიური დასავლეთი შეაზანზარა. ვლადიმერ პუტინი, გარდა იმისა, რომ უძლიერესი ბირთვული იმპერიის პრეზიდენტი და მთავარსარდალია, ჩემი აზრით, მსოფლიოში ნომერი პირველი პოლიტიკოს-დიპლომატიცაა. მისი რეფერენდუმცეული გამონათქვამები, დღესაც ახსოვთ მის მტერ-მოყვარე კოლეგებს. მაგალითად, „ლენინგრადის ქუჩებში ვისწავლე, თუ ჩხუბი გარდაუვალია, პირველმა უნდა დაარტყა"; ანდა, როდესაც რუსეთში მოქმედ არასამთავრობოებს ბანდერლოგები უწოდა და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლას დიდი დრო დასჭირდება, ამიტომ მის ბოლო გამონათქვამზე შევჩერდები, რომელმაც, რომ იტყვიან, ყველას და ყველაფერს „მოუჯდა".

ზემოთ ცივი ომის მასშტაბურ დაპირისპირებაში გარდაქმნის საფრთხეზე ვისაუბრე და, თუ გადავხედავთ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და პოლიტიკურ რუკას, რუსეთი ე.წ. კოლექტიური დასავლეთის (ნაიკთხე, აშშ, ნატო) სამხედრო ალყაში იმყოფება. ვლადიმერ პუტინმა ამ ძალების ლიდერი ინგლისელი მწერლის — **კიპლინგის** „ჯუნგლების წიგნიდან" ბებერ ვეფხვ შერხანს შეადარა, ხოლო ამ ძალების სატელიტები — შერხანის გარშემო მოტრიალე მლიქვნელ ტურას — ტაბაკს. არავის გასჭირვებია იმის მიხვედრა, რომ ვლადიმერ პუტინმა შერხანად აშშ „მონათლა", ხოლო ტაბაკებში ნატოს წევრი ან ამ ბლოკში გაწევრების მოსურნე ქვეყნები იგულისხმა. შერხანმა კი როგორც დაამთავრა, ყველამ ვიცით — მაუგლიმ მისი ტყავი გასაშრობად მზეს მიაფიცხა, მაგრამ კიპლინგის შერხანის ისტორიაზე უფრო მაგარი ვლადიმერ პუტინის აშკარად აგრესიული, მუქარის შემცველი განცხადებები აღმოჩნდა. კერძოდ, მან თქვა, რომ ბელარუსის პრეზიდენტ **ლუკაშენკოს** მკვლელობის მომზადების მცდელობით დასავლეთმა (აშშ) ყველანაირი ზღვარი გადალახა. რუსეთი მისდამი უპატივცემულობას მომავალში აღარ მოითმენს და, თუ ვინმე კვლავ განაგრძობს მსგავს ქმედებებს, პასუხი იქნება ასიმეტრიული, ხისტი და სწრაფი. ამასთანავე, რუსეთი ე.წ. წითელი ხაზების გადალახვას არ დაუშვებს და, რაც მთავარია, სად გადის ეს წითელი ხაზები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ განსაზღვრავს.

შერხანი ამ წლის ბოლოს ე.წ. დემოკრატიის ალიანსის შექმნას აპირებს. მასში მოხვედრას შერხანის ტაბაკები (მათ შორის საქართველოც) დიდ პატივად მიიჩნევენ. წერილზე მუშაობისას გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთი მისდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების სიას ამზადებს. ამ ეტაპზე სიის სრული შემადგენლობა უცნობია. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ პირველი ნომერი შერხანი (აშშ) იქნება.

იქნება ამ სიაში საქართველო? — აი, კითხვა, რომელზე პასუხი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნისთვის.

**დავით მხეიძე**

**P.S. სულკურთხეულმა მეფე ერეკლემ 1783 წელს გიორგიევსკის ტრაქტატის სახით რუსეთთან სამოკავშირეო კი არა, მფარველობითი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის პირობების ნაწილი, მართალია, რუსეთის იმპერიამ დაარღვია, მაგრამ შეასრულა მთავარი პირობა — ქართველი ერი ფიზიკური განადგურებისგან იხსნა, ეროვნული თვითმყოფადობა, რჯული შევინარჩუნეთ და სიმწარესთან ერთად ბევრი სიკეთეც ვნახეთ. თუ დღეს ფიზიკურად ვარსებობთ, სწორედ რუსეთის მფარველობის დამსახურებაა. დღეს, აშშ-ის მოკავშირეობის წყალობით, ლამის ფიზიკურად განვადგურდეთ. რაც შეეხება ზნეობას, რომელ თვითმყოფადობაზეა საუბარი, როდესაც პარლამენტის სპიკერმა განაცხადა, — ეროვნული ცნობიერება რა არის, არ ვიციო. საქართველოს ცაზე კი დრონებზე დაკიდული ლგბტ-ის დროშები ფრიალებს.**

**P.P.S. საქართველო რუსეთის არამეგობრული ქვეყნების სიაში მოხვდა. საქართველოსთან ერთად სიაშია: აშშ, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უკრაინა, პოლონეთი, ჩეხეთი და დიდი ბრიტანეთი.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახლა, როდესაც პანდემიის გამო მსოფლიოს სახეზე ნიღაბი აქვს აფარებული, დასავლეთმა ნიღაბი მოიხსნა და მისი ნამდვილი, შემზარავი სახით წარსდგა ჩვენ წინაშე. იმ საბჭოთა რესპუბლიკებმა, რომლებმაც მკვეთრად აიღეს კურსი ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირისკენ, ფიასკო განიცადეს.**



# საბჭოთა კავშირის აღდგენა გარდაუვალია!

**ვახტანგ გოგუაძის ფორმულა**

**ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი**

## მეთოთხმეტე გამოშვება

**„რუსეთი კი არ წამოდგა ფეხზე, საბჭოთა კავშირი აღდგა მკვდრეთით!“**
***დიმიტრი ვრუბელი***

**გასულ კვირას მსოფლიოს ყურადღება მოსკოვისკენ იყო მიპყრობილი. პრეზიდენტი პუტინი რუსეთის ფედერალური საკრებულოს წინაშე მოხსენებით წარდგა. მოლოდინი უზარმაზარი იყო, რადგან მას დიდი საერთაშორისო დაძაბულობა უძღოდა.**

ტელეარხ „უკრაინა 24“-ის 21 აპრილის გადაცემაში ერთ-ერთმა გამომსვლელმა თავში ხელები წაიშინა: „იმით, რომ უკრაინის იგნორირება მოახდინა და, საერთოდ, არ გვახსენა, რუსეთის პრეზიდენტმა საშინლად დაგვამცირა. მისი მოხსენება საათსა და თხუთმეტ წუთს გაგრძელდა. ბოლო წამებამდე ვერ დავიჯერე, რომ უკრაინის შესახებ არაფერს იტყოდა. ჩვენი მისამართით არანაირი შეტყობინება არ ყოფილა. მერჩივნა, ეთქვა: უკრაინაში ხვალიდან სამხედრო ოპერაციას ვიწყებო, რადგან ასეთ შემთხვევაში შეურაცხყოფილი არ დავრჩებოდი“.

საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აწ განსვენებული **ვახტანგ გოგუაძე** ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში ამბობდა: „ დარწმუნებული ვარ, პუტინი, როდესაც საუბრობს, უფრო მეტს იმაზე ფიქრობს, რა არ უნდა თქვას, ვიდრე იმაზე, თუ რა უნდა თქვას“. ამას არამხოლოდ დაკვირვება, განსაკუთრებული მიხვედრის უნარი სჭირდებოდა, რაც მისი ბრწყინვალე ერუდიციის შედეგი იყო. **რუსეთის პრეზიდენტი ისე უნდა დასხლტომოდა ხელიდან დასავლეთის ბნელ ძალებს, რომლებსაც მისი სამშობლო კლანჭებში ჰყავდათ მოქცეული, რომ ისინი ამას დროზე ადრე, ანუ იქამდე, სანამ რუსეთი ძალას მოიკრებდა და მოღონიერდებოდა, ვერ მიმხვდარიყვნენ.** ამიტომ პუტინის ყოველი საჯარო გამოსვლა თუ განცხადება სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო (იყო კიდევაც) მოზომილი და აწონილ-დაწონილი. ახლა ეს ეტაპი განვლილია. დასავლეთში იციან, რომ პუტინიც და რუსეთიც კლანჭებიდან დაუსხლტათ. სწორედ ეს იწვევს მათ გაუნელებელ, მე ვიტყოდი, არანორმალურ აგრესიასა და რუსოფობიას, რომელიც პუტინმა ზუსტად შეაფასა: „В некоторых странах завели пренеприличный обычай — по любому поводу, а чаще всего вообще без всякого повода цеплять Россию. Спорт какой-то, новый вид спорта — кто громче что-то скажет“. ეს დამცინავი ინტონაციაც ზუსტად იყო შერჩეული, რადგან ვითარება, მიუხედავად იმისა, რომ საგანგაშოა, მისი ხელოვნურობითა და გამაღიზიანებელი ისტერიკულობით, პირველ რიგში, მაინც დაცინვას იმსახურებს. პუტინს, მას შემდეგ, რაც განაცხადა, „Зачем нам такой мир, если там не будет России?!“, დასავლეთთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, კარტი ღია აქვს და დასამალიც არაფერია, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი გონების რომელიღაც უბანი ყოველთვის ფხიზლობს სწორედ იმ მიმართულებით, რა არ უნდა ითქვას. იმ ფონზე, როდესაც ამერიკელებმა მართლაც უკადრისი საქციელი ჩაიდინეს — ჯერ პრეზიდენტმა ბაიდენმა პუტინს მკვლელი უწოდა, შემდეგ რუსეთს სანქციები დაუწესა და ათი დიპლომატი ქვეყნიდან გააძევა, გარდა ამისა, რუსეთის ირგვლივ (უკრაინაში, ბელარუსში, საქართველოში) უკიდურესად ძაბავენ სიტუაციას, მთელი მსოფლიო მოელოდა, რომ პუტინის გზავნილში ეს ყველაფერი შესაბამისად აისახებოდა და, აქედან გამომდინარე, ტონიც განსაკუთრებულად მკაცრი იქნებოდა. პუტინმა კი მოხსენება ძირითადად საშინაო საკითხებზე ააგო და საგარეო ვითარებას მხოლოდ ზოგადად შეეხო, ისიც მხატვრული პასაჟების მოშველიებითა და ალეგორიებით, დამცინავი ტონითა და ალაგ-ალაგ მავანთათვის ყურის აწევით. პროფესორი ვახტანგ გოგუაძე ამასაც ამბობდა: „ქუჩაში ვიღაცამ თუ შეურაცხგყო, ქუჩაში ერთი ხულიგანია, მაგრამ, შეურაცხყოფას შეურაცხყოფით თუ უპასუხებ, უკვე ორი ხულიგანი ხართ“. არ ჩათვალო პასუხის ღირსად, არ გაუყადრო თავი, აგრძნობინო, რომ მათთან პოლემიკაში შესვლა შენს ღირსებას ლახავს, აი, ერთადერთი პასუხი, რომელსაც დასავლეთის თუ პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი სახელმწიფო რუსეთისგან იმსახურებს. ზუსტად მიხვდა ის უკრაინელი, წეღან რომ ვახსენე, — პუტინმა იმით, რომ არ გვახსენა, დაგვამცირაო. იმას კი მიხვდა, რომ დაამცირეს, მაგრამ იმას ვერ მიხვდა, რომ დამსახურებისამებრ დაამცირეს. ყველა, ვინც აშშ-ის მიერ გაღვივებულ ანტირუსულ ისტერიას აჰყვა და რუსეთის მიმართ უღირსი საქციელით გამოირჩევა, თვითონ იმცირებს თავს. მიუხედავად ამისა, მათ, ვისაც პუტინის ალეგორია და დამცინავი ტონი



ეხებოდა, ნამდვილად ვერ წავართმევთ უფლებას, რომ რუსეთის პრეზიდენტის ამ ნათქვამის გამო თავი შეურაცხყოფილად, დამცირებულად და მხილებულად იგრძნონ: „Цепляют Россию то тут, то там без всяких причин. И, конечно, вокруг них сразуже, как вокруг Шерхана, крутятся всякие мелкие Табаки. Все, как у Киплинга, подвывают для того, чтобы задобрить своего суверена. Киплинг — великий писатель“.

დიახ, მათ აქვთ უფლება, პუტინის ამ ნათქვამის გამო თავი მხილებულად იგრძნონ, მაგრამ რუსეთსაც აქვს უფლება, იყოს მამხილებლის როლში. ის ნაწარმოებიც, რომელიც პუტინმა გაიხსენა, მამხილებელი პათოსითაა დაწერილი. მამხილებელი პათოსით შეიქმნა მისი შესანიშნავი ეკრანიზაციაც. მხილება მათი, ვინც უზნეო საქციელით ამას იმსახურებს, განა ყველას ვალი არ არის — დაწყებული შესანიშნავი მწერლით — **რადიარდ კიპლინგით** და დამთავრებული ვლადიმერ პუტინით?! **განა თითოეული ჩვენგანი მოვალე არ ვართ, ვამხილოთ დასავლეთის ის ავირახსნილი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, ვენესუელის კანონიერი და მოქმედი პრეზიდენტის, ნიკოლას მადუროს, ნაცვლად აშშ-ის ადმინისტრაცია ვინმე თვითმარქვია გუაიდოს, ყოველგვარი არჩევნებისა და ლეგიტიმაციის გარეშე, პრეზიდენტად აღიარებს?! განა თითოეული ჩვენგანი მოვალე არ ვართ, ვამხილოთ დასავლეთის პოლიტიკური შულერობა, ვინმე თვითმარქვია ტიხანოვსკაიას ბელარუსის პრეზიდენტად გამოცხადების გამო?! განა მთელი მსოფლიო მოვალე არ არის, ამხილოს აშშ-ის სამარცხვინო პოლიტიკა, სადაც ბელარუსის მოქმედი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების ლიკვიდაცია დაიგეგმა?!** სწორედ ეს თქვა და ამას გაუსვა ხაზი პუტინმა, რადგან არავითარი ვალდებულება, მეტიც, არავითარი უფლება არ ჰქონდა, დასავლეთის ამგვარი ბარბაროსული ჩანაფიქრების მხილებისგან თავი შეეკავებინა: „Можно иметь любую точку зрения по поводу политики президента Белоруссии Александра Григорьевича Лукашенко. Но практика организации госпереворотов, планов политических убийств, в том числе и высших должностных лиц — это уже слишком. Все границы перешли уже“.

იმ უკრაინელს, რომელიც იმით დარჩა შეურაცხყოფილი, რომ პუტინმა უკრაინა საერთოდ არ ახსენა, უნდა ვუთხრა, რომ, როგორც ჩანს, იგი ვერ მიხვდა, თორემ **პუტინმა უკრაინაც ახსენა, საქართველოც, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიც, პოლონეთიც, ჩეხეთიც, სლოვაკეთიც და ყველა დანარჩენიც, საიდანაც ამერიკელთა დავალებით რუსეთის მიმართ ატეხილი გაუთავებელი ყეფა და წკავწკავი ისმის. სწორედ ამ სახელმწიფოთა ხელისუფლებაში არიან ის ლეშიჭამიები (ТАБАКИ), რომლებიც ბებერ და ბოროტ შერხანს (აშშ) ეტმასნებიან.** ალეგორია, რომელიც პუტინმა მოიხმო, ვიღაცისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა, მაგრამ იმ ვიღაცამ შეურაცხყოფილად მაშინ კი არ უნდა იგრძნოს თავი, როდესაც რუსეთის პრეზიდენტისგან სწორ შეფასებას ისმენს, არამედ მაშინ, როდესაც მის სამშობლოში, მისი ხალხის სახელით უმსგავსობას სჩადიან — **საქართველოში რუსეთს ისტორიულ მტრად აცხადებენ, უკრაინაში ფაშისტებს ეროვნულ გმირებად ასაღებენ, ევროპაში ფაშისტებისგან გამათავისუფლებელი საბჭოთა მარშლებისა და ჯარისკაცების ძეგლებსა და მემორიალებს ანადგურებენ. აი, როდის უნდა იგრძნოთ თავი შეურაცხყოფილად, ბატონებო და ქალბატონებო.** თქვენს სახელმწიფოებსა და კონტინენტებზე რაც უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლება ამერიკის ძალმომრეობრივ პოლიტიკას, რაც უფრო მეტად გაიზიარებთ მის აგრესიას მთელ მსოფლიოში, მით მეტად დააყენებთ საკუთარ თავს დარტყმის ქვეშ, იმიტომ, რომ, **მადლობა ღმერთს, მსოფლიოში არსებობს ხალხი და არსებობს სახელმწიფო, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის ამერიკულ ძალმომრეობას (თუნდაც მას დემოკრატია ერქვას სახელად) ისე-** ▶

**პუტინმა უკრაინაც ახსენა, საქართველოც, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიც, პოლონეთიც, ჩეხეთიც, სლოვაკეთიც და ყველა დანარჩენიც, საიდანაც ამერიკელთა დავალებით რუსეთის მიმართ ატეხილი გაუთავებელი ყეფა და წკავწკავი ისმის. სწორედ ამ სახელმწიფოთა ხელისუფლებაში არიან ის ლეშიჭამიები (ТАБАКИ), რომლებიც ბებერ და ბოროტ შერხანს (აშშ) ეტმასნებიან**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თქვენს სახელმწიფოებსა და კონტინენტებზე რაც უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლება ამერიკის ძალმომრეობრივ პოლიტიკას, რაც უფრო მეტად გაიზიარებთ მის აგრესიას მსოფლიოში, მით მეტად დააყენებთ საკუთარ თავს დარტყმის ქვეშ, იმიტომ, რომ, მადლობა ღმერთს, მსოფლიოში არსებობს ხალხი და არსებობს სახელმწიფო, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის ამერიკულ ძალმომრეობას (თუნდაც მას დემოკრატია ერქვას სახელად) ისევე ამოსდებს ალვირს, როგორც მეოცე საუკუნეში საბჭოთა კავშირმა ამოსდო გერმანულ ფაშისტურ მხეცობასა და ზნედაცემულობას.**

# საგანთა და მოვლენათა ლოგიკას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სხვა გზა, სხვა ხსნა არც რუსეთისთვის არსებობს და არც სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისთვის. დღეს იქნება თუ ხვალ, ეს დაშლილ-დაქუცმაცებული სივრცე კვლავ უნდა გაერთიანდეს და ამ საქმეს ხელს ველარ შეუშლიან, მიუხედავად იმისა, გაერთიანება «В ПРЕЖНЕМ ВИДЕ» შედგება თუ მისგან განსხვავებული ფორმა მიეცემა...



◀ **ვე ამოსდებს ალვირს, როგორც მეოცე საუკუნეში საბჭოთა კავშირმა ამოსდო გერმანულ ფაშისტურ მხეცობასა და ზნედაცემულობას.** პუტინმა, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცის, რომ რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ესკალაცია მსოფლიოში სიკეთეს არავის მოუტანს, მაგრამ მას სხვა გზას არ უტოვებენ, ამიტომ იძულებულია, რეალობას თვალი გაუსწოროს და მოსალოდნელი შედეგების შესახებ დაუფარავად განაცხადოს: „Мы не хотим сжигать мосты, но если кто-то воспринимает наши добрые намерения как безразличие или слабость и сам намерен взорвать эти мосты, то они должны знать, что ответ России будет асимметричным, быстрым и жестким“. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მოვლენათა ამგვარ განვითარებას და რით შეიძლება ეს ყველაფერი დასრულდეს? პუტინის აზრით, მსოფლიოს წინაშე ესეც ღიად უნდა გაცხადდეს: „Организаторы любых провокаций, угрожающих коренным интересам нашей безопасности, пожалеют о содеянном так, как давно уже ни о чем не жалели“. პუტინის ამ სიტყვებმა **მაო ძედუნის** მიერ დიდი ხნის წინათ ნათქვამი უტყუარი აზრი გამახსენა: **„იმპერიალისტები თუ გადაწყვეტენ, რომ მესამე მსოფლიო ომი გააჩაღონ, ისინი ვერაფერს მიაღწევენ, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საბოლოო დაღუპვის გარდა“.** მე უკვე ვახსენე გერმანული ფაშიზმი და მისთვის ალვირის ამომდები საბჭოთა კავშირი. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის პრეზიდენტსაც ეს ახსენდებოდა, როდესაც ამ სიტყვებს წარმოთქვამდა: **„...пожалеют о содеянном так, как давно уже ни о чем не жалели“. რუსეთის პრეზიდენტი აფრთხილებს დასავლეთის აგრესიულ ძალებს, რომ არ გადმოკვეთონ წითელი ხაზები, რომელთა იქით დანდობა და პატიება ვერ იქნება და არ იქნება.** თვითონ მას კი მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი არა მხოლოდ ის, სად გადის წითელი ხაზები, არამედ ისიც, ვინ ადგენს მათ: „Надеюсь, что никому не придет в голову перейти в отношении России так называемую красную черту. А где она будет проходить, это мы будем определять в каждом конкретном случае сами“.

თითოეული ჩვენგანი მოწმე ვხდებით დაძაბულობის შემაშფოთებელი მასშტაბებისა, რომლებიც ყოველდღიურად იზრდება, მაგრამ აშშ-სა და კოლექტიურ დასავლეთს ვითარების განმუხტვის სურვილს ვერ ვამჩნევთ. ისინი, რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთს ასხამენ და ყოველ ნაბიჯზე მიუტევებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ. ერთადერთი, ვინც სიტუაციის გადარჩენაზე ფიქრობს, რუსეთი და მისი პრეზიდენტია: „Россия еще раз настоятельно предлагает партнерам обсудить вопросы, связанные со стратегическим вооружением, с обеспечением глобальной стабильности. Целью таких переговоров может стать создание среды бесконфликтного сосуществования на основе уравнения безопасности, которая охватывала бы не только традиционные стратегические вооружения, но и все наступательные и оборонительные системы, способные решать стратегические задачи, независимо от ихо снащения“.

მსოფლიო უკიდურესად დაძაბულია. იგი ვერ თავისუფლდება ძალადობის ისეთი ვერაგული და ჩამორჩენილი ფორმებისგან, როგორიცაა არასასურველ მოღვაწეთა ფიზიკური ლიკვიდაცია, სახელმწიფო გადატრიალება და ტერორი. რუსეთის ფედერალურ საკრებულოში ვლადიმერ პუტინის მოხსენების წინა დღეებში ბელარუსში პრეზიდენტ ლუკაშენკოსა და მისი ოჯახის წევრებზე თავდასხმის მზადების ბრალდებით რამდენიმე პირი დააკავეს. პუტინმა ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა თავის მოხსენებაში. მეორე დღეს (22 აპრილს) ლუკაშენკო მოსკოვში ჩაფრინდა და პრეზიდენტ პუტინთან პირისპირ ოთხსაათიანი შეხვედრა გამართა. ამ შეხვედრასაც მთელი მსოფლიო ყურადღებით აკვირდებოდა, რადგან რუსეთის ირგვლივ შექმნილი არანორმალურად დაძაბული ვითარება ყველას იმ აზრისკენ უბიძგებს, რომ რუსეთში ისტორიულ ნაბიჯებს გადადგამენ.

ჩემდა გასაკვირად, ყოველივე ამის ფონზე პუტინისა და ლუკაშენკოს შეხვედრის შესახებ რუსულ პრესაში ასეთ ძუნწ ინფორმაციას ვკითხულობთ: „Завершились переговоры. Почти четыре часа они продлились“, — сказал Песков. По его словам, главы государств обсуждали вопросы экономического взаимодействия между двумя странами. „Главным образом промышленную кооперацию, сотрудничество в сфере энергетикии медицины, взаимодействие в высокотехнологичных областях“, — сообщил пресс-секретарь президента РФ. შესაძლებელია, გარკვეულ უტაქტობას ვავლებ, მაგრამ ამ ინფორმაციის სისრულეში სერიოზული ეჭვი შემაქვს. კი, ეკონომიკის საკითხებზეც შეიძლება ორი სახელმწიფოს მეთაურები ოთხი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ, მაგრამ ასეთ დაძაბულ ვითარებაში, ერთი მხრივ, რუსეთის თავზე შეკრებილი ღრუბლების, მეორე მხრივ, ლუკაშენკოს ფიზიკური ლიკვიდაციის პრევენციის ფონზე მოკავშირე სახელმწიფოთა პრეზიდენტები მხოლოდ ეკონომიკის საკითხებზე მსჯელობით შემოიფარგლნენ?! ამითი თუ არ შემოფარგლულან და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებიც განიხილეს, გავრცელებულ ინფორმაციაში რატომ არ აისახა ის, თუ კერძოდ რა იყო „სხვა საკითხები“? დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაშიც პროფესორ ვახტანგ გოგუაძის იმ ფორმულასთან გვაქვს საქმე, რომლის მიხედვითაც იმაზე გაცილებით მნიშვნელოვანი, რა უნდა ითქვას, არის ის, რა არ უნდა ითქვას. დასავლეთთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, პუტინი ღია კარტით თამაშობს-მეთქი, აღვნიშნე წელან, მაგრამ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ, არა მგონია, ყველაფერი ღია იყოს. ვფიქრობ, რომ **მსოფლიოს ბედის კვანძის გახსნა არა რუსეთისა და ჩინეთის სამხედრო-სტრატეგიულ კავშირშია, როგორც ბევრ ანალიტიკოსს მიაჩნია, არამედ, პირველ რიგში, რუსეთისა და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მომავალ ურთიერთობებში.** დაუჯერებელია და წარმოუდგენელია, რომ რუსეთის იმ წრეებში, რომლებშიც გადაწყვეტილებებს ამზადებენ და იღებენ, ეს არ ესმოდეთ. ჩემი ღრმა რწმენით, პოსტსაბჭოთა სივრცეში ამ ახლო მომავალში პოლიტიკური ცხოვრება გააქტიურდება და ურთიერთობების სრულიად ახალი ფორმები ჩამოყალიბდება. **ახლა, როდესაც პანდემიის გამო მსოფლიოს სახეზე ნიღაბი აქვს აფარებული, დასავლეთმა ნიღაბი მოიხსნა და მისი ნამდვილი, შემზარავი სახით წარსდგა ჩვენ წინაშე. იმ საბჭოთა რესპუბლიკებმა, რომლებმაც მკვეთრად აიღეს კურსი ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირისკენ, ფიასკო განიცადეს.** საქართველომ და მოლდოვამ ტერიტორიები დაკარგეს; სომხეთმა მას შემდეგ, რაც ამერიკული „ფერადი რევოლუციის“ შედეგად სათავეში **ფაშინიანი** მოვიდა, მთიანი ყარაბაღი დაკარგა; იმ რესპუბლიკებიდანაც კი, რომლებიც ევროკავშირისა და ნატოს წევრები გახდნენ, შრომისუნარიანი მოსახლეობა გარბის; 2020 წლის მონაცემებით, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მოსახლეობა 1,68 მილიონით შემცირდა. ისედაც მცირერიცხოვანი ქვეყნებისთვის ეს კატასტროფის ტოლფასია. მხოლოდ ცენტრალური აზიის რესპუბლიკები, რომლებმაც რუსეთთან ურთიერთობის შენარჩუნება გარკვეულ დონეზე მაინც მოახერხეს, უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ; ხოლო, **ბელარუსმა** — ერთადერთმა რესპუბლიკამ, რომელმაც რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება გააფორმა, პოსტსაბჭოთა სივრცეში ცხოვრების ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია. ეს ის მაგალითებია, რომელთა უგულებელყოფა, თუკი თავს ძალით არ დავიბრმავებთ, შეუძლებელია. მიუხედავად ამ მაგალითებისა, პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციულ პროცესებს დეზინტეგრაციული პროცესები სჭარბობს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ სივრცეში წარმოშობილი ორგანიზაციები (დსთ, საბაჟო კავშირი, ევრაზიული ეკონომიკური კავშირი, „ოდკბ“) თითქმის მკვდრადშობილი ორგანიზაციები აღმოჩნდნენ. საქმე ამ ორგანიზაციების არც დასახელებაშია და არც მიმართულებაში, საქმე მიდგომაშია, მიდგომაში, რომელიც პრინციპულად შესაცვლელია. **ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში, თუკი მათ სურთ, რომ ამერიკულ დიქტატსა და ძალმომრეობას, უსამართლობასა და უზნეობას თავი დააღწიონ, უნდა დაიწყოს და გაჩაღდეს ბრძოლა საერთო სამხედრო სტრატეგიული კავშირის შესაქმნელად. ამ რესპუბლიკების მოსახლეობაში, ალბათ, გარკვეული მეტ-ნაკლებობით, მაგრამ ეს განწყობები მომწიფებულია.** რუსეთს ამ მიმართულებით გააქტიურება ან არ უნდა, ან არ ჩქარობს, რადგან იცის, რომ ასეთ შემთხვევაში თავს დაატყდება დასავლური საინფორმაციო ზვავი, რომელიც მას საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობაში დაადანაშაულებს. რუსეთის ხელისუფლება ამას თუ ერიდება, ეს მცდარი მიდგომაა. **რუსეთში სწორედ მიუნხენის კონფერენციის პათოსით უნდა განაცხადონ, რომ საბჭოთა კავშირის ნებაყოფლობითი აღდგენა კი არ იქნება დანაშაული, საბჭოთა კავშირის ძალადობრივი და მოღალატეობრივი დაშლა იყო დანაშაული. ეს იყო დანაშაული, რომელმაც დიდი სამამულო ომის შემდეგ საბჭოთა ხალხს ყველაზე მეტი უბედურება დაატეხა თავს და ყველაზე მეტი სისხლი და ცრემლი მოუტანა.** პუტინმა, თავის დროზე, ყველაზე სწორი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის დაშლას — „საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“. ამ კატასტროფამ, ისევე, როგორც დიდმა სამამულო ომმა, კალაპოტიდან ამოაგდო და გააუბედურა ორას ოთხმოცი მილიონი საბჭოთა მოქალაქის ცხოვრება. ამავე საკითხზე რუსეთის პრეზიდენტს ერთი ფრთიანი გამონათქვამიც აქვს: „Кто не жалеет о распаде СССР, у того нет сердца. А у того, кто хочет его восстановления в прежнем виде, нет головы“. ძლიერი ნათქვამია, თუმცა, ალბათ, მაინც საკამათო. ნათქვამის პირველი ნაწილი სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მეორე ნაწილი, როგორც ვთქვი, სადავოა. ნათქვამის ამ ნაწილს ოდნავ ამართლებს ჩართული ორი სიტყვა, „в прежнем виде“, მაგრამ — არა ბოლომდე. საბჭოთა კავშირში შემავალმა რესპუბლიკებმა და ხალხებმა ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული სივრცე შექმნეს, ეპოქის მთელი სიმძიმე ერთად იტვირთეს და, რაც მთავარია, მსოფლიო ერთად იხსნეს დასავლური შავი ჭირისგან, რომლის მსგავსი ბოროტება ქვეყნიერებას იქამდე არ ენახა. კაცობრიობის ისტორიაში თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკის მიერ შექმნილი სოციალური სამართლიანობის პრინციპზე აგებული ზესახელმწიფო, **პუტინის შესანიშნავი შედარების მიხედვით, შერხანმა და მისმა ლეშიჭამიებმა (ТАБАКИ) მუხანათური ღალატის გამოყენებით დაშალეს. ახლა ვერაგი დასავლეთის ვასალებად ქცეულ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს ერთმანეთის სტრატეგიული პარტნიორობისა და საკუთარი თავის წინაშე მდგარი უზარმაზარი პრობლემების გადაჭრაში კოლექტიური ძალისხმევის სურვილი თუ გაუჩნდებათ, თუნდაც „В ПРЕЖНЕМ ВИДЕ“**, ამის გამო საბოდიშო ვისთან რა უნდა ჰქონდეთ?! როგორც ჩანს, აქაც ვახტანგ გოგუაძის საოცარი ფორმულა მუშაობს, რომლის მიხედვითაც მთავარია, დროზე ადრე არ ითქვას ის, რისი თქმაც საქმეს გააფუჭებს. მე არ მიმიწვდება ხელი ისეთ საიდუმლო დოკუმენტზე, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი მიდგომების შესახებ ღაღადებს, მაგრამ რაში გვჭირდება საიდუმლო დოკუმენტებზე წვდომა, თუკი რუსეთის პრეზიდენტი დაუფარავად აცხადებს, რომ „Наша политика на постсоветском пространстве в рамках СНГ является главной составляющей нашей внешней политики вообще“ (ვალდაის კლუბი, 2020 წ.).

ეს განცხადებაც რომ არ არსებობდეს, საგანთა და მოვლენათა ლოგიკას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სხვა გზა, სხვა ხსნა არც რუსეთისთვის არსებობს და არც სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისთვის. დღეს იქნება თუ ხვალ, ეს დაშლილ-დაქუცმაცებული სივრცე კვლავ უნდა გაერთიანდეს და ამ საქმეს ხელს ველარ შეუშლიან, მიუხედავად იმისა, გაერთიანება „в прежнем виде“ შედგება თუ მისგან განსხვავებული ფორმა მიეცემა...

**ვალერი კვარაცხელია**

ქმნა მართლისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აბსოლუტურად ალოგიკური ვითარება ჩამოყალიბდა: ერთი მხრივ, მკაცრდებოდა სამართალი, სასჯელი „ქურდული სამყაროს“, „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ, პარალელურად ამ სამყაროს წესები და ტრადიცია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მკვიდრდებოდა. ქურდები, თანაც „კანონიერი“, „ავტორიტეტები“ მხოლოდ ისინი უნდა ყოფილიყვნენ. „დაყაჩაღება“ მათი ზეობის ხანაში დამკვიდრებული ნეოლოგიზმია“.**

# ვისაც ჩავაცვი, მან გამხადაო

## ე.წ. ახალი ადამიანის კულტივირება — უზნეო, უტრადიციო, კაცობადაკარგული, სიტყვის გამტეხი და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ასოციალური კულტის დამკვიდრება «ახალ საქართველოში»

**ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებრივი მმართველობის მხილებისას რატომღაც უყურადღებოდ რჩებათ ნაცების მიერ ჩვენი საზოგადოების წახდენის, ზნეობრივი გარყვნის საკითხი.**

ეს საკითხია „ახალ საზოგადოებაში“ ე.წ. ახალი ადამიანის კულტივირება — უზნეო, უტრადიციო, კაცობადაკარგული, სიტყვის გამტეხი და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ორიენტირებული ასოციალური კულტის დამკვიდრება, რომლისთვისაც „ახალგაზრდა დემოკრატებმა“ საქართველოში ყველა პირობა შექმნეს.

უწინარესად — საკუთარი მაგალითით.

ელიტარული კორუფციის პანდემიით დაწყებული, მაღალმოხელეთა მომხვეჭელობის პრაქტიკული მოღვაწეობით დამთავრებული.

კუდის რიკამდე ატყავებდნენ პატიოსან ბიზნესს.

სასწაულებრივ მდიდრდებოდნენ ელიტას მიტმასნილი „ახალი ქართველები“ და წვრილფეხობაც, რომელიც **სახელმწიფო პოლიტიკად ტრანსფორმირებულ ყაჩაღობას** საკუთარი ცხოვრების წესად აღიარებდა.

**აბსოლუტურად ალოგიკური ვითარება ჩამოყალიბდა: ერთი მხრივ, მკაცრდებოდა სამართალი, სასჯელი „ქურდული სამყაროს“, „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ, პარალელურად ამ სამყაროს წესები და ტრადიცია ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მკვიდრდებოდა. ქურდები, თანაც „კანონიერი“, „ავტორიტეტები“ მხოლოდ ისინი უნდა ყოფილიყვნენ.**

**„დაყაჩაღება“ მათი ზეობის ხანაში დამკვიდრებული ნეოლოგიზმია, გაკეთილშობილებული ჟარგონი, სლენგი.**

ქვეყნის დამყაჩაღებელი მმართველები, მათი უსიტყვოდ მორჩილი სამართალდამცველები და, როგორც გითხარით, მედროვეთა წვრილფეხობაში ამოჯეჯილებული ახალი ფორმაციის ქურდები, გადამგდებები, სახელმწიფო ბიუჯეტის თუ სხვისი კერძო ქონების მპარავნი იყვნენ.

ველური კაპიტალიზმი სხვა არა არის რა.

ამ ზოგადი, გულის მოსაოხებელი შესავლის შემდეგ ერთ კონკრეტულ მაგალითს წარმოგიდგენთ, ერთ ფაქტს, რომელმაც სერიოზულად დააზარალა ცნობილი ქართველი მოღვაწისა და მეცენატის, ქართული წარმოების აღდგენის ინიციატორ **გოგი თოფაძისა** და მისი პარტნიორების ბიზნესი.

წლებია, რაც ეს ამბავი საჯაროდ არ გამოუტანია კომპანია „ყაზბეგს“, მაქსიმალურად ცდილობდა, თავის სამოქმედო სივრცეშივე მოეგვარებინა კონფლიქტი. დინჯად, მშვიდობიანად, სამართლიანად.

უშედეგოდ.

**ახლახან, მერამდენე მცდელობაზე, ბოლოს და ბოლოს, ინტერვიუზე დაგვთანხმდა ბატონი გოგი თოფაძე: გაითვალისწინა საზოგადოების დიდი ინტერესი ამ ფაქტის მიმართ.**

**ბატონი გოგი იხსენებს:**

— იყო პერიოდი, როცა ჩვენს კომპანია „ყაზბეგში“ ობიექტების გაფართოვების პერსპექტივა გაჩნდა. გახსოვთ, ალბათ, როგორ იძარცვებოდა საქართველოს ტყეები. იმხანად, როცა ძვირფასი ჯიშების მორები გაჰქონდათ საზღვარგარეთ, როგორც ნედლი მასალა, რომლის დამუშავებითა და გაყიდვით მდიდრდებოდნენ უცხოეთში. ჩვენი კომპანიის ხუთმა დამფუძნებელმა გადავწყვიტეთ ამ პრობლემის მოგვარებაში საკუთარი წვლილის შეტანა. დავუკავშირდით ჩვენ მეგობარს, კახეთში, სოფელ ფშაველში მცხოვრებ **ლუკა რამაზაშვილს** და დავიწყეთ ამ იდეის განხორციელება. **მოვიწვიეთ სპეციალისტები, რომლებმაც ორი თვის განმავლობაში სრულად შეისწავლეს გომბორის ტყის საწარმოო პოტენციალი, რომელიც 15 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 10000 კუბური მეტრის გადამუშავების საშუალებას მოგვცემდა. მათი რჩევითა და სხვა პროფესიონალების მითითებით, 2002 წლიდან დავიწყეთ ხე-ტყის გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შეძენა.** საუკეთესო მანქანა-დანადგარები შემოვიტანეთ გერმანიიდან, იტალიიდან, თურქეთიდან. მათ შორის: პარკეტის დამამზადებელი ტექნიკა სრულად, სახერხი დაზგები, უნიკალური საშრობი ღუმელები და ასე შემდეგ, ყველაფერი, რაც ამ სახის საწარმოსთვის იყო აუცილებელი. მაშინ მეორე, ასე სრულად აღჭურვილი ქარხანა საქართველოში არ არსებობდა.

**ავამუშავეთ ეს საწარმო სოფელ ფშაველში 2005 წელს და სახელად „ყაზბეგი-ფშაველი“ დავარქვით. თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა: ჩვენი პროდუქცია იყიდებოდა ირანში, თურქეთში, იტალიაში. გაგვქონდა სხვა ქვეყნებშიც.**



სოფელი ფშაველი

**«ავამუშავეთ ეს საწარმო სოფელ ფშაველში 2005 წელს და სახელად «ყაზბეგი-ფშაველი» დავარქვით. თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში წარმატებით ვამუშავებდით: ჩვენი პროდუქცია იყიდებოდა ირანში, თურქეთში, იტალიაში. გაგვქონდა სხვა ქვეყნებშიც. ხარჯმა, რომელიც ამ ქარხნის ასამუშავებლად გავიღეთ, 2.400.000 ამერიკულ დოლარს გადააჭარბა და ეს თანხა ხუთივე თბილისელმა პარტნიორმა — დულო გიორგობიანმა, აკაკი გიგაურმა, ნოდარ დვალმა, ირაკლი და გიორგი თოფაძეებმა გადავიხადეთ. წარმოების დაჩქარების მიზნით ბანკ «ქართუდან» ავიღეთ სესხი 500 000 აშშ დოლარის ოდენობით»**

ხარჯმა, რომელიც ამ ქარხნის ასამუშავებლად გავიღეთ, 2.400.000 ამერიკულ დოლარს გადააჭარბა და ეს თანხა ხუთივე თბილისელმა პარტნიორმა — **დულო გიორგობიანმა, აკაკი გიგაურმა, ნოდარ დვალმა, ირაკლი და გიორგი თოფაძეებმა გადავიხადეთ.** წარმოების დაჩქარების მიზნით ბანკ „ქართუდან“ ავიღეთ სესხი 500 000 აშშ დოლარის ოდენობით.

ჩვენს კახელ მეგობარს საერთო წილიდან დავუთმეთ 30 პროცენტი, დანარჩენი 70 პროცენტი ჩვენი კომპანიის ხუთმა დამფუძნებელმა გადავინაწილეთ, მაგრამ წამოწყებულ საქმეს ავი თვალით შეხედა იმჟამინდელმა ხელისუფლებამ და მშვიდად მუშაობის შესაძლებლობა ექვს თვეში მოგვისპო. 2006 წლის იანვარში სრულიად მოულოდნელად დააპატიმრეს ლუკა რამაზაშვილი. როგორც კი შევიტყვეთ ეს ამბავი, დაუყოვნებლივ ჩავედით კახეთში. ვის არ მივაკითხეთ, ვის არ ვთხოვეთ, ეთქვათ მიზეზი, ამ რეპრესიის განხორციელებას რომ დაასაბუთებდა.

**ორი თვის განმავლობაში საქმის კურსში არავინ ჩაგვაყენა. ორი თვის თავზე გვითხრეს, რომ ჩვენს პარტნიორს მავანისგან უსესხებია ერთი პატარა მანქანა აგური და ბეტონის ბლოკები კედლის ამოსაყვანად. სამართალდამცავებს ეს ფაქტი ქურდობად ჩაუთვლიათ. ასეთი იყო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ძალიან ჰგავდა პროვოკაციას. მიზანი, რა თქმა უნდა, ჩვენი ქარხნის ხელში ჩაგდება იყო, რისთვისაც მოწადინებულები იყვნენ ყოფილი ხელისუფალნი.**

**პარტნიორის ასეთი ღალატი, არაკაცობა ზურგში დანის ჩარტყმასავით მოულოდნელი იყო, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში არავის გაკვირვებია, ამგვარი მეთოდით იმართებოდა მაშინ ჩვენი ქვეყანა და ნებისმიერ საქმეში, როგორიც ჩვენს თავს დატრიალდა, კორუფციაში ჩართული მოხელეების ინტერესი იკვეთებოდა**

თვეების განმავლობაში გრძელდებოდა სასამართლო პროცესი და ჩვენს მეგობარს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ვერ უშველა ვერც გამოჩენილმა ადვოკატმა, რომელიც მის უფლებებს იცავდა, ვერც იმ არგუმენტმა, რომ ერთი პატარა მანქანა საშენი მასალის თუნდაც ქურდობა 8 წლით პატიმრობას არ იმსახურებდა, ვერც ჩვენმა ჩარევამ მთავრობის დონეზე. ბოლოს მოუგონეს — ორი კაცი (ქისტი) მოკლაო, რაც ყოვლად დაუჯერებელი იყო. გავიკითხ-გამოვიკითხეთ, ქისტებსაც ვესაუბრეთ და, არ დაგიმალავთ, ზოგიერთი მათგანის მონაყოლმა გარკვეული ეჭვი გაგვიჩინა.

მოკლედ, წავაგეთ პროცესი.

**უფრო მეტიც, დაგვიგროვდა 500 000 აშშ დოლარის ვალი. მაშინ იყო, რომ ჩვენ, ხუთმა პარტნიორმა, გადავწყვიტეთ, ამ ვალის დაფარვა საკუთარ თავზე აგვეღო, რადგან რამაზაშვილი სასჯელს იხდიდა.**

**— კეთილშობილური ჟესტია, მაგრამ ხელისუფლების ქმედებასთან რა კავშირი აქვს, ვერ ვხვდები.**

— ახლავე აგიხსნით. **იმდროინდელ ხელისუფლებას ფულის იოლად შოვნის მადა გაეხსნა. კერძოდ, მოუნდა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის, რომელიც ტყის პოტენციაში იყო მატერიალიზებული (სამეგრელოში, სვანეთში, კახეთში და სხვა მხარეებში) ჩინელებისთვის დათმობა. მიჰყიდეს კიდეც. ვინ შეუშლიდა ხელს?!** კახეთის ტყის საუკეთესო მასივები ჩინელებმა იგდეს ხელთ. ეს კი ნიშნავდა, რომ ჩვენი საწარმო ნედლეულის გარეშე დარჩა. თითქმის ორი წლის განმავლობაში ქარხანა ვერ ავამუშავეთ.

შექმნილი ვითარების გამო იძულებულნი შევიქენით, საწარმო ჩინელებისთვის მიგვექირავებინა, ოღონდ იმ პირობით, რომ მათ, უწინარეს ყოვლისა, ყოველწლიურად გადაეხადათ ჩვენი საბანკო სესხის 12 პროცენტი. ამ შეთანხმების გასაკონტროლებლად პარტნიორებმა ადგილზე მივავლინეთ ერთი ახალგაზრდა ეკონომისტი. მას თვალი უნდა მიედევნებინა საწარმოს საქმიანობისთვის, განსაკუთრებით კი, შემოსავალ-გასავლისთვის.

**ჩინელებისთვის ქარხნის ჩაბარების მომენტისთვის საწარმოს არ ჰქონდა ტყიდან გადასამუშავებლად მოზიდული მასალა. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად გვთხოვეს, 30 თანამემამულის ჩამოყვანის ნება დაგვერთო. ჩვენ კატეგორიული უარი განვუცხადეთ, რადგან კახელი სპეციალისტები შესანიშნავად ართმევდნენ თავს ამ საქმეს. დიდი და ხანგრძლივი დავის შემდეგ 6 ჩინელის ჩამოყვანას დავთანხმდით, ძირითადად, ადგილობრივი მუშახელის უმეტესობა შევინარჩუნეთ.**

პირველ სამ თვეს ჩინელებს ნორმალურად შე- ▶

**კოვიდმა ადამიანები არა მხოლოდ ფიზიკურად დააზიანა, არამედ სერიოზულად გაართულა მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა. სპეციალისტები ხაზს უსვამენ ისეთ უარყოფით მოვლენებს, როგორიცაა დეპრესია, შფოთვა, კონცენტრაციის გაძნელება, მეხსიერების პრობლემები, განწყობილების შეცვლა.**

ქმნა მართლისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჰქონდათ ბანკისთვის გადასახდელი პროცენტები. შემდეგ აირია ყველაფერი. საწარმოში მივლინებულმა ჩვენმა ეკონომისტმა განგვიცხადა, რომ იძულებულია, თავი დაანებოს სამუშაოს. თავისი გადაწყვეტილება ასე აგვიხსნა: **როცა ჩინელებს შეთანხმებული ვალდებულების შესრულებისკენ მივუთითებდი, ზოგი მიპასუხებდა, რომ ქუთაისში დიდ ქარხანას აშენებდნენ, რომელიც დიდი თანხა უჯდებოდათ, მოვრჩებით ამ საქმეს და შემდეგ დავიწყებთ გადახდასო; ზოგი კი ჩვენს თანამემამულეებზე მიგვითითებდა: მათ მოჰკითხეთ, ფული მათ გადავეცით ბანკში გადასაგზავნად და, თუ არ გადარიცხეს, ჩვენი რა ბრალიაო. ქართველები ჩინელებს დამუქრებიან, ასეთ უნამუსობას რატომ გვაბრალებთო, გაუწევიათ ერთმანეთზე და დიდი ჩხუბიც ამტყდარა.** ფიზიკურად მეც შეურაცხმყვესო, — განგვიცხადა ჩვენმა ეკონომისტმა, — იქ დამბრუნებელი არ ვარო.

საქმის გასარკვევად თბილისში ჩინელების წარმომადგენლობას მივაკითხეთ. ავუხსენით სიტუაცია და დავაში ჩარევა ვთხოვეთ, მაგრამ დიპლომატებმა დამაჯერებლად დაგვიმტკიცეს, რომ ფშაველში სიტუაციის არევაში ჩინელებს წვლილი არ მიუძღვით და ქართველები ითვისებენო ფულს. ჩვენს თანამემამულეებს ქუთაისის ობიექტის მშენებლობაზე რომ გადავიყვანთ, თავადვე დარწმუნდებითო.

ასე იყო თუ ისე, გაფუჭებული საქმე ჩვენ უნდა მოგვეგვარებინა — ოცი თვის გადასახადი 12-12 პროცენტი ჩვენი დასაფარი შეიქმნა.

**— ესე იგი, თვითონ დაიდეთ ვალი...**

— სხვა გზა არ გვქონდა: პარტნიორებმა გადავწყვიტეთ, რომ უფრო დიდი ზარალის თავიდან ასაცილებლად გაგვეჩერებინა ქარხანა და რამაზაშვილის ციხიდან გამოსვლამდე ჩვენ დაგვეფარა ვალი. სასჯელის მოხდამდე მას 5 წელიწადი რჩებოდა.

ჩვენ კი გავაჩერეთ საწარმო, მაგრამ ის, რაც ჩაიდინეს დაპატიმრებული პარტნიორის ნათესავებმა და მეგობრებმა, ძნელი ასახსნელია: იჩეხებოდა უამრავი ხე, გაიყიდა 6 ტრაქტორი, ავტომანქანები, ბევრი სხვა ტექნიკა. ძალიან სამწუხარო ფაქტი შევიტყვეთ: ეს ყველაფერი თურმე ლუკა რამაზაშვილის კარნახით კეთდებოდა, მაშინ, როცა ჩვენ, ხუთივენი, მის გასათავისუფლებლად ვიბრძოდით.

**პარტნიორის ასეთი ღალატი, არაკაცობა ზურგში დანის ჩარტყმასავით მოულოდნელი იყო, მაგრამ იმ ხელისუფლების პირობებში არავის გაჰკვირვებია, ამგვარი მეთოდით იმართებოდა მაშინ ჩვენი ქვეყანა და ნებისმიერ საქმეში, როგორიც ჩვენ თავს დატრიალდა, კორუფციაში ჩართული მოხელეების ინტერესი იკვეთებოდა.**

გაიხრწნა სახელმწიფო აპარატი, აღზევდნენ მედროვენიც.

**— რამაზაშვილს გულისხმობთ?**

— დიახ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ნაცების ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ახალი მთავრობის ჩარევით 200-ზე მეტი უსაფუძვლოდ დაპატიმრებული ადამიანი გათავისუფლდა. ჩვენც აქტიურად ჩავერიეთ ჩვენი კახელი მეგობრის ციხიდან გამოყვანის საქმეში და მოვახერხეთ კიდეც ბიზნესპარტნიორის გათავისუფლება კანონიერების სრული დაცვით.

რას აკეთებს ამ დროს ლუკა რამაზაშვილი? საწარმოს ამუშავებაზე უარს ამბობს. დრო კი გადის. ზარალი მატულობს.

**ქარხანას უპატრონოდ ხომ არ მივატოვებდით და ჩვენი კომპანიის დამფუძნებელთაგან ერთ-ერთი დირექტორის მოვალეობის შესასრულებლად გავამწესეთ. ერთი კვირის თავზე გვირეკავს — ჩამოდითო. ჩავედით და თვალს არ დავუჯერეთ, რაც იქ ვნახეთ: ჩვენი ნაყიდი 6 ტრაქტორის, 12 სატვირთო ავტომანქანის, პერსონალის გადასაყვანი ავტობუსის, 2 მსუბუქი ავტომანქანის და კიდევ ბევრი სხვა ტექნიკის კვალიც კი გამქრალიყო.**

ქარხნის აღსადგენად ახალი ვალი ავიღეთ — 340 000 აშშ დოლარი. შევისყიდეთ ერთი მძლავრი ტრაქტორი, თურქეთიდან ჩამოვიყვანეთ სპეციალისტები საშრობი დანადგარების აღსადგენად, ბევრი სხვა ტექნიკა შევიძინეთ.

ფშაველში დროებით გაგზავნილმა პარტნიორმაააწყო საქმე და ჩვენი გამოშვებული ხარისხიანი პროდუქციის შესყიდვა ირანელებმა დაიწყეს. აღდგენაში რამაზაშვილს იოტისოდენა წვლილი არ მიუძღვის. განზე გადგა. გადავწყვიტეთ, გაგვეგო, რა იყო ამის მიზეზი. დავუთვალეთ ჩვენ ოთხმა, რომ ბანკის ვალის (500 000 აშშ დოლარის) დაფარვა 16 წლის განმავლობაში ერთ მილიონ დოლარზე მეტი დაგვიჯდა. მთლიანი ხარჯი კი სამ მილიონ დოლარს აღემატებოდა. დავინტერესდით, სად გაქრა ჩვენი მილიონები და გავარკვიეთ, რომ ის უნიკალური ფერმა, რომელსაც გულმოდგინედ გვიმალავდა, ჩვენი ფულით იყო დაარსებული: **500 სული კამეჩი, ევროპიდან ჩამოყვანილი 200-მდე ჯიშიანი ძროხა, 400 000 ცხვარი, ჩვენგან წაღებული ტრაქტორების მთელი პარკი, სამი ორსართულიანი შენობა და კიდევ ბევრი სხვა რამ. ლუკა რამაზაშვილი საკუთარ ცხოვრებას იწყობდა, ამით იყო დაკავებული და ვალის გადახდას არც აპირებდა.**

2018 წელს ტყის ჭრა საქართველოში აიკრძალა. დღეს 810.000 დოლარის სესხი დაფარული გვაქვს მარტო ჩვენ — ხუთივეს. გადასახდელი 255.000 დოლარი დაგვრჩა.

ყველაზე საინტერესო ამ ამბავში ის არის, რომ 16 წლის განმავლობაში ჩვენ — ხუთ პარტნიორს, 1 ლარი მოგებაც კი არ გვინახია.

მიტაცება იმდენად მასშტაბური იყო, რომ იძულებულები გავხდით, სარჩელი სასამართლოში შეგვეტანა.

ახლა ამ პროცესში ვართ ჩართულნი და იმედი ჯერჯერობით არ გადაგვიწურავს.

**ესაუბრა**
**სერგო მიქელაშვილი**

# ფსიქოთერაპია ამარცხებს კოვიდინფექციას!



**კოვიდინფექციის გავრცელებამ ფართო მასშტაბი მიიღო და უდიდესი გავლენა მოახდინა ცხოვრების ყველა სფეროზე. იგი შეეხო მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას. დიდია გარდაცვლილთა რაოდენობა. 2021 წლის 25 მარტის მონაცემებით, დაინფიცირდა 125 167 534 და გარდაიცვალა 2 748 908 ადამიანი. მხოლოდ საქართველოში კოვიდით დაავადდა 279 027 ადამიანი, რომელთაგან 3 732 გარდაიცვალა.**

დღეს მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია პოსტკოვიდური გართულებების თემა. ამ გართულებებს უწოდებენ „ლონგ კოვიდს". გამოცანად რჩება პოსტკოვიდური სიმპტომების არსებობა და მისი გახანგრძლივება დროში. პაციენტები სხვადასხვა სიმპტომს უჩივიან; გამოყოფენ გულის, ფილტვების, თირკმლების ანომალიებს, ნევროლოგიურ და ფსიქიკურ გართულებებს.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის მკვლევართა მონაცემებით, ასეთ პაციენტთა რაოდენობა 30%-ს აღწევს. უჰანში (ჩინეთი) განკურნებული პაციენტებიდან 76% კვლავ განიცდიდა რომელიმე სიმპტომის გავლენას. ევროპელი სპეციალისტების კვლევების მიხედვით, **კოვიდმა ადამიანები არა მხოლოდ ფიზიკურად დააზიანა, არამედ სერიოზულად გაართულა მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა. სპეციალისტები ხაზს უსვამენ ისეთ უარყოფით მოვლენებს, როგორიცაა დეპრესია, შფოთვა, კონცენტრაციის გაძნელება, მეხსიერების პრობლემები, განწყობილების შეცვლა.**

ინგლისის ჯანდაცვის უწყების მონაცემებით, კოვიდის გადატანის შემდეგ პაციენტთა 29,3% სხვადასხვა ჩივილით შებრუნდა კლინიკებში. მათგან 12,4% გარდაიცვალა. ოქსფორდის უნივერსიტეტის კვლევით, კოვიდის გადატანიდან პირველ 6 თვეში 33%-ს განუვითარდა სხვადასხვა მენტალური დაავადება. საერთაშორისო გამოკვლევებზე დაყრდნობით მსგავს პოზიციას გამოხატავს საერთაშორისო ექსპერტი **გიორგი ფხაკაძე:** კოვიდგადატანილთა 30%-ზე მეტს აქვსო რაიმე მენტალური პრობლემა. აღარ ვლაპარაკობთ გულზე, ფილტვებზე და ა.შ. არსებულ გართულებებზეო. საყურადღებოა ქართველი მედიკოსების დაკვირვების შედეგები. პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორის, **ლევან რატიანის,** თქმით, როგორც კოვიდ-19-ის, ისე ნებისმიერი დაავადების დაძლევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფსიქოემოციურ განწყობას. **დიმიტრი უზნაძის** განწყობის თეორიაც ადასტურებსო, რომ ფსიქიკა მართავს სხეულს. უარყოფითი განწყობა ამძიმებს ავადმყოფობას, შემართება და გამარჯვების რწმენა კი გადარჩენის საწინდარია 99% შემთხვევაში. იგივე აზრი გამოთქვა ინფექციონისტმა **მარინა ენდელაძემ** ინფექციურ საავადმყოფოში მოთავსებულ პაციენტებზე დაკვირვებისას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კოვიდპანდემიამ დიდი გავლენა მოახდინა ადამიანთა ჯანმრთელობაზე. **მილიარდამდე ადამიანს აღენიშნება ფსიქიკური მოშლილობები. ჯანმო შეშფოთებას გამოთქვამს ფსიქოლოგიური სამსახურების შეფერხებით მუშაობაზე.** ასეთი საგანგაშო მდგომარეობის ფონზე წარმოგიდგენთ ქართული ფსიქოთერაპიული სკოლების („მენცარი", „ანთროპოანალიზი") საინტერესო მონაცემებს. ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით ვკურნავთ ფსიქიკურ აშლილობას, ფსიქოსომატურ დაავადებებს და ანტისოციალურ ქცევებს (ნარკომანია, აზარტული თამაშები, ალკოჰოლიზმი და სხვ.). ამ ყველაფერს საერთო საფუძველი აქვს ფსიქიკური ტრავმის სახით. მკურნალობაც მიმდინარეობს მხოლოდ ფსიქოლოგიური მეთოდებით მედიკამენტების გარეშე. კოვიდინფექციის გაძლიერებისას გამოვთქვით ვარაუდი, რომ ჩვენთან ნამკურნალები ადამიანები ან არ დაავადდებოდნენ, ან დაავადებას გადაიტანდნენ მსუბუქ ფორმაში. ვარაუდის შესამოწმებლად გამოვკითხეთ 1994-2020 წწ. ჩვენი ყოფილი პაციენტები. ისინი პასუხობდნენ შემდეგ კითხვებზე: დაავადდით თუ არა კოვიდით (კი ან არა)? თუ დაავადდით, როგორ გადაიტანეთ (მსუბუქად, მძიმედ)? ატარებდით თუ არა პრევენციულ ღონისძიებებს მედიკამენტების, ვიტამინებისა და სხვ. გამოყენებით (კი, არა)? გქონდათ თუ არა კონტაქტი ინფიცირებულებთან (კი, არა)? მივიღეთ პასუხი 72 პაციენტისგან. მათგან დაავადდა 8 ადამიანი და ყველამ მსუბუქად გადაიტანა. 4 ადამიანი ახორციელებდა პრევენციულ მსუბუქ ღონისძიებებს, იღებდა რა ვიტამინებს. ინფიცირებულებთან კონტაქტი ჰქონდა 39 ადამიანს, რომელთაგან მხოლოდ 8 დაავადდა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პოსტკოვიდური გართულებები არ აღენიშნება არც ერთ მათგანს. ეს, ერთი შეხედვით, საოცარი შედეგები სულაც არაა გასაკვირი, თუ კარგად ჩავწვდებით ფსიქიკის რაობას. ადამიანი, უპირველესად, ფსიქიკური არსებაა. ჯერ კიდევ სოკრატე მიუთითებდა, რომ უმთავრესი ადამიანური თვისება არის რეფლექსიის (ფიქრის) პროცესი. ფსიქიკის პრიმატზე აკეთებდნენ აქცენტს **ზიგმუნდ ფროიდი, დიმიტრი უზნაძე** და სხვ.

ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული ანთროპოანალიზური ფსიქოთერაპიით ზუსტად ხდება ფსიქიკური აშლილობის მიზეზის მიგნება და მისი აღმოფხვრა. ეს განაპირობებს ფსიქიკის ისეთ მდგრადობას (მას შეიძლება „ფსიქიკური იმუნიტეტიც" ვუწოდოთ), როცა შესაძლებელია დაავადების ნებისმიერი სიმპტომის დაძლევა.

**გივი მერაბიშვილი,**
**პროფესორი,**
**„ანთროპოანალიზის"**
**დამფუძნებელი**

# სარკე, რომელშიც ყველამ უნდა ჩაიხედოს!

## ასეთი სარკე ახლახან მოგვევლინა; მასში დღევანდელი საქართველო მათემატიკური სიზუსტითაა არეკლილი

**ეს სარკეა სიმართლის სიმბოლო — გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" მე-12 ნომერში (7-13 აპრილი, 2021 წ.) ორ გვერდზე დაიბეჭდა წერილი სახელწოდებით „ერი ვიყავით, ბრბოდ გვაქციეს..." მისი შემოქმედია ცნობილი პუბლიცისტი, ფილოსოფიის დოქტორი ვალერი კვარაცხელია.**

ღრმა ფილოსოფიური წიაღსვლებითა და შესანიშნავი ლოგიკური მსჯელობით ბატონმა ვალერიმ დამაჯერებლად დაგვიხატა ქართველი ხალხის ბრბოდ გარდასახვის, სრული რეგვენიზაციის საშინელი სურათი. ჩაიხედეთ მის მიერ შემოთავაზებულ სარკეში და ნათლად დაინახავთ, რა საშინელება დაატყდა თავს ბედშავ საქართველოს აშშ-დასავლეთიდან ნიაღვარივით წამოსული პოლიტიკური კორონავირუსის ზეწოლის შედეგად.

შეგნებულად ვიკავებ თავს ბატონ ვალერის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ტრაგიკული სურათის კომენტირებისაგან; დაე, მკითხველმა ხელში აიღოს გაზეთის აღნიშნული ნომერი და მუშტრის თვალით, გულდასმით გაეცნოს ავტორის უაღრესად დამაფიქრებელ მსჯელობას. პუბლიკაციის ბოლო ნაწილში ავტორი ჩამოთვლის იმ უბედურებებს, რომელთა დაძლევის გარეშე საქართველოს მომავალი არ ექნება.

ვიმსჯელებ მხოლოდ ერთ უბედურებაზე, რომელსაც ბატონი ვალერი ვრცლად და დიდი დამაჯერებლობით აშუქებს; ეს არის ქართველი ხალხის დიდი ნაწილის სრული რეგვენიზაცია.

**„საქართველოში, — წერს ვალერი კვარაცხელია, — აშშ-ის სპეცსამსახურებმა რეგვენი პატრიოტის იმგვარი სელექციური ჯიში გამოიყვანეს, რომელიც სიტყვით საქართველოს სიყვარულს ღაღადებს, საქმით კი დასავლეთის ინტერესებს ემსახურება",** — აქსიომური ჭეშმარიტებაა ეს!

სულხან-საბას ლექსიკონში შესანიშნავადაა განმარტებული, რომ **რეგვენი** სიგიჟე-სისულელის, შტერობის მქონე არსებაა (იხ. ლექსიკონის პირველი ტომი, თბ; 1991 წ. გვ. 160-161).

მაშ, გონზე მოდით, ქართველებო, იცანით თავი თქვენი! არა რეგვნობის კორონავირუსს! პრეპარატი-ვაქცინა, რომელიც თქვენ რეგვენობისაგან გიხსნით, არის „საქართველო და მსოფლიოს" სიმართლით გაჟღენთილი წერილები.

რეგულარულად იკითხეთ ისინი.

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

ჩაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქვეყანა თავზე გვექცევა და თქვენი რჩეულები პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლად და მთავარ გამარჯვებად მიიჩნევენ მიშელის კაპიტულანტურ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას, რომლითაც პარლამენტში შეჰყავთ სწორედ ის ნაცები, თქვენ რომ არ გინდოდათ“.**



ლევან ჩაჩუა:

# ხელისუფლება ცინიზმით პასუხობს ხალხის სამართლიან მოთხოვნებს

## «ქართული ოცნება» «ნაცმოძრაობასთან» ტანდემში განაგრძობს ქვეყნის მიწა-წყლის გაყიდვას»

**საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმედღიანი დუმილის შემდეგ, 24 აპრილს რიონის ხეობის მცველებს ნამოხვანჰესის პროექტზე თავისი პოზიცია წერილობით ამცნო და პრემიერის გადაწყვეტილების მომლოდინე უკმაყოფილო საზოგადოების დამშვიდება გარკვეული წინადადებებითა თუ ორაზროვანი შეთავაზებებით სცადა.**

ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც ჯერ მთავრობის ვებგვერდზე, ხოლო შემდეგ მედიითაც გავრცელდა, პუნქტებად იყო ჩამოყალიბებული გადაწყვეტილება, რომლითაც მმართველი გუნდი დათმობის იმიტაციას ცდილობს. 9-12-თვიანი მორატორიუმი კაშხლის მშენებლობაზე, პოლიციელების რაოდენობის შემცირება ხეობაში, კარვების დადგმის უფლება დემონსტრანტებისთვის მათთვის სასურველ ადგილებზე და ა.შ. — ეს არის ნაწილი იმ „კომპრომისებისა“, რომლებითაც ხელისუფლებამ თავისი „კონსტრუქციულობის“ წარმოჩენა სცადა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ იგი მთავარ საკითხში, რომელიც ჰესის მშენებლობის შეჩერებას გულისხმობდა, შეუვალი აღმოჩნდა, აღნიშნულმა შეთავაზებებმა უკუშედეგის ეფექტი უფრო იქონია — 23 მაისს თბილისში გრანდიოზული აქცია დაანონსდა, საყოველთაო სახალხო მღელვარება რეგიონიდან დედაქალაქში ინაცვლებს.

**რას ნიშნავდა განცხადება, რომელიც მთავრობამ გაავრცელა და სავარაუდოდ, როგორ გაგრძელდება პროცესები მომავალში — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პარტია „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, წინა კვირას საქართველოს მთავრობამ გაავრცელა განცხადება, რომ „ენკასთან“ დადებული ხელშეკრულების შესწავლა იუსტიციის სამინისტროს დაევალა. ამას გარდა, უწყებამ უნდა ჩამოიყვანოს საერთაშორისო იურიდიული კომპანია, რომელიც შეისწავლის კონტრაქტის პირობების შესაბამისობას საერთაშორისო პრაქტიკასთან. ფაქტობრივად, არსად ჩანს ის მომენტი, რომ საზოგადოების უკმაყოფილება გამოწვეულია ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი დოკუმენტის გაფორმებით, მათ აინტერესებთ მხოლოდ ერთი — საერთაშორისო პრაქტიკა. როგორ შეაფასებთ მთავრობის განცხადებას?**

— უწინარესად, მივმართავ იმ ხალხს, რომელმაც ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“: დღემდე რომ გაიძახით, „ოცნებას“ იმიტომ ვირჩევდით, ნაცები რომ არ დაბრუნებულიყვნენო და სწორედ თქვენი რჩეულები რომ ევედრებიან ნაცებს პარლამენტში შესვლას, ოდნავ შეურაცხყოფილად მაინც არ გრძნობთ თავს? თუ პირადი გამორჩენის სანაცვლოდ ყველაფრის „გაპრავება“ მოსულა?! ქვეყანა თავზე გვექცევა და თქვენი რჩეულები პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლად და მთავარ გამარჯვებად მიიჩნევენ **მიშელის** კაპიტულანტურ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას, რომლითაც **პარლამენტში შეჰყავთ სწორედ ის ნაცები, რომლებიც თქვენ არ გინდოდათ!** რაც შეეხება ნამოხვანჰესის პროექტზე მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებას და კონკრეტულად განცხადების იმ ნაწილს, რომ უცხოური იურიდიული კომპანია შეისწავლის ხელშეკრულებას საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობას, ვფიქრობ, ეს ფრაზა ყველაზე ნათლად წარმოაჩენს მათ რეალურ სახეს, იმიტომ, რომ მათი მიდგომები აქ იკვეთება. მათთვის მნიშვნელოვანია არა ის, კონკრეტული დოკუმენტი როგორ მიესადაგება ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს ან მისაღებია თუ არა ის ჩვენი ერისთვის, არამედ მთავარია, შეესაბამება თუ არა საერთაშორისო პრაქტიკას. ჯერ ერთი, რას ნიშნავს ეს საერთაშორისო პრაქტიკა? — **ის, რაც გეოპოლიტიკური სპეციფიკიდან ან ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ხელსაყრელია რომელიმე სახელმწიფოსთვის, შეიძლება ჩვენთვის შეუსაბამო იყოს. ეს ერთი და მეორე — პროტესტის საფუძველი საერთაშორისო პრაქტიკასთან შეუსაბამობაა თუ თურქული კომპანიისთვის გადაცემული ქართული მიწა-წყლის მილიონობით კვადრატული მეტრის ფართობი?!**

**— გამოდის, რომ ხელისუფლება ამ შემთხვევაში აცდენილია ხალხის მოთხოვნებს. ასეთ პირობებში აზრი აქვს მოლაპარაკებას?**

— ხელისუფლება არა მხოლოდ აცდენილია ხალხს, არამედ ცინიზმით პასუხობს ხალხის სამართლიან მოთხოვნებს და ვერც კი აცნობიერებს ასეთი მიდგომის შედეგებს. **ხალხი აპროტესტებს უცხოური კომპანიისთვის, პრაქტიკულად, მთელი ხეობის გადაცემას, ესენი კი დროის გაყვანითა და დოკუმენტის „საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანით“ ცდილობენ მუხტის ჩაქრობას.** მათი მოკლე ჭკუით, თუ შესაბამის დასკვნას დადებენ, ხალხი ჩათვლის, რომ ყველაფერი კარგად ყოფილა. ძალიან კონსტრუქციულების როლიც მოირგეს და, თითქოს დიდ დათმობაზე მიდიოდნენ, განცხადებაში ჩაწერეს, კაშხლის მშენებლობაზე მორატორიუმი გამოცხადდაო. ჯერ ერთი, ჩვენ საერთოდ არ გვაინტერესებს სხვისი პრაქტიკა; მეორეც, კაშხლის აშენება-არაშენებამ უკვე მეორეხარისხოვანი დატვირთვა შეიძინა, **მთავარი პრობლემა არის ხეობის 600 ჰექტრის — 32 კმ-იანი მონაკვეთის — თურქული კომპანიისთვის გადაცემა.** სხვათა შორის, თურქული კომპანია უნიკალური ხეობის განადგურების ე.წ. წინასამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს და მოსახლეობას ხეობაში თავისუფლად გადაადგილების საშუალებასაც არ აძლევს, რაშიც ხეობაში გადასროლილი პოლიციური დანაყოფები უწყობენ ხელს. აი, ეს არის უპირველესი პრობლემა და არა ის, რომ ვილაც აქ ჩამოვა და ეკოლოგიური ან გეოლოგიური თვალსაზრისით პროექტის უსაფრთხოებაზე დაგვიწყებს საუბარს...

**— თუმცა ესეც მნიშვნელოვანია.**

— კი, ბატონო, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, ტერიტორია არ დავკარგოთ. თანამედროვე მსოფლიოში ყალბი მეცნიერული დასკვნის დადება რა პრობლემაა? ბოლოს და ბოლოს, ამერიკის პრეზიდენტი აცხადებს, არჩევნები გამიყალბესო და ივანიშვილი ვერ იპოვის „საერთაშორისო პრაქტიკის“ თაღლითს, რომელიც გარკვეულ საფასურად სასურველ დასკვნას დაუდებს?!

**— ე.ი., შეიძლება ყალბი დასკვნებიც მომზადდეს საზოგადოების მოსატყუებლად?**

— რა თქმა უნდა. საერთოდ, **ვინმეს სჯერა, რომ რიონის ხეობის 32-კილომეტრიანი მონაკვეთი თავისი ტყით, მიწით, მიწისქვეშა წიაღისეულითა და მდინარით კორუფციული გარიგების გარეშე 121 ლარად მიჰყიდეს თურქებს?** მინდა, შევეხო დავითგარეჯის თემას, რომელიც ხელისუფლებამ მიზანმიმართულად უკანა პლანზე გადასწია და, როგორც ჩანს, სანამ კიდევ რამე პოლიტიკური სპეკულაციებისთვის არ დასჭირდებათ, არც წამოსწევენ. არსებობს სენსაციური დოკუმენტი, რომელიც ბევრს, ალბათ, არც უნახავს და ვფიქრობ, საზოგადოებამ ის უნდა იხილოს. 2013 წელს შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდში, **ირაკლი ღარიბაშვილმა** საზღვრის დაცვის საქმეში მიღწეული წარმატებისთვის ღირსების ორდენით დააჯილდოვა **ნატალია ილიჩოვა.** ის ილიჩოვა, რომელიც მელაშვილთან ერთად წინასაარჩევნოდ დააკავეს, მერე კი მოსამართლე **კალიჩენკოს** გაათავისუფლებინეს. ესენი არიან, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ქვეყნის მიწა-წყლის გამყიდველები და ტანდემში მოქმედებენ ნაციონალებთან, თუმცა აქ მეორე მომენტიც არის: **რამხელა უკმაყოფილების მუხტიც უნდა იყოს დღეს საზოგადოებაში, ჩვენ ამ ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ სისტემას მხოლოდ ფართომასშტაბიანი საპროტესტო ბრძოლით თუ დავამარცხებთ, სხვა გზას არ გვიტოვებენ...**

**— ამის მცდელობაა, ალბათ, ის, რომ მალე აქცია რეგიონიდან დედაქალაქში გადმოინაცვლებს. რას ელოდებით ამ პროცესისგან?**

— მე უდიდეს პატივს ვცემ რიონის ხეობის მცველებს და ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ჩვენი წილი ჩაგვედო მათ მიერ დაწყებული საპროტესტო გამოსვლების მუხტის აწევაში. ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული ჩვენი ბლოგერები, სოციალური ქსელების გვერდები, რომლებსაც ასიათასობით მნახველი ჰყავს, ათასობით თანამოაზრის მობილიზაცია შევძელით ავტობუსებითა და სამარშრუტო ტაქსებით ქვეყნის ყველა რეგიონიდან და ა.შ. **აქციის ორგანიზატორები გაემიჯნენ პოლიტიკურ პარტიებს და სწორადაც მოიქცნენ — პარტიების 99% ყავლგასული, ურეიტინგო და ოდიოზური ლიდერებით არის წარმოდგენილი. ჩვენ გაგებით შევხვდით რიონელების მიდგომას და, ვინმესთვის სათქმელი რომ არ მიგვეცა,** აქციებზე სიტყვითაც არ გამოვსულვართ. თავმდაბლად, ამბიციების გარეშე ვედექით გვერდით და მომავალშიც ასე ვაპირებთ.

**«ქვეყანა, ფაქტობრივად, უპატრონოდ არის მიგდებული და ანგარიშგასაწევი ეროვნული ძალის დროულად ჩამოყალიბება სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. ამის გარეშე საქართველოს მომავალი არ ექნება, მით უფრო ახლა, როცა რეგიონში დღითიდღე იძაბება მდგომარეობა»**

**— რას მოიმოქმედებთ შემდგომში, თუ, ვთქვათ და, საზოგადოება ნამოხვანის პროექტის გაუქმებას მიაღწევს?**

— საჯაროდ ვამბობ, რომ მხოლოდ ნამოხვანის საკითხის გადაწყვეტით ის მოღალატეობრივი პოლიტიკური დღის წესრიგი, რომელსაც „ოცნება“ ახორციელებს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად, ვერ მოიხსნება. ცხადია, დიდი პროტესტის შემთხვევაში, ნამოხვანის პროექტს ხელისუფლება გააუქმებს, მაგრამ ამით დღევანდელი პოლიტელიტის მიდგომები ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების მიმართ არ შეიცვლება. სხვათა შორის, რიონის ხეობაზე როცა ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პრაქტიკულად იგივე ხდება დღეს სუფსაში, ბახმაროში და სხვაგან. დავითგარეჯაა აგერ გაყიდული. **იყიდება ყველაფერი: მიწა, წიაღისეული, ტყე, მთა, მდინარე, თანამდებობა, დეპუტატის მანდატი, ექიმობა, ჟურნალისტობა, ნარკოტიკი, სხეული, სარწმუნოება, მომავალი. მასობრივად იმატებს ნარკომანია, პროსტიტუცია, მამათმავლობა, სათამაშო ბიზნესმა ხომ, საერთოდ, გაანადგურა ოჯახები. პანდემიით მანიპულაციამ საშუალო ფენის გაბანკროტება გამოიწვია, ხოლო საეჭვო იძულებითმა ვაქცინაციამ, შესაძლოა, ფიზიკურ განადგურებამდეც კი მიგვიყვანოს.** ეს ყველაფერი თავს იყრის მავნე პოლიტიკური სისტემის მიერ დამკვიდრებულ დღის წესრიგში, ამიტომ არის აუცილებელი ჯანსაღი ეროვნული ძალების დიდი ერთობა...

**— არსებობს ასეთი ერთობის შექმნის რეალური წინაპირობა?**

— დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს აშენება შეუძლია მხოლოდ სულიერად ამაღლებულ ერს, რომელიც ზნეობას გასტრონომიულ მოთხოვნებზე მაღლა აყენებს და ეროვნული იდეალების გამარჯვებისთვის მზადაა, მატერიალური სიდუხჭირე დაითმინოს. **მხოლოდ ზნეკეთილ და ღირსეულ საზოგადოებას შეუძლია, საკუთარი წიაღიდან გამოირჩიოს საუკეთესო. გაღატაკებულ ტელეზომბირებულ მასას კი ყოველთვის მოისყიდიან და გააბითურებენ.** უწყობს კი ხელს დღევანდელი (თუნდაც გუშინდელი) ხელისუფლება ისეთი გარემოს შექმნას სახელმწიფოში, რომელშიც ნაკლები საცდური ექნებათ ჩვენს შვილებს გარყვნილების, ძალადობის, აზარტული თამაშების, ნარკომანიის სახით? რა თქმა უნდა, არა. მაშ, **რა საჭიროა ისეთი კანონმდებლები ან მათ მიერ მიღებული კანონები, თუ ისინი ხელს უშლიან ჩვენი ერის ფიზიკურ და სულიერ-ზნეობრივ განვითარებას?! ერი უნდა იდგეს ჩვენი ულამაზესი მიწა-წყლის სადარაჯოზე! ერი და ბერი უნდა გაერთიანდეს — ხვალ გვიან იქნება! ქუდზე კაცი უნდა დადგეს ეკლესიის გვერდით, უნიკალური მიწა-წყლის, რიონის ხეობის, დავითგარეჯის დასაბრუნებლად — ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესის დასაცავად, ღირსეული მომავალი თაობების აღსაზრდელად!** ქვეყანა, ფაქტობრივად, უპატრონოდ არის მიგდებული და ანგარიშგასაწევი ეროვნული ძალის დროულად ჩამოყალიბება სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს, ამის გარეშე საქართველოს მომავალი არ ექნება, მით უფრო ახლა, როცა რეგიონში დღითიდღე იძაბება მდგომარეობა... უკრაინას კიდევ ერთხელ უპირებენ დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების პოლიგონად გამოყენებას; ამ ყველაფრის ფონზე ძალიან დასაფიქრებელია **ერდოღანის** დაგეგმილი ვიზიტი საქართველოში. ღმერთმა დაგვიფაროს მსგავსი სცენარისგან, მაგრამ 2008 წელი მახსენდება, როცა **კონდოლიზა რაისი** ჩამოვიდა თბილისში. მერე როგორ განვითარდა მოვლენები, ყველამ ვიცით...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ევროპელმა ექსპერტებმა უნდა გადაგვიწყვიტონ, ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული 600-მდე ჰექტარი მიწა ერთი საუკუნით თურქებს გადავცეთ თუ არა. ეს არის დამოუკიდებლობა?! აი, ასეთივე დამოუკიდებლები ვართ ჩვენ დღეს განათლების მიმართულებითაც. ზუსტად ასე შეგვეკითხებიან, რა უნდა ასწავლონ სკოლაში ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს და რა — არა“.**

SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვაჟა ოთარაშვილი:

## გამოსაძიებელია, ვინ აიძულა ეს ბავშვი, სარჩელი შეეტანა. 9 წლის ბავშვი, უბრალოდ, თამაშობს და ერთობა, რა სასამართლო და რა რეპროდუქციული ჯანმრთელობა?!

# «საქართველოში განათლების საფუძველი სახარებაა, ამიტომ ახალგაზრდებს უნდა მივცეთ ქრისტიანული, მართლმადიდებლური განათლება»

**საქართველოში მოქმედი უცხოეთიდან დაფინანსებული ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, რომელიც წლებია, ქვეყანაში სხვადასხვა „ლიბერალურ“ პროექტსა და საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელ ანტიეროვნულ იდეოლოგიას ახორციელებს, უახლოეს მომავალში სასამართლოს სკოლებში ე.წ. სექსუალური განათლების შემოღების მოთხოვნით მიმართავს.**

როგორც ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ ცნობაშია აღნიშნული, სარჩელს საფუძვლად დაედო ერთ-ერთი სკოლის მოსწავლის, მცირეწლოვანი ბავშვის მიმართვა. კერძოდ, საუბარია 9 წლის გოგონაზე, რომელიც, თურმე, იდეის ავტორია და რომლის „საუკეთესო ინტერესიც“ არსებული განათლების სისტემის პირობებში უხეშად ირღვევა (ორგანიზაციის ადვოკატები „სამართლებრივ“ დავას სწორედ მისი სახელით დაიწყებენ): „ვემზადებით სასამართლოში, რომ წარმოვადგინოთ 9 წლის გოგოს უფლებები. ეს ბავშვი ასაჩივრებს იმას, რომ დღემდე საქართველოში არ ასწავლიან რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის უფლებებს. მთელი არსი ამ სარჩელის არის ის, რომ ჩვენ არ უნდა დაველოდოთ რამე ტრაგიკულ შემთხვევას. ბავშვებს დაცვა სჭირდებათ დღესვე, ამიტომ, სანამ ვინმე არ დაზიანდება, უნდა მივიღოთ ზომები“, — განაცხადა მედიასთან ორგანიზაციის ერთ-ერთმა წამომადგენელმა **ანა არგანაშვილმა.**

მისივე განმარტებით, აღნიშნული საგანი დაბალი კლასებიდანვე უნდა დაიწყოს და იგი ბავშვებში ცნობიერების ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინათ ე.წ. არასამთავრობოებმა სასამართლო დავის გზით მიაღწიეს იმას, რომ საქართველოში მამაკაცს, რომელიც თავს ქალად ასაღებდა, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მისთვის სასურველი სქესი ჩაუწერეს — მდედრობითი. როგორც ჩანს, ამ ყველაფრის შემდეგ იგეგმება მეორე პრეცედენტის შექმნა, რომელიც ასევე გარედან ნაკარნახევი „ლიბერალური“ დღის წესრიგისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

**რა მიზანს ემსახურება 9 წლის ბავშვის სახელით მომზადებული სარჩელი სოროსის ფონდიდან დაფინანსებული ორგანიზაციის მხრიდან და რას მოიტანს ის შედეგად, თუ მიზანს მიაღწევს? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თეოლოგიის დოქტორი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, უცხოეთიდან დაფინანსებულმა „არასამთავრობო“ ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ გაავრცელა განცხადება, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს სკოლებში ე.წ. სექსუალური განათლების შემოღების მოთხოვნით. იდეის ავტორი, თურმე, 9 წლის ბავშვია, რომელიც უკმაყოფილოა სასწავლო პროგრამაში მისთვის სასურველი „საგნის“ არარსებობის გამო. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— ახალს არაფერს ვიტყვი, თუ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ საქმე გვაქვს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ უპრეცენდენტო შეთქმულებასთან, რომლის მიღმაც დგანან სოროსული ძალები. მათი ქმედებები უკვე დაუფარავ სახეს იღებს, რაც გასაკვირი არ არის.

რაც შეეხება კონკრეტულ სარჩელს და იმას, რომ **9 წლის ბავშვი სკოლაში ე.წ. სექსუალური განათლების შემოღებას ითხოვს, ცხადია, შემთხვევითი არ არის; ცხადია, რომ „ნეოლიბერალური“ იდეოლოგიის მამები დღეს განსაკუთრებულ აქცენტს ბავშვებზე აკეთებენ. ბავშვები მათ აქტიურად ჰყავთ ჩართული სოდომ-გომორულ პროპაგანდაშიც.** ერთი მხრივ, მშობელს უკვე ჩამოართვეს ყველანაირი უფლება შვილის აღზრდაზე, როცა მიიღეს ე.წ. ბავშვის უფლებათა კოდექსი და ამით ტრადიციული ოჯახი, ფაქტობრივად, ძალადობრივ სივრცედ გამოცხადდა მოზარდისთვის; ხოლო, მეორე მხრივ, შექმნეს სისტემა, რომელიც ამ ტოტალური ტერორით გაჩუმებული ოჯახებიდან წამოსულ ბავშვებს დაამუშავებს. **სკოლა დღეს, ფაქტობრივად, ქცეულია ერთგვარ საცდელ ლაბორატორიად, რომელშიც სოროსის გრანტით დაფინანსებულ ტრენინგებზე დაპროგრამებული ზოგიერთი ფსევდოპედაგოგი ბავშვებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, აუბედურებს;** ეს ქართველი ერისა და არა მხოლოდ ქართველი ერის, ყველა ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ხალხების გადაგვარებისკენაა მიმართული. **შედეგიც აშკარაა — დეგრადირებული ახალგაზრდობა, ნარკომანია, ქალად „გადაკეთებული“ კაცები და კაცად „გადაკეთებული“ ქალები, რომლებსაც სახელმწიფო სქესის „არჩევის“ იურიდიულ უფლებას აძლევს... დავსვათ კითხვა: იბრძოლებდა მარაბდის ველზე (ღმერთო, მაპატიე) ცხრა ძმა ხერხეულიძე, ქალებად რომ ყოფილიყვნენ გადაკეთებულნი?...**

აი, რა ქვეყანასა და „სამოქალაქო საზოგადოებას“ ქმნიან ისინი, ალბათ, არცთუ „წარუმატებლად...“ სხვათა შორის, **სახარებაში პირდაპირ წერია, რომ მეორედ მოსვლის მოახლოების ნიშნებია, როცა გარყვნილება, სიძვა ბავშვებშიც გადავა. მოგეხსენებათ, უფალი ხშირად ახსენებს ბავშვის უმანკოებას და მას მტრედს ადარებს... გავიხსენოთ მომენტები მათეს სახარებიდან. სწორედ ბავშვები ადიდებენ უფალს, „რომელნიც ტაძარში იძახდნენ და ამბობდნენ: ოსანა დავითის ძეს...** იესომ კი უთხრა განრისხებულ მწიგნობრებს: „ჰო! ნუთუ არასოდეს წაგიკითხავთ: „ჩვილთა და ძუძუმწოვართა პირით დაიმკვიდრე დიდება“ (თავი 21,15-16); ისევ მოვიყვანოთ სახარება მათესი (თავი 18,1-6): „იესომ დაუძახა ბავშვს და ჩააყენა მათ (მოციქულებს) შუა და უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში... ხოლო ვინც ერთსა მმცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს, მისთვის აჯობებდა, წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ“...

**— სკოლებში „სექსუალური განათლების“, როგორც საგნის, შემოღების მომხრეები ხშირად აცხადებენ, რომ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა თავიანთ რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.**

— ცოდნა და განათლება ფეხებზე რომ ჰკიდიათ, ამიტომაც უნდათ მომავალი თაობების გამოჩერჩეტება, თორემ საგნები რა დონეზეც დაიყვანეს, ყველამ ვიცით. რაც შეეხება რეპროდუქციულ ჯანმრთელობას და ვილაცების შფოთვას, რომ თურმე, რა ცუდია, 9 წლის მოსწავლეს „სექსუალური განათლება“ არ ეძლევა, არ დაიჯეროთ, რომ მათ რამე მეცნიერული ცოდნის მიცემა უნდათ ბავშვებისთვის. თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალიზმი, როგორც იდეოლოგია უკვე პირდაპირ უპირისპირდება ზუსტ მეცნიერებებს.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, წმინდა ანტიმეცნიერული პროპაგანდაა ის, რომ ბუნებაში ორი სქესი და გენდერი კი არ არსებობს, არამედ ბევრი, მაგალითად, ის, რომ მამაკაცი შეიძლება თავს ქალად გრძნობდეს და თურმე ეს ნორმალურია... აი, ეს უნდა ასწავლონ და გაუსაღონ ბავშვებს ობიექტურ მეცნიერებად. რაც შეეხება გამოსავალს, **საქართველოში განათლების საფუძველი — ეს არის სახარება, ამიტომ ახალგაზრდებს უნდა მივცეთ ქრისტიანული, მართლმადიდებლური განათლება და სკოლებში აღვადგინოთ ქრისტიანული რელიგიის, როგორც საგნის, სწავლება და შევუშვათ მოძღვრები...** ბავშვები ეკლესიაში უნდა ვატაროთ, რადგან ყველაზე უმანკოები და უცოდველები ისინი არიან, როგორც მაცხოვარი ბრძანებს...

**— მოდი, ასე შევხედოთ ამ საკითხს: ვინ ქმნის დღეს საქართველოში განათლების პოლიტიკას? ვინ ასრულებს იმავე გარე ძალების დავალებებს ამ სფეროში?**

> **«ის, რომ 9 წლის ბავშვი სკოლაში ე.წ. სექსუალური განათლების შემოღებას ითხოვს, ცხადია, შემთხვევითი არ არის; ცხადია, «ნეოლიბერალური» იდეოლოგიის მამები დღეს განსაკუთრებულ აქცენტს ბავშვებზე აკეთებენ. ბავშვები მათ აქტიურად ჰყავთ ჩართული სოდომ-გომორულ პროპაგანდაშიც»**

— ცხადია, ძირითადად, ეს არის განათლების სამინისტრო, სადაც ისევ სააკაშვილისდროინდელი სოროსის სკოლაგავლილი კადრები არიან და ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი... ეს ის ლიბერალურ-ტროცკისტული „სამჭედლოებია“, სადაც პირდაპირ ტვინს ურეცხავენ ახალგაზდებს. **შედეგიც აშკარაა. ცოდნის დონე ისეთ ფუნდამენტურ საგნებში, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, კრიტიკას ვერ უძლებს. სამაგიეროდ, უმაღლეს დონეზეა „ლიბერალური“ გამოლაყება...** სხვათა შორის, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, როცა საქართველო საბჭოთა განათლების სისტემის ნაწილი იყო, ყველა საგანი, რომლებიც ვახსენე, ფუნდამენტურად ისწავლებოდა. იმიტომ, რომ გვქონდა განათლების გერმანული მოდელი, რომელიც იოსებ სტალინმა დანერგა; და სწორედ იმ სისტემის შედეგი იყოს ის, რომ საქართველოს მსოფლიო დონის მეცნიერები ჰყავდა. ამ სისტემით ასწავლიდნენ მომავალ თაობას **ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ალექსანდრე ბარამიძე, აკაკი შანიძე, ანდრია რაზმაძე, ივანე ჯავახიშვილი, ევგენი ხარაძე, შალვა ნუცუბიძე, ივერი ფრანგიშვილი** და ა.შ. აი, ეს უარყვეს და შემოიღეს უვარგისი, არაფრისმომცემი სისტემა. მისაღებ გამოცდებზე დაამკვიდრეს აბსურდული საგანი ე.წ. უნარ-ჩვევები, რომლებიც რებუსების კრებულია და პრაქტიკული ღირებულება არ აქვს...

**— დავუბრუნდეთ ისევ სასამართლო სარჩელს. რეალურია, რომ 9 წლის ბავშვს სკოლაში „სექსუალური განათლების“ არარსებობის გამო სასამართლოში დავის სურვილი გაუჩნდა?**

— შვილიშვილები მყავს მაგ წლოვანების და ვერაფრით დავიჯერებ, რომ 9 წლის ბავშვს მსგავსი სურვილი გაუჩნდა. ვფიქრობ, **გამოსაძიებელია, ვინ აიძულა ეს ბავშვი, სარჩელი შეეტანა. 9 წლის ბავშვი, უბრალოდ, თამაშობს და ერთობა, რა სასამართლო და რა რეპროდუქციული ჯანმრთელობა?!**

აქვე მინდა, მოკლედ შევეხო ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ამ კონკრეტულ თემას შეიძლება პირდაპირ არ ეხება, მაგრამ მაინც კავშირშია. ამ დღეებში **ღარიბაშვილმა** ნამოხვანჰესის საქმე გადასცა იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც ევროპელ ექსპერტებს უნდა შეუკვეთოს დასკვნის გაკეთება ხელშეკრულების მიზანშეწონილობაზე. ხვდებით, რა ცინიზმია? ე.ი., **ევროპელმა ექსპერტებმა უნდა გადაგვიწყვიტონ, ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული 600-მდე ჰექტარი მიწა ერთი საუკუნით თურქებს გადავცეთ თუ არა. ეს არის დამოუკიდებლობა?! აი, ასეთივე დამოუკიდებლები ვართ ჩვენ დღეს განათლების მიმართულებითაც. ზუსტად ასე შეგვეკითხებიან, რა უნდა ასწავლონ სკოლაში ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს და რა — არა...**

**— რა უნდა გააკეთოს მშობელმა, რომლის მცირეწლოვან შვილსაც, ალბათ, მალე დაუწყებენ სკოლაში რომელიღაც „არასამთავრობო“ ორგანიზაციის კარნახით შემოღებული „საგნის“ სწავლებას?**

— კონკრეტულ შემთხვევაში მარტივი გზა არსებობს: თუ ერთმა მოსწავლემ შეიტანა სარჩელი რაღაც მოთხოვნით, **ჩვენც ასეთივე ფორმალური გზით უნდა წავიდეთ და ერთის საპასუხოდ ათ მოსწავლეს შევატანინოთ სარჩელი საპირისპირო მოთხოვნით.** საინტერესოა, რა მოხდება. თუმცა ამით, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში პრობლემა, რომელსაც სახელმწიფოსთვის საშიში, მავნე ლიბერალური დღის წესრიგი ჰქვია, ვერ მოგვარდება. მას ჯანსაღი ძალების გაცილებით დიდი ძალისხმევა და გაცილებით დიდი მასშტაბის კონსოლიდაცია სჭირდება, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ხერხდება. დანარჩენი ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საზოგადოება, რომლის უმრავლესობაც, ეროვნული სულისკვეთებისაა, არც ერთ ლიბერალურ სიბინძურეს არ მიიღებს და არც შეეგუება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ პარლამენტმა შეიძლება დააკანონოს მათივე მამა-მარჩენალი „დემოკრატიული“ დასავლეთის თითის ქნევით...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მაგნატების არსებობა ძალიან სახიფათოა ისეთ მსოფლიოში, რომელშიც ყველაფერი იყიდება. ასეთ სამყაროში კანონის დაურღვევლად, ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით შეიძლება შეიცვალოს ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა და ამ მხრივ ყველაზე დიდი ხიფათი საქართველოს ემუქრება, რადგან კარის მეზობელ სომხებს უამრავი ჰყავთ ასეთი მდიდარი მაგნატები და ვაითუ, ისევ ოცნებობენ, აქციონ თავიანთი სამშობლო საზღვაოსნო ქვეყნად. არადა, ქართველებს ისე უჭირთ, რომ გადარჩენისთვის მზად არიან, გაყიდონ ყველაფერი.**

# რა გააკეთა სტალინმა კაცობრიობისთვის

## ბელადის პორტრეტის სრულყოფისთვის

**ბუნებაში მოვლენა, რომელიც მეორდება, არ არსებობს და, თუ განმეორდება, გენიოსი პოეტის თქმით, იგი ზნეა — „ვა, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა...“ მოვლენა კი არის, მაგალითად, მოსეს გამოცხადება და ათი მცნების გავრცელება დედამიწაზე, ქრისტეს დაბადება, გაგარინის გასვლა კოსმოსში, ახალი ცივილიზაციების წარმოქმნა მოვლენები იყო წარსულში და იქნება მომავალშიც.**



**სტალინმა შექმნა ზნეობრივი გარემო, რომელშიც ადამიანები კანონიერი შემოსავლებით დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. საზოგადოებისთვის, ხალხისთვის მოუთმენელი და მიუღებელი იყო საკუთარი შრომით შეძენილი ქონების ქურდობა. ნებისმიერი მოქალაქე რისხვითა და ზიზღით მიმართავდა ქურდს, რომ მას კეთილი უნდა ენება და ეშრომა. დღევანდელ საქართველოში ქურდს ამას ვეღარავინ ეტყვის, რადგან პატიოსანი შრომით შეუძლებელია გამდიდრება, ხოლო მდიდარი ადამიანი ამ ახალი საზოგადოების უპირველესი ღირებულებაა**

მოვლენას ადამიანები იმდენნაირად აღიქვამენ, რამდენი თვალიც უყურებს და რამდენი ყურიც უსმენს, რადგან იდენტურად მომსმენი და დამნახავი თვალი და ყური ბუნებაში არ არსებობს. აშშ-ში კარგი პრეზიდენტი მოვა თუ ცუდი, მოვლენად ვერ ჩაითვლება, რადგან ამერიკის ცხოვრების წესი არ შეიცვლება. მორგანები ისევ მილიარდერები იქნებიან, ხოლო ხიდის ქვეშ მცხოვრები საზოგადოების ნაწილი მაინც მიუსაფრად დარჩება.

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე კი დაიბადა ადამიანი, რომელმაც თვითონ, დამოუკიდებლად შექმნა თავისი ეპოქა. ეს უკვე მოვლენაა. ეს ადამიანი გახლდათ **იოსებ სტალინი** — „სამყაროს ერთ-ერთი საოცრება“, „სასიამოვნო გამონაკლისი“, „უპრეცენდენტობის პრეცენდენტი“. სტალინი არის ადამიანი, რომელმაც უამრავი სასწაული მოახდინა, მათ შორის წარმოუდგენელიც:

*** შეცვალა დედამიწაზე ცხოვრების ყველა წესი და კანონი, არსებითად გარდაქმნა სამყარო;**

* შეცვალა პიროვნების, ერებისა და ხალხების წარმოდგენები და, საერთოდ, მსოფლმხედველობა;

*** შექმნა საბჭოთა ხალხი;**

* შექმნა ამაღლებული ზნეობის, საკაცობრიო იდეალების მოტრფიალე საზოგადოება, რომელშიც დანაშაული რეალურად იყო...გადმონაშთი, რომელშიც ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეცა სეპარატისტული კერები ქვეყნის შიგნით, ერებს შორის დამყარდა ნამდვილი ძმობა და ურთიერთპატივისცემა;

*** დედამიწის ერთ მეექვსედზე დაამყარა დემოკრატია არსითა და ფორმით, დაამყარა თანასწორობის, სოციალური სამართლიანობისა და ერთსულოვნების პრინციპები;**

* გაათავისუფლა ხალხები კერძო საკუთრების მონოპოლიის დისკრიმინაციისაგან;

*** შრომა, ცოდნა და ნიჭი აქცია ყველაზე მნიშვნელოვან ღირსებად, ანუ ნიჭიერება უფრო მაღლა დასვა, ვიდრე ფული და ქონება;**

* გაათავისუფლა რუსეთის ხალხები იმპერიის დიქტატისგან, ამ ხალხებს შეუქმნა სახელმწიფოებრიობა მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკების უფლებებში. თანასწორუფლებიანობის საწყისზე შექმნა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი;

*** შექმნა უპრობლემო ხალხი;**

* ათეიზმით გაანელა სხვადასხვა რელიგიური აღსარების ხალხების ისტორიული დაპირისპირებები;

*** შექმნა რაინდული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც ზნეობრივ სიწმინდეზე იქნა დაფუძნებული;**

* საერთაშორისო ურთიერთობები აქცია ჰუმანურ-დემოკრატიულად;

*** აპოგეამდე მიიყვანა ადამიანის უფლებების დაცვა;**

* აიძულა კერძო კაპიტალის სახელმწიფოთა მმართველები, სერიოზულად ეფიქრათ საკუთარი მოქალაქეების სოციალურ დაცვაზე;

*** შექმნა საბჭოთა ხალხების ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა;**

* დააკანონა ერთა შორის ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, დააახლოვა ეროვნული კულტურები ერთმანეთს;

*** შექმნა საზოგადოება: ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის;**

* შექმნა კაცობრიობის არსებობის ისტორიაში ყველაზე წმინდა და ამაღლებული ზნეობის საზოგადოება;

*** გაათავისუფლა ადამიანთა გრძნობები;**

* გაანადგურა კერძო კაპიტალის ჰეგემონიზმის იდეოლოგია; დაამტკიცა, რომ საზოგადოების განვითარების ტრადიციული, კერძო საკუთრების მონოპოლიის კანონები ექვემდებარება შეცვლას;

*** როგორც საბჭოეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რეალობად აქცია თანასწორობის, ერთობისა და სოციალური სამართლიანობის იდეალები;**

* გაათავისუფლა ხალხები რელიგიური მომნუსხველობისგან;

*** პირველად დედამიწაზე შექმნა საზოგადოება ხალხების, ერების, პიროვნების ექსპლუატაციის გარეშე;**

* კაცობრიობა პირველად შეაყენა დემოკრატიული განვითარების გზაზე, რადგან კერძო საკუთრების მონოპოლიის სამყაროს გვერდით წარმოიშვა ნაციონალიზებული საკუთრების მონოპოლიის სამყარო, რომელიც სიცოცხლისუნარიანი გამოდგა;

*** გაანადგურა გერმანული ფაშიზმი და იხსნა კაცობრიობა სამუდამო მონობისგან.**

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის დივერსიული დამხობით საბჭოთა კავშირში დაიკარგა კაცობრიობის დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობა.

**ქალბატონებო და ბატონებო, ახალგაზრდებო!**

**თუ გულისყურით ჩაიკითხეთ სტალინის ბიოგრაფიის ერთობ მოკრძალებული ჩამონათვალი და, ამასთანავე, შეგწევთ უნარი, ჩაუღრმავდეთ და განსაჯოთ ყოველივე, მერწმუნეთ, უკვე სხვა პიროვნება გახდით. თქვენ ერთბაშად იგდეთ ხელთ სტალინის პიროვნებისა და სტალინიზმის სწორად გაგების, აგრეთვე, დემოკრატიის, საზოგადოებისა თუ პიროვნული ცივილიზებულობის სწორად შეფასების გასაღები.**

თუმცა ერთი სირთულის წინაშე უდავოდ დადექით — სტალინი თქვენთვის ღმერთკაცად, დაუჯერებელ ადამიანად იქცა. სტალინი, რომელსაც აქამდე იცნობდით, როგორც ფოლადისებურ პიროვნებას, პარტიულ ელიტასთან თეორიულ ბრძოლებში გამარჯვებულს, სამოქალაქო ომსა თუ მსოფლიო ომში გამარჯვების უმთავრეს შემოქმედს, იცნობდით, როგორც რევოლუციონერს, რომელიც გადასახლებიდან არაერთგზის გამოიქცა, უეცრად გაირკვა, რომ მაინც სულ სხვა კაცი ყოფილა — თქვენ სწორედ ახლა მიხვდით, რომ სტალინი ამ ადამიანურ სასწაულებზე ათასგზის მაღლა დგას კაცობრიობის ისტორიაში.



**სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როცა სტალინს მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი პიროვნებების სიაში ოთხი თუ ხუთი ათეული პიროვნების უკან აყენებენ, მაშინ, როცა სტალინი მის წინ დაყენებულ ყველა ისტორიულ პიროვნებას, ერთად აღებულს, გადასწონის. მხოლოდ სტალინის მიერ ჩამოყალიბებული ერის ცნება რად ღირს!** ღმერთმა ქნას, სტალინის პიროვნების ესოდენ მოკრძალებით შემფასებელთ ეს მის პიროვნულ შემოქმედებაში ჩაუწვდომლობით მოსდიოდეთ.

მივყვეთ სტალინის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის განმარტებას:

* სტალინმა პირველმა აუხილა თვალი კაცობრიობას, დაუმტკიცა იმჟამინდელ მსოფლიოს, რომ მუშებსა და გლეხებს ჰქონდათ ამოუწურავი ინტელექტუალური პოტენციალი, რომელიც იმ პერიოდის კაცობრიობისთვის სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო.

*** სტალინმა რევოლუციურად შეცვალა ქვეყნის ეკონომიკა, სამართალი და საზოგადოების მორალური კოდექსი. შესაბამისად, ბოლო მოუღო კლასობრივ სამართალს, კლასობრივ ეკონომიკას და უზნეობის თავისუფლებას. დედამიწის საბჭოთა ნაწილში აღკვეთა რეაქციული კერძო საკუთრების მონოპოლია. ამით მან დაამტკიცა, რომ კლასობრივი საზოგადოების, ანუ კერძო საკუთრების მონოპოლიის შეუცვლელობის თეორია ფარსია.** სტალინმა ათასი სხვა დოგმაც დაამსხვრია და უარყო, რაც ცალკე შესწავლის ღირსია.

* შექმნა საბჭოთა ხალხი;

სტალინიზმის საწინააღმდეგო ტალღის აგორებისას ვაითეორეტიკოსებმა ათას სხვა რამესთან ერთად ეჭვის ქვეშ დააყენეს ცნება „საბჭოთა ხალხი“. მოჰყვნენ მტკიცებას, არანაირი საბჭოთა ხალხი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდესო. და ასეთი მცდელობა უაზრობად მონათლეს. უაზრობა კი ▶

# სტალინმა რევოლუციურად შეცვალა ქვეყნის ეკონომიკა, სამართალი და საზოგადოების მორალური კოდექსი. შესაბამისად, ბოლო მოუღო კლასობრივ სამართალს, კლასობრივ ეკონომიკასა და უზნეობის თავისუფლებას. დედამიწის საბჭოთა ნაწილში აღკვეთა რეაქციული კერძო საკუთრების მონოპოლია. ამით დაამტკიცა, რომ კლასობრივი საზოგადოების, ანუ კერძო საკუთრების მონოპოლიის შეუცვლელობის თეორია ფარსია.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სწორედ „საბჭოთა ხალხის“ ცნების უარყოფაა, რადგან საბჭოთა ხალხი თავისი წარმოდგენებით, შეხედულებებით, გნებავთ, მსოფლმხედველობით სრულიად თვითმყოფადი და გამორჩეული ხალხი გახლდათ. მათი თვალსაზრისი სამართლებრივ, ეკონომიკურ, ზნეობრივ, პოლიტიკურ თუ სხვა საკითხებზე აშკარად განსხვავდებოდა დანარჩენი მსოფლიოს მოსახლეობის თვალსაზრისისგან. ამდენად, საბჭოთა ხალხი თავისი ფსიქიკური წყობით სრულიად თვითმყოფად ხალხს წარმოადგენდა. საბჭოთა ადამიანის წარმოდგენები ზემოთ ხსენებულ საკითხებში არათუ ემთხვეოდა კერძო კაპიტალის ქვეყნების მოქალაქის წარმოდგენებს, არამედ, უდავოდ, საპირისპირო იყო. უფრო მეტიც: **საბჭოთა ხალხი თავისი მსოფლმხედველობით გაცილებით განსხვავდებოდა სხვა ხალხებისგან, ვიდრე ეს ხალხები ერთმანეთისგან. შეიძლება ვინმემ გაიკვირვის, მაგრამ ფაქტია, რომ ქრისტიანი თუ მუსლიმანი, მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური საზოგადოების ხალხები თავისი მენტალიტეტით უფრო ახლობელია ერთმანეთისთვის, ვიდრე მათთვის საბჭოთა ხალხი. სტალინის პერიოდის საბჭოთა ხალხი მათ გარემოცვაში უდავოდ არამიწიერ წმინდა ხალხად გამოჩნდება, გამოჩნდება ჰუმანოიდებად.**

*** შექმნა ამაღლებული ზნეობის, საკაცობრიო იდეალების მოტრფიალე საზოგადოება.**

ალბათ, ყველას სმენია იმ რეაქციული თეორიების შესახებ, რომლებითაც ადამიანი ადამიანისთვის მგლად არის მიჩნეული და რომ შეუძლებელია ხალხებისა და ადამიანების მშვიდობიანი თანაარსებობა. ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში **მდიდრებისა და ღარიბების ასეთ ისტორიულ დამოკიდებულებას ხიდჩატეხილობას უწოდებენ. სტალინმა სწორედ ეს ჩატეხილი ხიდი გაამრთელა. მან შექმნა ზნეობრივი გარემო, რომელშიც ადამიანები კანონიერი შემოსავლებით დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. საზოგადოებისათვის, ხალხისათვის მოუთმენელი და მიუღებელი იყო საკუთარი შრომით შეძენილი ქონების ქურდობა. ნებისმიერი მოქალაქე რისხვითა და ზიზღით მიმართავდა ქურდს, რომ მას კეთილი უნდა ენება და ეშრომა. დღევანდელ საქართველოში ქურდს ამას ვეღარავინ ეტყვის, რადგან პატიოსანი შრომით შეუძლებელია გამდიდრება, ხოლო მდიდარი ადამიანი ამ ახალი საზოგადოების უპირველესი ღირებულებაა.** ამდენად, ვის აქვს უფლება, უთხრას სხვას, რომ არ იფიქროს გამდიდრებაზე?!

ნუ მიწყენთ და, მე სტალინის მმართველობის ეპოქის საქართველო სამოთხედ მესახება. რა მშვენიერი ხალხი ვიყავით, როგორი სიყვარულით სავსე მეზობლობა, მეგობრობა და ნათესაობა გვქონდა, როგორი თანადგომა ვიცოდით ჭირსა თუ ლხინში, როცა არ იყო გათიშულობა არც წარმომავლობის და არც ქონებრივი ნიშნით. და ჩვენი უბედურება სწორედ ის არის, რომ არ მოგვცეს უფლება, ასეთებად დავრჩენილიყავით. საქართველოში ანტისტალინიზმის აგორების დღიდან ადამიანები მტაცებლებს დაემსგავსნენ, დღეს კი მსგავსებასაც ვეღარ ვიტყვით, რადგან უკვე ვართ მტაცებლები.

*** დედამიწის საბჭოთა მონაკვეთზე დაამყარა დემოკრატია არსითა და ფორმით.**

ანტისტალინიზმის იდეოლოგები არცთუ იშვიათად აცხადებენ, რომ რეალური თანასწორობა შეუძლებელია და არც არის საჭირო, რადგან ნიჭიერი უნდა მეტობდეს ნაკლებად ნიჭიერს, მიზანდასახული კიდევ — უმიზნოსა და უსაქმურს. განვმარტავ, რომ სწორედ სტალინიზმი ქმნის ყველა პირობას ნიჭის გამორჩევისა და მის მიერ კუთვნილი ადგილის დასაკავებლად საზოგადოებაში. **სტალინიზმის ეპოქაში პიროვნული ნიჭიერება საზოგადოების უპირველესი ღირებულება იყო. მხოლოდ სტალინიზმის პირობებში შეიძლება მიაღწიოს პიროვნებამ უმაღლეს მწვერვალებს და იქცეს ქვეყნის პირველ ადამიანად. კერძო კაპიტალის სამყაროში ეს ნამდვილად შეუძლებელია, რადგან აქ ქვეყნის ნომერი პირველი ადამიანი უმდიდრესი ოჯახის წარმომადგენელია, რომლის ქონებაც საუკუნეების განმავლობაში უთვალავ და აუწონელ სიმდიდრედ იქცა.**

მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ, რომ დედამიწაზე არსებობდნენ მულტიმილიონერები, რომლებსაც, თუ მოინდომებენ, შეუძლიათ, იყიდონ ჩემი სამშობლო. ასეთი მაგნატების არსებობა ძალიან სახიფათოა ისეთ მსოფლიოში, რომელშიც ყველაფერი იყიდება. ასეთ სამყაროში კანონის დაურღვევლად, ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით შეიძლება შეიცვალოს ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა და ამ მხრივ ყველაზე დიდი ხიფათი საქართველოს ემუქრება, რადგან კარის მეზობელ სომხებს უამრავი ჰყავთ მდიდარი მაგნატი და ვაითუ, ისევ ოცნებობენ, აქციონ თავიანთი სამშობლო საზღვაოსნო ქვეყნად. არადა, ქართველებს ისე უჭირთ, რომ გადარჩენისთვის მზად არიან, გაყიდონ ყველაფერი. განა ვის შეუძლია, შეაჩეროს მათი ლტოლვა გადარჩენისაკენ? ვინ დაუშლის მათ, გაყიდონ მამაპაპისეული კარ-მიდამო, როდესაც კანონით ეს დაშვებულია?

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საზოგადოება შეიძლება იყოს დემოკრატიული არსითა და ფორმით, აღვნიშნეთ, აგრეთვე, ისიც, რომ კერძო კაპიტალის საზოგადოებაში, საწარმოში, ფირმასა თუ კონცერნში მმართველობა არის მონარქიული, მესაკუთრის განუსაზღვრელი უფლებებითა და ძალაუფლებით, რაც ანტიდემოკრატიულობის ნიშან-მოვლენაა, სამყაროში, სადაც ფული უფრო მეტ ფულს აკეთებს, ვიდრე პატიოსანი შრომა, უფულო ინდივიდი, ანუ ხალხი წარმოადგენს მარიონეტს ან კიდევ არარაობას.

**საყოველთაო სამართლიანობის ვითარებაში თუ ხდება უსამართლობის ცალკეული შემთხვევები, ეს არ იქნება უბედურება. საყოველთაო უსამართლობის ვითარებაში, თუ ხდება ცალკეულ სამართლიანობის ცალკეული შემთხვევები, ეს ვერ იქნება კეთილდღეობა.**

**სტალინიზმის ეპოქაში პიროვნული ნიჭიერება საზოგადოების უპირველესი ღირებულება იყო. მხოლოდ სტალინიზმის პირობებში შეიძლება მიაღწიოს პიროვნებამ უმაღლეს მწვერვალებს და იქცეს ქვეყნის პირველ ადამიანად. კერძო კაპიტალის სამყაროში ეს ნამდვილად შეუძლებელია, რადგან აქ ქვეყნის ნომერი პირველი ადამიანი უმდიდრესი ოჯახის წარმომადგენელია, რომლის ქონებაც საუკუნეების განმავლობაში უთვალავ და აუწონელ სიმდიდრედ იქცა**



**საბჭოთა სახელმწიფოს ჩასახვისთანავე ანტანტამ გაილაშქრა პროგრესის წინააღმდეგ და შეეცადა ჩვილის აკვანში ჩახრჩობას, მაგრამ ეს არ გამოუვიდა. გული იმით დაიმშვიდეს, რომ «თიხის ფეხებზე შემდგარი საფრთხობელა თავისთავად ჩამოიშლებოდა», მაგრამ ამაშიც მწარედ მოტყუვდნენ**

მკითხველს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს სტალინის მიერ შექმნილი სასწაულები და ეჭვი შეიტანოს მათში, მაგრამ არა, ძვირფასო მეგობრებო. ზემოთჩამოთვლილი ყველა სასწაული, დღეს ზოგიერთის გაკვირვებას რომ იწვევს, ჩვენ თვალწინ მოხდა. სწორედ ამიტომ შევაფასე ისინი, როგორც მოვლენები, რომლებიც, ალბათ, არასოდეს განმეორდება, სამწუხაროდ.

ზემოჩამოთვლილ საოცრებებს შორის ერთ-ერთად ფაშიზმზე სტალინის გამარჯვებაა დასახელებული. სწორედ ამ თემას გავაანალიზებ ამ სტატიაში.

მას შემდეგ, რაც ლენინი გარდაიცვალა და სტალინმა პარტიის მშენებლობისთვის საძირკველი გაჭრა, კირსა და ქვას სხვა ბევრი ბიოლოგიური მასაც ჩააყოლა სიმტკიცისთვის და ზედ მყარი შენობის დადგმა დაიწყო. იცოდა რა ქართული ანდაზა „კარგი ქვა კედლიდან არ გადმოვარდებაო“, ოდნავ მრუდე ქვას კედელზე არ დებდა, რათა კედელს წონასწორობა არ დარღვეოდა და სისწორე არ დაეკარგა. სტალინი არ ერიდებოდა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას, მათ ტექნოლოგიებს, შრომისმოყვარეობასა და თანმიმდევრულობას. პირიქით, მან შექმნა ლოზუნგები: „ვისწავლოთ მტრებისგან“, „ამერიკულ საქმიანობას დამატებული რუსული რევოლუციური გაქანება — აი, ეს არის ახალი ქვეყნის მშენებლის ახალი ტიპი“.

სტალინმა განმარტა, რა არის ამერიკული საქმიანობა და რა არის რუსული რევოლუციური გაქანება. სწორედ ამ განმარტებით დაამთავრა მან თავისი ცნობილი ნაშრომი „ლენინიზმის საკითხები“. უცხოეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის სტალინმა საგარეო საქმეთა კომისრად **მაქსიმ ლიტვინოვი** დანიშნა, რომელიც განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობდა უცხოეთის ქვეყნებში.

**თბილისში, ერევნის მოედანზე, განხორციელებულმა ექსპროპრიაციამ, რომელმაც მსოფლიოს პრესა მოიცვა, როგორც ევროპის ყველაზე მასშტაბურმა ძარცვამ, სხვაზე მეტად სწორედ ლიტვინოვი დააზარალა, რომელიც საფრანგეთის პოლიციამ სწორედ ნაძარცვი კუპიურების გადაცვლისას აიყვანა. ლიტვინოვის ექსტრადიციას რუსეთის იმპერია მოითხოვდა, მაგრამ იგი რატომღაც ინგლისს გადასცეს. ინგლისში ლიტვინოვის პატიმრობამ განაპირობა, მისი მხრიდან ინგლისისა და საფრანგეთის მიმართ უდიდესი პატივისცემა, რომელსაც ყოველთვის ამჟღავნებდა საბჭოთა სახალხო კომისარი.**

30-იანი წლების ბოლოს საბჭოთა პარტიულ ელიტაში აშკარად გამოიკვეთა ორი მიმდინარეობა: ანტანტისტები და გერმანისტები. ანტანტისტებს სათავეში ედგათ ლიტვინოვი, გერმანისტებისკენ იხრებოდა სტალინი.

ორ ხუთწლედგამოვლილი სტალინის რუსეთი კაპიტალისტურ სამყაროს კარგს არაფერს უქადდა, კრიზისს კრიზისი ანაცვლებდა და მშრომელთა უკმაყოფილება თანდათან ძლიერდებოდა, რომლის კატალიზატორადაც მსოფლიოს ესოდენ საშიში „კომუნისტური ინტერნაციონალი“ ხდებოდა. დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებში კომუნისტური პარტიები ფეხებში ედებოდნენ ქვეყნის მთავრობებს. ყველა ქვეყანაში გიზგიზებდა ხალხთა უკმაყოფილება და რევოლუციის ცეცხლი.

პარტიის XVII ყრილობაზე სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა:

„ფაშიზმის გამარჯვება გერმანიაში უნდა შევაფასოთ, როგორც არა მხოლოდ ნიშანი მუშათა კლასის სისუსტისა და შედეგი სოციალ-დემოკრატიის ღალატისა მუშათა კლასის მიმართ, — სოციალ-დემოკრატიის, რომელმაც გზა გაუკაფა ფაშიზმს. ის, აგრეთვე, უნდა შევაფასოთ, როგორც ნიშანი ბურჟუაზიის სისუსტისა, როგორც ნიშანი იმისა, რომ ბურჟუაზიას აღარ შეუძლია იბატონოს პარლამენტარიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის ძველი მეთოდებით, რის გამოც ის იძულებულია, საშინაო პოლიტიკაში მიმართოს მმართველობის ტერორისტულ მეთოდებს, — როგორც ნიშანი იმისა, რომ მას აღარ შეუძლია გამოსავალი მონახოს ახლანდელი მდგომარეობიდან მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის საფუძველზე და იძულებულია, დაიწყოს ომის პოლიტიკა“.

**საბჭოთა სახელმწიფოს ჩასახვისთანავე ანტანტამ გაილაშქრა პროგრესის წინააღმდეგ და შეეცადა ჩვილის აკვანში ჩახრჩობას, მაგრამ ეს არ გამოუვიდა. გული იმით დაიმშვიდეს, რომ „თიხის ფეხებზე შემდგარი საფრთხობელა, თავისთავად ჩამოიშლებოდა“, მაგრამ ამაშიც მწარედ მოტყუვდნენ.**

პირველი სტალინური ხუთწლედის შედეგებმა თვალი დაუბნელა კაპიტალისტურ ძალებს და ისინი თეთრის შავად წარდგენას შეეცადნენ მსოფლიოს მშრომელებისთვის, მაგრამ ზოგიერთი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი ფალსიფიკატორებს მართალი სიტყვითა და პრესით დაუპირისპირდა. სტალინურმა მეორე ხუთწლედმა მსოფლიო დაარწმუნა, რომ მისი ქვეყანა გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ და სწორედ მაშინ გამოავლინეს თავიანთი სისუსტე (როგორც სტალინი ზემოთ აღნიშნავდა) — კაპიტალისტებმა ახალ მიმდინარეობა ფაშიზმზე დადეს ფსონი. ავანტიურისტი **მუსოლინის** ნაცვლად, **ჰიტლერის** გაძლიერებას მიჰყვეს ხელი. საფრთხის წინაშე მდგარმა კაპიტალისტურმა სამყარომ კაპიტალით, ტექნოლოგიებით, სპეციალისტებით თუ მუშახელით გერმანიისაკენ იბრუნა პირი და ხილულად თუ ფარულად პლანეტაზე უძლიერესი სამხედრო პოტენციალი შექმნა. ეს იყო სტალინის თავის მოსაკვეთად ერთობლივად ხანჯლის ლესვა. მხოლოდ ჰიტლერი რომ არ დაჯახებოდა სტალინს, რაც გიჟის მიერ კედელზე თავის მიხლა იქნებოდა, როგორც სტალინი აღნიშნავდა პარტიის XVIII ყრილობაზე (1939 წელს): „იაპონიამ დაიწყო თავისი აგრესიული მოქმედების გამართლება იმით, რომ 9 სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების დადებისას მას წილი დააკლეს და საშუალება არ მისცეს, გაეფართოებინა თავისი ტერიტორია ჩინეთის ხარჯზე, მაშინ, როდესაც ინგლისი და საფრანგეთი უდიდეს კოლონიებს ფლობენ. იტალიამ გაიხსენა, რომ მას დააკლეს წილი პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ ნადავლის გაყოფისას და მან ეს უნდა აინაზღაუროს ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფეროების ხარჯზე. გერმანია, რომელიც სერიოზულად დაზარალდა პირველი იმპერიალისტური ომისა და ვერსალის ზავის შედეგად, შეუერთდა იაპონიასა და იტალიას და მოითხოვა თავისი ტერიტორიების გაფართოება ევროპაში, იმ კოლონიების დაბრუნება, რომლებიც მას პირველ იმპერიალისტურ ომში გამარჯვებულებმა წაართვეს. ასე დაიწყო სამი აგრესიული სახელმწიფოს ბლოკის შექმნა. დღის წესრიგში დადგა ომის საშუალებით მსოფლიოს ახალი გადანაწილების საკითხი“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

წითელი ხაზები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უმაღლესი განათლებისადმი ისეთი უფასო ხელმისაწვდომობა, როგორიც რუსეთშია, პრაქტიკულად, არსად არ არის. უმაღლეს სასწავლებლებში კი მალე იქნება კიდევ 45 ათასი საბიუჯეტო ადგილი. 100-მდე სასწავლებელი მიიღებს გრანტებს სტუდენტური ტექნოპარკისთვის; აშენდება 1300 ახალი სკოლა; შეიძენენ 16 ათას ავტობუსს სკოლებისთვის; მოიმატებს პედაგოგების ხელფასი; შეიქმნება კულტურული ინიციატივების პრეზიდენტის ფონდი და, როგორც ჩანს, გადახედავენ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებს“.**

# შერხანი და მისი ტაბაკები — ვლადიმერ პუტინმა ერთი მეტაფორით აღწერა აშშ-ისა და მისი ვასალების მდგომარეობა

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიმართვა რუსეთის ფედერალური საკრებულოსადმი სოციალური საკითხებით იყო დატვირთული. საათნახევრის განმავლობაში პუტინმა ჩამოთვალა ბავშვიანი ოჯახების, მოსწავლეების, სტუდენტების, მედიკოსების, პედაგოგების, თითქმის გაკოტრებული ტურისტული ბიზნესის მხარდამჭერი ზომები.**
**ამ ინიციატივებზე მთავრობა დახარჯავს დაახლოებით 4 მლრდ რუბლს 2 წლის განმავლობაში, თანაც სწრაფად — „ზედმეტი ქაღალდების, ცნობებისა და ბიუროკრატული წინაღობების გარეშე“. რაც შეეხება გარე სამყაროს, რუსეთი შეძლებს თავისი ინტერესების დაცვას, — განაცხადა სახელმწიფო მეთაურმა.**

## «რუსეთის პასუხი მკაცრი იქნება!»



**«წითელ ხაზებს ჩვენ თვითონ დავაწესებთ და, თუ ვინმე მათ გადალახავს, პასუხი იქნება სწრაფი, ასიმეტრიული და მკაცრი: ორგანიზატორები ნებისმიერი პროვოკაციისა, რომელიც დაემუქრება ჩვენი უსაფრთხოების ინტერესებს, ჩადენილს ინანებენ ისე, როგორც, დიდი ხანია, არაფერი უნანიათ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ დასახული მიზნებისთვის და მათ აუცილებლად მივაღწევთ»**

### აიცერით!

პუტინის მიმართვა, ძირითადად, მიეძღვნა საშინაო საკითხებს: ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ პოლიტიკას, ეკონომიკას მხოლოდ ბოლოს, „სულ რამდენიმე სიტყვით“, საგარეო პოლიტიკას. რფ-ის სახელმწიფო მეთაურმა დაიწყო გასული წლის მოვლენებით, როცა მსოფლიოს პანდემია მოედო. მან გაიხსენა გადავსებული საავადმყოფოები, ნიღბების დეფიციტი; ზოგიერთი მაღაზიის დაცარიელებული დახლები: „ეპიდემია გვიტევდა, მაგრამ ხალხი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთი დაძლევდა ამ გამოცდას“. სახელმწიფო მეთაურმა მადლობა გადაუხადა რუსეთის მოქალაქეებს, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა პანდემიასთან ბრძოლაში, ვინც სიცოცხლის რისკის ფასად მუშაობდა და იცავდა უსაფრთხოების ქანცგამცლელ წესებს, ჯანდაცვის სისტემის მუშაკებს, მეცნიერებს, ბიზნესმენებს, მრეწველებს. შემდეგ გაისმა ემოციური მოწოდება: „კიდევ ერთხელ მივმართავ რუსეთის ყველა მოქალაქეს: გთხოვთ, ჩაიტარეთ აცრა!“ სხვაგვარად შემოდგომისთვის ვერ ჩამოყალიბდება კოლექტიური იმუნიტეტი.

### გადახდები ბავშვებისთვის

პანდემიამ ძლიერად დაარტყა ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის დემოგრაფიასაც, მაგრამ ქვეყანა უარს არ ამბობს დასახულ მიზნებზე. შობადობის სტიმულირებისთვის პრეზიდენტმა საკრებულოს შესთავაზა ინიციატივების ფართო ჩამონათვალი. მან ყველას შეახსენა, რომ სახელმწიფო მთელი წლის განმავლობაში ფინანსურად ეხმარებოდა ოჯახებსა და ბავშვებს „ცნობების, ქაღალდებისა და ბიუროკრატიული წინაღობების გარეშე“. აქ მან შეაქო მთავრობა და ხელისუფლების ყველა ორგანოს ურჩია, იმუშაონ ქაღალდების გარეშე. მაგალითად, ფედერალური დახმარებებისა და პენსიების გადახდა მოხდეს „ერთი ფანჯრის“ პრინციპით: „ინსტანციებში სირბილის გარეშე“. **იმ ოჯახებს, რომლებსაც სკოლის მოსწავლეები ჰყავთ, კიდევ 10 000 რუბლს (460 ლარს) გადაუხდიან, ეს ეხება სკოლამდელებსაც (საშუალოდ 11 300 რუბლი — 520 ლარი). ივლისში კი მხარდაჭერის ახალი პროგრამა ამუშავდება. დახმარება გაეწევათ მარტოხელა მშობლებსაც. 1 ივლისიდან არასრულ ოჯახებს, რომლებშიც 8-დან 16 წლამდე ბავშვია, დაენიშნებათ 5600 რუბლი (258 ლარი). მოსწავლეებს სკოლებში უფასოდ გამოკვებავენ, ხოლო ბავშვთა ბანაკებში დასასვენებელი საგზურის ნახევარ ფასს სახელმწიფო გადაიხდის.**

მომავალ დედებს, რომლებსაც რთული საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ, სახელმწიფო თვეში 6350 რუბლით (292 ლარი) დაეხმარება.

### სამეცნიერო პროექტები

პრეზიდენტმა ყველას შეახსენა, რომ უმაღლესი განათლებისადმი ისეთი უფასო ხელმისაწვდომობა, როგორიც რუსეთშია, პრაქტიკულად, არსად არ არის. **უმაღლეს სასწავლებლებში კი მალე იქნება კიდევ 45 ათასი საბიუჯეტო ადგილი. 100-მდე სასწავლებელი მიიღებს გრანტებს სტუდენტური ტექნოპარკისთვის. აშენდება 1300 ახალი სკოლა, შეიძენენ 16 ათას ავტობუსს სკოლებისთვის, მოიმატებს პედაგოგების ხელფასი. შეიქმნება კულტურული ინიციატივების პრეზიდენტის ფონდი. და, როგორც ჩანს, გადახედავენ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებს.**

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, ის განცვიფრებულია იმით, რაც სახელმძღვანელოებში წერია. **„თითქოს ჩვენზე არ წერენ, ვინ წერს, ვინ იძლევა ასეთი სახელმძღვანელოების გამოცემის უფლებას, უბრალოდ, გასაცვიფრებელია. ყველაფერი შეიძლება იქ ეწეროს, ისეთიც კი, რისი კომენტირებაც არ მსურს“.** პუტინმა ილაპარაკა უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო პროექტებზეც. ამ პროექტებზე 2024 წლამდე დაიხარჯება 1,63 ტრილიონი რუბლი (75,1 მლრდ ლარი). დაიწყება ინოვაციური



პროგრამები, რომლებიც მიიღებს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტატუსს. **რუსეთს ჭირდება მძლავრი სანიტარული ფარი, ვაქცინებისა და წამლების წარმოების სრული ციკლი. ქვეყანა მზად უნდა იყოს, 4 დღის განმავლობაში დაამზადოს ახალი სახიფათო დაავადებების ტესტსისტემები.** კიდევ ერთი მიზანია მავნე აირების გამოყოფის იმ დონეზე მეტად შემცირება, ვიდრე ევროკავშირშია. საბინაო-კომუნალური მეურნეობის სისტემა, ინფრასტრუქტურა და აგროსამრეწველო კომპლექსი ადაპტირებული იქნება კლიმატის ცვლილებების მიმართ, შეიქმნება მკაცრი კონტროლის სისტემა.

პრეზიდენტმა გაიხსენა ნორილსკის ეკოლოგიური კატასტროფა და წამოაყენა წინადადება, კერძო მესაკუთრეებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა პრინციპით: „მან, ვინც დააბინძურა, უნდა გადაიხადოს“. მაგალითად, ხაზინაში უნდა გადაიხადოს 146 მილიარდი რუბლი საწვავის დაღვრისთვის. 12 უდიდეს ინდუსტრიულ ცენტრში ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვები უნდა შემცირდეს 20 პროცენტით. გაუქმდება მოძველებული ნორმები და ზედმეტი შემოწმებები. რუსეთში ქარხნის აშენება გაცილებით იოლი იქნება, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

### ფული რეგიონებში

კორპორაციული სექტორის მოგება მიმდინარე წელს რეკორდული უნდა იყოს. იქიდან გამომდინარე, როგორ გამოიყენებენ მას, მიიღებენ გადაწყვეტილებას საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანაზე.

**რეგიონებს შეუმცირდებათ ვალების ტვირთი. თუ კომერციული დავალიანება შემოსავლების 25%-ზე მეტია, მას ჩაანაცვლებენ ბიუჯეტიდან გაცემული კრედიტებით, რომელთა რესტრუქტურიზაცია 2029 წლამდე მოხდება.**

უფრო მეტიც, რეგიონებისთვის დაწესდება ახალი ინფრასტრუქტურული კრედიტები წლიური 3 პროცენტით და დაფარვის 15 წლის ვადით. რეგიონებს 2023 წლამდე გამოუყოფენ 500 მლრდ რუბლს. იმუშავებს ასეთი პრინციპი: რაც ნაკლებია ვალი, მით მეტია კრედიტი. ამასთანავე, **რუსეთი აამუშავებს შეღავათიანი კრედიტების პროგრამას ტურისტული ბიზნესისთვის, ხოლო უცხოელებს ტურისტულ ვიზებს 4 დღის განმავლობაში გაუფორმებს.**

### „რამდენიმე სიტყვა“ საგარეო პოლიტიკაზე

საგარეო პოლიტიკის საკითხები ვლადიმერ პუტინმა ბოლოსთვის მოიტოვა, თანაც აღნიშნა, რომ ამ საკითხებზე დიდხანს არ ილაპარაკებდა. „თუ სხვა ქვეყნებს არ სურთ დიალოგი და ქედმაღლური ტონით საუბარს ამჯობინებენ, მაშინ რუსეთი მოძებნის თავისი ინტერესების დაცვის საშუალებას“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. ის აღაშფოთა იმ ამბავმა, ▶

წითელი ხაზები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პუტინის დუმილი რიგ საკითხებზე (მაგალითად, ბაიდენთან სამომავლო შეხვედრაზე) ბევრ სიტყვასა და განცხადებაზე ხმამაღლა ლაპარაკობს. მეორე — რუსეთის პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში შემოსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემის პრობლემები. მორიგი „მიუნხენის სიტყვის“ ნაცვლად ვლადიმერ პუტინმა ეს რამდენიმე წინადადება რედიარდ კიპლინგის ბევრისთვის ცნობილი და საყვარელი „ჯუნგლების წიგნის“ პერსონაჟების გამოყენებით გააკეთა.**

◀ რომ დასავლეთმა ვერ შეამჩნია სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ბელარუსში. **„ისეთ სახეს იღებენ, თითქოს, საერთოდ, არაფერი ხდება. შეიძლება ნებისმიერი თვალსაზრისი გქონდეს ლუკაშენკოს მიმართ, მაგრამ მკვლელობის ორგანიზება მეტისმეტია, ყველა ზღვარს გადადის“.** თვით რუსეთს „ხან აქ პწკენენ, ხან — იქ“. სპორტის ახალი სახეობაა: ვინ უფრო ხმამაღლა იტყვის რაღაცას. „ჩვენ თავშეკავებით ვიქცეოდით და, ირონიის გარეშე ვიტყვი, თავმდაბლობით. ხშირად საერთოდ უპასუხოდ ვტოვებთ ხოლმე არა მხოლოდ არამეგობრულ აქციებს, არამედ აშკარა თავხედობას. ჩვენ კეთილი ურთიერთობები გვსურს“, — განავითარა აზრი პუტინმა, მაგრამ გვერდიდან ყველაფერი ისე ჩანს, როგორც **რედიარდ კიპლინგს** (ის კი პრეზიდენტის აზრით, დიდი მწერალია) აქვს დაწერილი „ჯუნგლების წიგნში“. შერხანის გარშემო ტრიალებენ წვრილ-წვრილი ტაბაკები და ყმუიან თავიანთი სუვერენის გულის მოსაგებად, მაგრამ, თუ ვინმე გადალახავს წითელ ხაზებს, რომლებსაც რუსეთი თვითონ დააწესებს, პასუხი იქნება სწრაფი, ასიმეტრიული და მკაცრი: „ორგანიზატორები ნებისმიერი პროვოკაციისა, რომელიც დაემუქრება ჩვენი უსაფრთხოების ინტერესებს, ჩადენილს ინანებენ ისე, როგორც, დიდი ხანია, არაფერი უნანიათ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ დასახული მიზნებისთვის და მათ აუცილებლად მივაღწევთ“.

ვლადიმერ პუტინმა თავის გზავნილში ფედერალური საკრებულოსადმი ლიტერატურული პერსონაჟები გამოიყენა — ლაპარაკია ინგლისელი მწერლის, რედიარდ კიპლინგის, ნაწარმოების „ჯუნგლების წიგნის“ გმირეზე. **ვის გულისხმობდა რუსეთის ლიდერი შერხანსა და ტურა ტაბაკიში, რომელიც „ყმუის თავისი სუვერენის გულის მოსაგებად?“**

## არასაბავშვო წიგნები

ზოგიერთი ექსპერტი იმედგაცრუებული იყო იმით, რომ პუტინმა ნაკლები ყურადღება დაუთმო საგარეო პოლიტიკის საკითხებს, მაგრამ ეს იმედგაცრუება უადგილოა. უწინარესად, იმიტომ, რომ პუტინის დუმილი რიგ საკითხებზე (მაგალითად, ბაიდენთან სამომავლო შეხვედრაზე) ბევრ სიტყვასა და განცხადებაზე ხმამაღლა ლაპარაკობს. მეორე — რუსეთის პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში შემოსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემის პრობლემები. მორიგი „მიუნხენის სიტყვის“ ნაცვლად ვლადიმერ პუტინმა ეს რამდენიმე წინადადება რედიარდ კიპლინგის ბევრისთვის ცნობილი და საყვარელი „ჯუნგლების წიგნის“ პერსონაჟების გამოყენებით გააკეთა.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი წიგნი, რომლებსაც ჩვენ საბავშვოდ მივიჩნევთ, დაწერილია ზრდასრულთათვის. **„ცხოველთა ფერმაში“** აღწერილია ელიტების მიერ ხელისუფლების უზურპაცია — და, თუ ადრე მიიჩნევდნენ, რომ **ჯორჯ ორუელი** ამ წიგნში წერდა საბჭოთა კავშირზე, დღეს „ცხოველთა ფერმაში“ ჩანს ამჟამინდელი ლიბერალურ-ტოტალიტარული ამერიკა. **მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“** წარმოაჩენს ამერიკულ ხასიათსა და ცხოვრების წესს — იმ ადამიანებისა, რომლებმაც ამერიკა დიად სახელმწიფოდ აქციეს. რუსული მუსიკალური მულტსერიალი **„ნეზნაიკა მთვარეზე“** კი თანამედროვე კაპიტალიზმზე შექმნილი სახელმძღვანელოა.



აი რედიარდ კიპლინგის „ჯუნგლების წიგნი“ (საბჭოთა კავშირში მას „მაუგლის“ უწოდებდნენ) კი საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემაზეა, „ჯუნგლების

**«თუ სხვა ქვეყნებს არ სურთ დიალოგი და ქედმაღლური ტონით საუბარს ამჯობინებენ, მაშინ რუსეთი მოძებნის თავისი ინტერესების დაცვის საშუალებას», — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. ის აღაშფოთა იმ ამბავმა, რომ დასავლეთმა ვერ შეამჩნია სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ბელარუსში. «ისეთ სახეს იღებენ, თითქოს, საერთოდ, არაფერი ხდება. შეიძლება, ნებისმიერი თვალსაზრისი გქონდეს ლუკაშენკოს მიმართ, მაგრამ მკვლელობის ორგანიზება (პრაქტიკა) მეტისმეტია, ყველა ზღვარს გადადის»**

კანონით“ ხომ „ყველა თავისთვის“ არ არის, როგორც ამას ბევრი ფიქრობს. **ჯუნგლი — ეს უნიკალური სამყაროა, რომელშიც სხვადასხვა ცხოველი (მტაცებელი და ბალახისმჭამელი, მხოხავი თუ მფრენი) გვერდიგვერდ ცხოვრობენ და ემორჩილებიან დაუწერელ კანონებს. კერძოდ, „წყლის ზავს“, როდესაც ძლიერი გვალვის პერიოდში მტაცებლები არ ნადირობენ წყალსატევებთან, რომლებიდანაც ცხოველები წყურვილს იკლავენ.** მოსკოვი, ამერიკის შეერთებულ შტატებს სთავაზობდა ასეთ დროებით ზავს კორონავირუსის პანდემიის პერიოდში (მაგალითად, ირანისთვის სანქციების ნაწილის მოხსნას, რათა საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციებს შეძლებოდათ ამ ქვეყნისთვის წამლების მიწოდება), მაგრამ ვაშინგტონმა უარი თქვა კორონავირუსულ დროებით ზავზე.



კიპლინგი დიადი მწერალია, — განაცხადა პუტინმა. მან 2011 წელს უკვე გამოიყენა სცენა კიპლინგის წიგნიდან იმ მომენტში, როცა უცხო ქვეყნების აგენტებზე ლაპარაკობდა. ადამიანებზე, რომლებსაც აქვთ რფ-ის მოქალაქეობა, მაგრამ მოქმედებენ უცხო სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად უცხოელების ფულით.

**«რუსეთს ხან აქ პწკენენ, ხან — იქ. სპორტის ახალი სახეობაა: ვინ უფრო ხმამაღლა იტყვის რაღაცას. «ჩვენ თავშეკავებით ვიქცეოდით და, ირონიის გარეშე ვიტყვი, თავმდაბლურად. ხშირად, საერთოდ, უპასუხოდ ვტოვებთ ხოლმე არა მხოლოდ არამეგობრულ აქციებს, არამედ აშკარა თავხედობას. ჩვენ კეთილი ურთიერთობები გვსურს»**

## შერხანი კანონზე მაღლა

**რუსეთის პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ამერიკის შეერთებული შტატები შეადარა შერხანს, რომლის გარშემოც „ტრიალებენ წვრილ-წვრილი ტაბაკები და ყმუიან თავიანთი სუვერენის გულის მოსაგებად.** შედარება ძალიან ზუსტია. რა თქმა უნდა, ჯუნგლების ბინადართ სურთ, აშშ-ში აკელა დაინახონ. დემოკრატიული ქვეყნების თავისუფალი გუნდის ბელადი, რომელიც, თუკი კლავს სხვა ცხოველებს, მხოლოდ საჭიროების გამო, საკვებისთვის და არა სიამოვნებისთვის, რომელიც პატივს სცემს ჯუნგლების კანონებს და იცავს მათ. და პასუხს აგებს ჯუნგლების ყველა ბინადარზე, იცავს მათ და აცილებს საფრთხეებს.

თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურს აკელად გადაქცევა, მაშინ ბევრი ისურვებდა, ამერიკა გადაქცეულიყო ჰათჰად — სპილოდ, ჯუნგლებში ყველაზე ღონიერ ცხოველად, რომელიც თავისთვის არის და სხვას ხელს არ უშლის ცხოვრებაში, არ ერევა სხვის საქმეებში, მაგრამ ამის ნაცვლად **აშშ გადაიქცა შერხანად — მკვლელად, რომელიც სხვას სიცოცხლეს ართმევს თავისი სიამოვნებისთვის; რომელიც თავს ჯუნგლების კანონებზე მაღლა მდგომად მიიჩნევს (რადგან, მისი გაგებით, მთავარი კანონი — ეს არის „ყველა თავისთვის“; მკვლელად), რომელსაც დაზიანებული აქვს თათი და ვეღარ ნადირობს სწრაფ და ძლიერ ცხოველებზე.** მნიშვნელობა არ აქვს, როგორ დაიზიანა მან თათი — ბევრი წაგებული ომის შედეგად, ახალი ომის დასაწყებად რესურსების არარსებობის თუ ამერიკელი საზოგადოების შიდა განხეთქილების გამო — მაგრამ ამ **ტრავმამ აშშ მსხვერპლის არჩევის წინაშე დააყენა. ახლა ის ნადირობს მხოლოდ სუსტებსა და ზანტებზე — მაგალითად, ცდილობს, ბოლო მოუღოს მათ, ვინც იტანჯება კორონავირუსით (ფეხებზე ჰკიდია „წყლის დროებითი ზავიც“ და ჯუნგლების სხვა კანონებიც) ან კიდევ ცდილობს, მოაწყოს თავდასხმა მიუღებელ ლიდერებზე, მაგალითად, ალექსანდრე ლუკაშენკოზე.** შერხანის გამოკვების კიდევ ერთი ხერხია სხვების გაგდება კანონიერად მოპოვებული ნადავლიდან. მაგალითად, აშშ-ს არ აქვს ჩინურ ჰაიკ-ტეკ კომპანიებსა და რუსეთის „როსატომთან“ ღია კონკურენციის შესაძლებლობა, ამიტომაც წამოიწყო მასშტაბური პროპაგანდისტული და ჯაშუშური კამპანია და ასე ცდილობს რუსებთან ან ჩინელებთან ნებისმიერი თანამშრომლობის წარმოჩენას, როგორც ტოქსიკურის.

## ტაბაკები პატივისცემის გარეშე

შერხანი სარგებლობს იმით, რომ მართალია, მოხერხებული არ არის, მაგრამ მაინც ძლიერია. და, რადგან ხარების ჯოგი, რომელიც მას ფეხქვეშ გათელეს, ჯერ კიდევ არ შეგროვებულა (ან ჯერ კიდევ ვერ მოიძებნა ისეთი, ვინც ამ ჯოგს შეაგროვებს), შერხანთან დაპირისპირების ყველას ეშინია და ამით სარგებლობს სხვადასხვა ტაბაკი, რომლებიც ტრიალებენ კოჭლი მტაცებლის გარშემო, რათა მიეპირფერონ მას, ამისთვის მიიღონ მისი საკვების ნარჩენები და მისი მფარველობით თავს დაესხან კიდევ უფრო სუსტებს. „ისეთი თავმდაბალი არსებისთვის, როგორიც მე ვარ, გამოხრული ძვალიც შესანიშნავი ნადიმია. ვინ ვართ ჩვენ, ტაბაკები — ტურების ტომი, რომ ავირჩიოთ და განვსაჯოთ?“ — ამბობს ტაბაკი.

გასაგებია, რომ ჯუნგლებში ტაბაკს პატივს არავინ სცემს, მასთან არავინ ურთიერთობს — არც არწივი ჩილი (ამერიკულ გამოცემაში — რანი), არც სპილო ჰათჰი, თავისუფალი ხროვის წარმომადგენელი მგლების (გონებაჩლუნგი ლიბერალი ახალგაზრდების) გარდა, რომლებიც აღტაცებულნი არიან შერხანის ძალითა და ყველაფრის უფლებით.

**„ინდოეთის ჯუნგლების მგლებს სძულთ ტაბაკი იმიტომ, რომ მას ყველასთვის უსიამოვნება მოჰქონდა, ჭორიკნობდა და ნაგავსაყრელზე გადაგდებული ტყავის ნაგლეჯებს მიირთმევდა. ამასთანავე, ჯუნგლებში მისი ყველას ეშინოდა, რადგან ტურებს შეუძლიათ გაგიჟდნენ და ასეთ მდგომარეობაში ისინი ივიწყებენ შიშს, დარბიან ტყეში და კბენენ ყველას, ვინც კი შეხვდებათ“, — წერია „ჯუნგლების წიგნში“.** ტაბაკები, საერთო ენას, ალბათ, გამონახავდნენ ბანდერლოგებთან — ტომთან, რომელსაც კანონები არ აქვს და რომლის წარმომადგენლებიც დაბადებისთანავე შეპყრობილნი არიან სიგიჟით.

რთული მისახვედრი არ არის, ვის გულისხმობდა პუტინი ტაბაკებში: შეიძლება ჩეხებს, მათი ზღაპრებით რუს ჯეიმს ბონდებზე, ან ვლადიმერ ზელენსკისა და უკრაინის ელიტის სხვა წარმომადგენლებს, რომლებთან ურთიერთობას არ კადრულობენ თვით ევროპელი მგლები; არ კადრულობენ და, ამასთანავე, ეშინიათ უკრაინის ელიტის სიგიჟის. მგლები სიხარულით გადაუტეხავდნენ ტაბაკებს ხერხემალს (როგორც ეს წიგნში გააკეთა ნაცრისფერმა ძმამ), მაგრამ ჯერჯერობით ეშინიათ შერხანის. ჯერჯერობით ეშინიათ.

ria.ru-სა და vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

შეთქმულება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ, სულ ცოტა, 5 წლით ემართათ ქვეყანა. „ჩვენი მიზანია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ტრანსფორმაცია“ (ანალოგიური მიზანიჰქონდა გარე ძალების მიერ მართულ „ნაციონალურ მოძრაობას“ საქართველოში 2003 წელს — გ.გ. ), — განაცხადა ზენკოვიჩმა. ახლა ბელარუსები ჯერ კიდევ არ არიან მზად ცვლილებებისთვის და, არჩევნები რომ ჩატარდეს, ვინმე ახალ ლუკაშენკოს აირჩევენ. ეს კი არ უნდა დავუშვათ, ამიტომ საჭიროა ტრანსფორმაცია (რეპრესიები)!**

# ოპერაცია «სიჩუმის» ჩაფლავება

## ვინ გეგმავდა თავდასხმას ლუკაშენკოზე

**ბელარუსული მაიდნის („ბელომაიდნის“) დასაწყისშივე ცხადი იყო, რომ საქმე „მშვიდობიანი საპროტესტო აქციებით“ არ დასრულდებოდა. იმიტომ არ ათამაშებდა კუნთების ოპოზიცია, რომ შემდეგ სამალავში შეყუჟულიყო ან საზღვარგარეთ გაქცეულიყო.**

შეუმდგარი ბელარუსული „რევოლუციის“ დასავლელი კურატორები მიიჩნევდნენ, რომ „ბელ-ჩერვონა-ბელი“ (თეთრ-წითელ-თეთრი) დროშის ქვეშ ოპოზიციონერთა მასობრივი გამოსვლები და ბელარუსის სახელმწიფო სტრუქტურებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და შემოქმედებით ინტელიგენციაში მოკალათებული მეხუთე კოლონა შეარყევდა რეჟიმს და აიძულებდა **ალექსანდრე ლუკაშენკოს,** დადგომოდა **ვიქტორ იანუკოვიჩის** დამღუპველ გზას — დაეთანხმებულიყო საპროტესტო აქციის მონაწილეებთან მოლაპარაკებებს პოლონელი ან ბალტიისპირელი რომელიღაც ფიგურების (უკრაინის შემთხვევაში ასეთი „ფიგურები“ იყვნენ საფრანგეთიდან და გერმანიიან) გარანტიით. შემდეგ ყველაფერი წავიდოდა გატკეპნილი გზით: უმრავლესობის შეცვლა უმცირესობით, გარედან მართვა, ნაციონალიზმის აყვავება, ქვეყნის ჩამოშლა. რაც უკრაინის დაემართა, ყველასთვის ცნობილია.

მაგრამ ბელარუსში ბლიცკრიგი არ გამოვიდა. „მშვიდობიანი რევოლუცია“ ჩაიფუშა. მალე გაირკვა, რომ ლუკაშენკო არ წავიდოდა იანუკოვიჩის გზით. გასაგები იყო, რომ ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ტიხანოვსკაიას აღიარება ბელარუსის „არჩეულ პრეზიდენტად“ არაფერს მოიტანდა. ოპოზიციის მიერ შემუშავებულმა ე.წ. კონსტიტუციის პროექტმა კი ყველა ეჭვი გაფანტა ბელარუსულ მაიდანზე, რომლის მიზანიც რუსეთის საზღვართან კიდევ ერთი ანტირუსული ბასტიონის აგება იყო პოლონეთისა და ლიტვის მმართველობით აშშ-ის ინტერესების შესაბამისად.

„მშვიდობიანი რევოლუცია“, როგორც კი მან მინავლება დაიწყო, მყისვე ტერორში გადაიზარდა. **გაჩნდა ჯგუფი, რომელმაც ხელისუფლების შეცვლის ყველაზე საიმედო მეთოდად შეიარაღებული აჯანყების ტალღაზე ლუკაშენკოსა და მისი ოჯახის წევრების ფიზიკური ლიკვიდაცია მიიჩნია. გეგმას დაარქვეს „სიჩუმე“, მას საფუძვლად დაუდეს „ეგვიპტური სცენარი“. „ეს, ჩემი აზრით, ერთადერთი სცენარია, რომლის რეალიზაციას შესაძლებელია“, — განაცხადა ერთ-ერთმა სცენარისტმა, ცნობილმა პოლიტიკურმა ანალიტიკოსმა ალექსანდრე ფედუტამ.** მას მხედველობაში ჰქონდა ეგვიპტის პრეზიდენტ **ანვარ სადათის** მკვლელობა 1981 წლის 6 ოქტომბერს გამართულ სამხედრო აღლუმზე. ეგვიპტელი სამხედროების ჯგუფმა ავტომატური იარაღებიდან ცეცხლი გაუხსნა ტრიბუნას, რომელზეც იმყოფებოდნენ ანვარ სადათი, ეგვიპტელი მაღალჩინოსანი სამხედროები და მთავრობის მაღალი რანგის წევრები. სადათი სასიკვდილოდ დაჭრეს, სულ დაიღუპა 11 და დაიჭრა 28 ადამიანი.

**ალექსანდრე ლუკაშენკოს მკვლელობის დღედ არჩეული იყო გამარჯვების დღე — 9 მაისი. კიდევ ერთი სარეზერვო დღე იყო 3 ივლისი, როცა ბელარუსი ზეიმობს მინსკის გათავისუფლებას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისგან და დამოუკიდებლობას.**

ბელარუს სამხედროებთან, რომლებიც თითქოს დათანხმდნენ შეთქმულებთან თანამშრომლობას, მოლაპარაკებების ადგილად შეირჩა მოსკოვი.

„რევოლუციის“ ორგანიზატორთა გეგმა შთამბეჭდავია: **შეთქმულები ლაპარაკობდნენ „ყველაზე მთავარის ჩამოცილებაზე“ (ამოცანა №1), სპეცდანიშნულების რაზმისა და შინაგანი ძალების ბლოკირებაზე (ამოცანა №2), „სიმბოლური ობიექტების“ ხელში ჩაგდებაზე (ამოცანა №3). „სასურველია მინსკის ბლოკირება, რათა ვერ შეძლონ ჯარების მობილიზაცია“, — მოითხოვდა აშშ-დან სასწრაფოდ ჩამოფრენილი იური ზენკოვიჩი — შეთქმულების კიდევ ერთი „ტვინი“. ზენკოვიჩს „ვიღაც ბიჭებმა“ აცნობეს, რომ „არსებობს ბელარუსის ენერგოსისტემის ბლოკირების“ შესაძლებლობა.** ძალიან „ავისმომასწავებელი“ და გაბედული განცხადებაა ბელარუსის ექსპლუატაციაში შესული ატომური ელექტროსადგურის გათვალისწინებით.

**ფედუტას სურდა, „პირველ საათებში, სულ ცოტა, 30 კაცის ინტერნირება — „შსს-ის, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა“. ზენკოვიჩი აუწყებს, რომ „ჩვენმა ბიჭებმა“ თითქოს გატეხეს ბელარუსის ძალოვანი უწყებების სერვერები და „გადმოქაჩეს მონაცემთა ბაზები“.**

ისე, რომ არც დალოდებიან „ეგვიპტური სცენარის“ განხორციელებას, სცენარისტებმა დაიწყეს ბელარუსის ხელისუფლების გაყოფა. აშშ-ის პასპორტის მქონე ბელარუსის მოქალაქეს სურდა, მას დამორჩილებოდა სასამართლო სისტემა, იუსტიცია, პარლამენტი; ფედუტას — მასმედია, განათლება, კულტურა ცენტრალური საარჩევნო კომისია, „იდეოლოგიური უწყებები“.

**შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ, სულ ცოტა, 5 წლით ემართათ ქვეყანა. „ჩვენი მიზანია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ტრანსფორმაცია“ (ანალოგიური მიზანი ჰქონდა გარე ძალების მიერ მართულ „ნაციონალურ მოძრაობას“ საქართველოში 2003 წელს — გ.გ.), — განაცხადა ზენკოვიჩმა. ახლა ბელარუსები ჯერ კიდევ არ არიან მზად ცვლილებებისთვის და, არჩევნები რომ ჩატარდეს, ვინმე ახალ ლუკაშენკოს აირჩევენ. ეს კი არ უნდა დავუშვათ, ამიტომ საჭიროა ტრანსფორმაცია (რეპრესიები)! „დემოკრატიის განვითარება“, ზენკოვიჩის წინადადებით, პოლონეთის მაგალითზე უნდა მოხდეს (რაც ნიშნავს ქვეყანაში პროცესების გარედან მართვას).**

აშშ-დან ჩამოსული ეს „მოღვაწე“ ბაქიბუქობდა „პარტნიორთა ჯგუფით“, რომელსაც იარაღი შენახული აქვს“. ის აპირებდა უკრაინული კონტაქტების გამოყენებას.



ალექსანდრე ლუკაშენკო

**გაჩნდა ჯგუფი, რომელმაც ხელისუფლების შეცვლის ყველაზე საიმედო მეთოდად შეიარაღებული აჯანყების ტალღაზე ლუკაშენკოსა და მისი ოჯახის წევრების ფიზიკური ლიკვიდაცია მიიჩნია. გეგმას დაარქვეს «სიჩუმე», მას საფუძვლად დაუდეს «ეგვიპტური სცენარი»**



შეთქმულების მოთავეები: იური ზენკოვიჩი, ალექსანდრე ფედუტა და გრიგორი კოსტუსევი

**მოსკოვში მოლაპარაკებები მიმდინარეობდა „ლუკაშენკოს ქისის“ თემაზეც, რომელიც „წყნარად უნდა აეღოთ“. აქ გასახსენებელია კიევის გარეუბანში იანუკოვიჩის რეზიდენციის ძარცვის სურათი. იქ უკრაინელი „ღირსების რევოლუციონერები“ დიდხანს ეძებდნენ ოქროს უნიტაზს და, როდესაც ვერ იპოვეს, წაიღეს ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა.**

შეთქმულების გამოსააშკარავებელი და სალიკვიდაციო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ნახევარი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. 14 აპრილს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლებმა მოსკოვში დააკავეს ალექსანდრე ფედუტა და იური ზენკევიჩი. ისინი ამჟამად ბელარუსის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის საგამოძიებო იზოლატორში იმყოფებიან.

მათ მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ბელარუსის სისხლის სამართლის კოდექსის 357-ე მუხლით: „შეთქმულება ან სხვა ქმედებები ჩადენილი სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური მეთოდებით ხელში ჩაგდების მიზნით“. ეს პირველი ასეთი საქმეა 30 წლის განმავლობაში.

ცნობილია, რომ დანაშაულებრივ ჯგუფში, ზენკოვიჩისა და ფედუტას გარდა, შედიოდნენ ბელარუსის ნაციონალისტური პარტიის ლიდერი **გრიგორი კოსტუსევი** (ის ბელარუსის ტერიტორიაზე დააკავეს) და აშშ-ში მცხოვრები რამდენიმე ბელარუსი.

ჯგუფთან, აგრეთვე, თანამშრომლობდა ბელარუსის შსს-ს ტერორიზმთან ბრძოლის სპეცქვედანაყოფ „ალმასის“ ხელმძღვანელი **იგორ მაკარი,** რომელმაც ლიტვაში გაქცევა მოასწრო. თვითონ მაკარი უარყოფს მოსკოვში გამართულ „თათბირში“ მონაწილეობას და „თათბირის“ ინიციატორად ზენკოვიჩს ასახელებს.

„აშშ-ის მოქალაქე იური ზენკოვიჩი დაკავშირებულია აშშ-ის სპეცსამსახურებთან, — ამბობს ბელარუსის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი **კონსტანტინე ბიჩეკი,** — ის ცდილობდა ბელარუსის სამხედრო მოსამსახურეებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა გადაბირებას, რომლებსაც ფულადი ანაზღაურების გამო უნდა დაემხოთ ბელარუსის მოქმედი ხელისუფლება. ზენკოვიჩს, მისი ნალაპარაკევიდან გამომდინარე, სურდა უკრაინული პოტენციალის გამოყენება“.

აშშ-მა და პოლონეთმა სასწრაფოდ უარყვეს თავიანთი მონაწილეობა ლუკაშენკოზე თავდასხმის მომზადებაში.

მაგრამ საქმის ისე წარმოჩენა, რომ ფედუტა უბრალო პოლიტოლოგ-ლიტერატურათმცოდნეა, ზენკოვიჩი — უბრალო ამერიკელი იურისტი, კოსტუსევი — უბრალო ნაციონალისტი, დანარჩენი შეთქმულები — უბრალო ფანტაზიორები, ნამდვილად არ გამოვა. ეს ადამიანები არც გიჟები არიან, თანაც ჯგუფში შედიოდა ექიმი ფსიქიატრიც (ისიც აშშ-ში მცხოვრები). შემთხვევითი არ არის, რომ ბელარუსის ლიდერზე თავდასხმის მზადების თემაზე, როგორც რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა განაცხადა, სატელეფონო საუბრისას იმსჯელეს აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტებმა — **ჯო ბაიდენმა** და **ვლადიმერ პუტინმა. ლუკაშენკოს მკვლელობის მომზადების ისტორიაში შემთხვევითი არაფერია. სახელმწიფოს მოქმედი მეთაურის ძალით დამხობა „ეგვიპტური“, „ლიბიური“ თუ უკრაინული სცენარით რეჟიმის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებთა ლოგიკური ნაბიჯია. ეს, აგრეთვე, ბელარუსის ე.წ. მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის შედეგიცაა. გარეშე ძალებმა, დაინტერესებულებმა ბელარუსის სახელმწიფოს „ტრანსფორმაციაში“, უპასუხეს მინსკის მრავალვექტორულობას ჯერ ბელარუსის მაიდნით, შემდეგ — ლუკაშენკოს მკვლელობის მომზადების მცდელობით.**

fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

უკრაინა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დამოუკიდებელ უკრაინაში ამაოდ ივიწყებენ, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც აშენებდა მსოფლიოში ყველაზე დიდ თვითმფრინავებსა და ავიამზიდებს, აწარმოებდა უნიკალურ ტექნოლოგიურ დანადგარებს, მსოფლიოს 10 წამყვან ეკონომიკას შორის იყო. ის მხოლოდ ახლა იქცა აგრარულ პროვინციად, რომლის ძირითადი საექსპორტო პროდუქტი იაფი მუშახელია პოლონეთში.**

# რა დაემუქრება უკრაინას, როდესაც მილსადენი აღარ ექნება?




**„რუსეთი, ფაქტობრივად, ყველა პირობას ქმნის იმისთვის, რომ უკრაინა ევროკავშირსა და რუსეთს შორის მნიშვნელოვანი შუამავლიდან სწრაფად გადაიქცეს აგრარულ პროვინციად. ჩვენ გვშლიან დიდი გეპოლიტიკური თამაშის მონაწილეთა სიიდან“, — განაცხადა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცეპრეზიდენტმა მიხეილ ნეპრანმა უკრაინის გვერდის ავლით ბუნებრივი აირის მილსადენების მშენებლობების დასრულების კომენტირებისას.**

ის, რომ უკრაინელ მოღვაწეს თავისი ქვეყანა „დიდი გეოპოლიტიკური თამაშის მონაწილედ“ წარმოუდგენია, თავშესაქცევი ამბავია. კიდევ უფრო სამხიარულოა ის, რომ, როგორც ნეპრანი გვარწმუნებს, უკრაინისთვის რუსული ბუნებრივი აირის ტრანზიტით მიღებული ფულის დაკარგვა პრობლემა არ არის. აბა, რა არის? ბუნებრივი აირის სატრანსპორტო სისტემის დაკარგვის შემდეგ უკრაინა ევროკავშირისთვის საინტერესო აღარ იქნება. ნუთუ უკვე არ არის?! ნუთუ არის კიდევ დარჩენილი ვინმე ისეთი, ვისაც ეეჭვება, რომ ევროპას უკრაინა აინტერესებს მხოლოდ, როგორც „მილი“?

**უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცეპრეზიდენტს სურს, ევროკავშირს შესთავაზოს „ნებისმიერი ხელსაყრელი პირობა“, ოღონდ ევროპელებმა არ დაასრულონ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობა და უკრაინის ბუნებრივი აირის სატრანსპორტო სისტემა არ იქცეს ჟანგიან ჯართად,** და, რადგან ყოფილი საბჭოთა მილი მხოლოდ ბიზნესია და სხვა არაფერი, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცეპრეზიდენტის ემოციური ამოძახილი ძალიან ჰგავს რეკეტის უძლურ მცდელობას სასოწარკვეთილებით. **„რეკეტირი“ სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან შეფარვით ემუქრება ბერლინს იმით, რომ უკრაინის ბუნებრივი აირის სატრანსპორტო სისტემის დაკარგვით გერმანია მისი „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ით დამოკიდებული იქნება რუსეთზე. ამ გაცვეთილი არგუმენტით, უკვე კარგა ხანია, მანიპულირებენ დასავლეთში (გასაკვირია, რომ ნეპრანი მხოლოდ ახლა აღეგზნო), უკრაინელებს კი საკუთარი არგუმენტები არ აქვთ. ამ არგუმენტის უაზრობა არის ის, რომ თითქოს უკრაინას უკეთესად ესმის გერმანიის ინტერესები, ვიდრე თვითონ ბერლინს.**

ამიტომ გერმანელი პოლიტიკოსების განცხადებები, მათ შორის **ანგელა მერკელის,** რუსულ-გერმანული მილსადენის მშენებლობის შესახებ ბოლო ხანს უფრო კონკრეტულია. ამის საფუძველი ყოველთვის საკმარისი იყო, ახლა კი ის გაცილებით მეტია. ბუნებრივი აირის სფეროში რუსეთისა და გერმანიის მრავალწლიანმა თანამშრომლობამ დაამტკიცა, რომ ეს ორივე ქვეყნისთვის სასარგებლოა, მიუხედავად გეოპოლიტიკური რყევებისა. **მოსკოვსა და ბერლინს შორის ბუნებრივი აირით ვაჭრობაში პრობლემა უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩნდა. განა უკრაინამ არ უბიძგა ბუნებრივი აირის ბაზრის მონაწილეებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაკადების მშენებლობისკენ?**

დამოუკიდებელ უკრაინაში ამაოდ ივიწყებენ, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც აშენებდა მსოფლიოში ყველაზე დიდ თვითმფრინავებსა და ავიამზიდებს, აწარმოებდა უნიკალურ ტექნოლოგიურ დანადგარებს, მსოფლიოს 10 წამყვან ეკონომიკას შორის იყო. ის მხოლოდ ახლა იქცა აგრარულ პროვინციად, რომლის ძირითადი საექსპორტო პროდუქტი იაფი მუშახელია პოლონეთში, ხოლო ძველ საბჭოთა მილს, ავსებულს რუსული ბუნებრივი აირით, „ეროვნულ მიღწევად“ (ამ ტერმინს კიევი რეგულარულად იყენებს) მიიჩნევენ. ამ ვითარებამდე უკრაინა „მოსკოვისგან დისტანცირების“ კურსმა მიიყვანა. არადა, **უკრაინული მაღალ ტექნოლოგიური საწარმოები რუსულ საწარმოებთან ერთად ქმნიდა ერთიან სამრეწველო ჯაჭვს. უკრაინის პროდუქციის ძირითადი მყიდველი რუსეთის ფედერაცია იყო. ბუნებრივი აირი კი უკრაინას ზეშეღავათიანი პირობებით მიეწოდებოდა, სანამ დასავლელმა „პარტნიორებმა“ არ დაარწმუნეს იუშჩენკო, ბუნებრივი აირის შესყიდვა „ევროპული ფასებით“ დაეწყო.**

უკრაინაში, ეტყობა, დაავიწყდათ, რას ამბობდა **ოსტაპ ბენდერი:** „ინგლისელებს უყვართ ადგილობრივი ტომების შეიარაღება და მათი წაქეზება ინგლისელთა მტრების წინააღმდეგ“.

ევროპელი ჯენტლმენების დამოკიდებულება და მეთოდები უკრაინის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ დროთა განმავლობაში არ შეცვლილა. ეს მეთოდები არც არასდროს იცვლება.

გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობის დასრულების შემდეგ უკრაინის ბუნებრივი აირის სატრანსპორტო სისტემა საჭირო აღარ იქნება. ევროპა ხელმძღვანელობს თავისი ეკონომკური ინტერესებით და სხვა არაფრით. საინტერესო და სარგებლიანი რომ არ ყოფილიყო, რუსულ-გერმანულ პროექტში ფულს არ ჩადებდნენ ევროპული კომპანიები — Engie, OMV, Shell, Wintershall-ი. მათ სურთ ამ ფულის დაბრუნება და დაიბრუნებენ კიდეც. ეს უნდა გაიგოს ბატონმა ნეპრანმა... ბატონმა ზელენსკიმაც.

**naspravdi.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



**უკრაინაში, ეტყობა, დაავიწყდათ, რას ამბობდა ოსტაპ ბენდერი: «ინგლისელებს უყვართ ადგილობრივი ტომების შეიარაღება და მათი წაქეზება ინგლისელთა მტრების წინააღმდეგ». ევროპელი ჯენტლმენების დამოკიდებულება და მეთოდები უკრაინის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ დროთა განმავლობაში არ შეცვლილა. ეს მეთოდები არც არასდროს იცვლება**




# ფრანგული გამოცემა: უკრაინის ადგილი არც ევროკავშირშია და არც ნატოში

## პარიზში ჩასულ ზელენსკის დიპლომატიურად მიუთითეს, რომ მისი მოთხოვნები ამაოა



**საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა უკრაინელი კოლეგა ვლადიმერ ზელენსკი მიიღო და მას კიდევ ერთხელ დაუდასტურა მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი. შეხვედრისას ხაზგასმით აღინიშნა მნიშვნელობა, რომელსაც პარიზი ანიჭებს საფრანგეთ-უკრაინის ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას.**

„საფრანგეთის პრეზიდენტმა შეშფოთება გამოხატა უკრაინის აღმოსავლეთში შეიარაღებული კონფლიქტის განახლების შესაძლებლობის გამო და აღნიშნა, რომ პარიზში კარგად ესმით დონბასის რეგიონზე შეთანხმების მიღწევის სირთულე. ამასთანავე, მაკრონმა განაცხადა, რომ მინსკის შეთანხმებას ალტერნატივა არ აქვს. გერმანიის კანცლერმა **ანგელმა მერკელმა**, რომელიც ვიდეოკავშირით ჩაერთო ორი პრეზიდენტის მოლაპარაკებებში, აღნიშნა არა მხოლოდ მინსკის შეთანხმების, არამედ პარიზის 2019 წლის 9 დეკემბრის სამიტის გადაწყვეტილებების შესრულების აუცილებლობა“, — წერია საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ პრესრელიზში.

დოკუმენტში არაფერია ნათქვამი უკრაინის ინტეგრაციაზე ნატოსა და ევროკავშირში, რომელსაც ბოლო ხანს ხშირად მოითხოვს უკრაინის პრეზიდენტი.

**„პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი შეეცადა, ტყუილად არ დაეიმედებინა უკრაინის პრეზიდენტი, ამასთანავე, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მას „სახე შეენარჩუნებინა“,** — წერს ფრანგული გაზეთი LOpimion-ი. მით უმეტეს, რომ ელისეს სასახლეში მიღებამდე უკრაინის პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას პირდაპირ განაცხადა: „დადგა დრო, მიგვიწვიონ ევროკავშირსა და ნატოში გასაწევრებლად“.

სტატიის ავტორი, ჟურნალისტი **ჟან-დომენიკ მერშე** მიიჩნევს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა იდეალური პასუხი გამოძებნა კითხვაზე, ზრდილობიანად როგორ გაეგებინებინა ზელენსკისთვის, რომ საფრანგეთი და გერმანია ნატოში უკრაინის ინტეგრაციის წინააღმდეგია. ჟურნალისტის აზრით, ემანუელ მაკრონმა იპოვა ერთადერთი ღირსეული ვარიანტი — უბრალოდ, არაფერი ეთქვა ამ თემაზე. პრესრელიზიც ამას ადასტურებს.

„ბუქარესტში 2008 წელს გამართული ნატოს სამიტიდან დღემდე საფრანგეთსა და გერმანიას არასოდეს დაუმალავთ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ნატოში უკრაინის ინტეგრაციის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ამას მხარს უჭერდნენ პოლონეთი, თურქეთი და დიდი ბრიტანეთი. მაგრამ 16 აპრილის შეხვედრაზე უკრაინის პრეზიდენტი რომ არ გაენაწყენებინა, ემანუელ მაკრონი ამ თემას საერთოდ არ შეხებია“, — წერს L'Opinion-ი.

**Fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ერთობა, თანასწორობა,
გულით ძმობა, სიყვარული,
ყველა ერთად ჯერჯერობით
ციხეშია დამწყვდეული.
მშიერს, მწყურვალს, შიშველს, ტიტველს
ინახავენ, როგორც მხეცსა,
განსაცდელსა და სატანჯველს
უმზადებენ მრავალკეცსა“...

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

# ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად აღსდგა!

## ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვაც ზიდა

ქრისტიანთა უმთავრესი რელიგიური დღესასწაული თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა საქართველოში განსაკუთრებული ზარზეიმით აღინიშნება. ამ დღეს მკვდრეთით აღმდგარმა მაცხოვარმა ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან იხსნა და მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. **ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვაც ზიდა.**

ამ დღეს ღამის 00:00 საათიდან საქართველოს ყველა ეკლესიაში საზეიმო წირვა-ლოცვა იწყება, რომელიც დილამდე გრძელდება.

ქრისტიანები ერთმანეთს სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების დღეს ულოცავენ სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად აღსდგა!“

ამ დღეს ჩვენში ყველა ოჯახში სადღესასწაულო სუფრა იშლება და ყველა სახლის კარი ღიაა სტუმრისთვის, რადგან ეს უდიდესი სიხარული, მაცხოვრის აღდგომა, ადამიანებმა ერთად აღნიშნონ.

მომდევნო დღეს, ორშაბათს, საქართველოში საფლავებზე გასვლა, გარდაცვლილების მოხსენიება და საფლავზე წითელი კვერცხების გადაგორებაა მიღებული.

აღდგომის კვირისთავი, ანუ მომდევნო კვირა დღე, ხალხური რწმენით, ყველაზე ბედნიერად მიიჩნევა ჯვრისწერისთვის.

სამწუხაროდ, კორონაპანდემიის წყალობით შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო, მეორე წელია, გარკვეულ რაღაცებზე თავის შეკავება გვიწევს. ხოლო რწმენა იმისა, რომ უფალი ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას არ გაწირავს, გვაძლიერებს.

მაგრამ მხოლოდ პანდემია როდი გვირღვევს ცხოვრების რიტმს, შინაურმა აშლილობამ, ხელისუფლების სათავეში მოქცევის მსურველთა არნახულმა თავხედობამ ქვეყანა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა და ისეთი ვითარება შექმნა, სულმნათი აკაკი რომ ამბობს ლექსში „
აღდგომის განთიადი“:

„ერთობა, თანასწორობა,
გულით ძმობა, სიყვარული,
ყველა ერთად ჯერჯერობით
ციხეშია დამწყვდეული.
მშიერს, მწყურვალს, შიშველს, ტიტველს
ინახავენ, როგორც მხეცსა,
განსაცდელსა და სატანჯველს
უმზადებენ მრავალკეცსა“...

მგოსანი იმედოვნებს, რომ ღმერთი „**დაჩაგრულებს გამარჯვებას მიახარებს**“, რადგან:

**„ქრისტე აღსდგა! აღსდგა მკვდრეთით,
ის ნაგვემი!... და ჯვარცმული!...
და ამიერ ქვეყანაზედ
განმტკიცდება სიყვარული“.**



ქრისტეს აღდგომა — ანდრია რუბლიოვის დაწერილი ხატი (1408-1410)

### როგორ აღნიშნავდნენ აღდგომას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

აღდგომას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ტრადიციით ზეიმობდნენ, თუმცა ყველა ჩვეულებრივი მოკვდავი ამ დღესასწაულს მოკრძალებულად აღნიშნავდა.

სადღესასწაულო სუფრას ამშვენებდა მშრალად მოხარშული ღორის ბარკალი, წითელი კვერცხები, ქადა, ხაჭაპური, შოთის პური, ყველი, მწვანილი, მწნილი, ხილი და, რასაკვირველია, წითელი ღვინო. აი, რაც შეეხება მეფის კარის სააღდგომო სამზადისს, მას მოკრძალებულს ვერ დავარქმევთ, რადგან სამეფო კარზე, „აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასვიან სამეფო თასი ოქროსი, ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, დაუწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთაობა. მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსანსახიობთა. არამედ კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემდის იყვნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ — გალობანი. ხოლო შემდგომად წარსვლისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობთა ცემანი“ *(ვახუშტი ბაგრატიონი).*

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო „ჭონა“, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა ოჯახებს, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილითა და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებოდა და ილხენდა.

**რაჭაში** აღდგომის დილას, წირვიდან დაბრუნების შემდეგ, პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავ-ფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეცილს ლანგარზე დაალაგებდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს „გიორგონთობას“ ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეცილებს, ბოხჩუანებს, იხარშებოდა ხორცი და იყო დიდი სმა-ქეიფი.

**გურიაში** ყოველ წელიწადს აღდგომის დღესასწაულზე ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16-კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს მიივიწყეს. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ **სამეგრელოში**. აღდგომა დღეს განსაკუთრებული ქვევრის — ლაგვანის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. აცხობდნენ ყველისა და კვერცხის პურის კვერებს. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა; შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს, კვერებს, საზედაშე ღვინოს და ამ ყველაფერს საღმრთო საოხორო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

**კახეთში** სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და არიგებდნენ.

თუ როგორ აღნიშნავდნენ აღდგომას ფშავში, აი, რას წერს **ვაჟა-ფშაველა:**

### სააღდგომოდ

დღეს შაბათია, წინადღე აღდგომისა. ბუნებაც მომზადებულა აღდგომის მისაგებებლად. ავსილა მისი გულ-მკერდი ყვავილებით. თავზედ ადგა გვირგვინი გამარჯვებისა და ეს დედა, დედამიწა, სულგრძელი, უსაზღვრო სიყვარულით ავსილის გულით, აწვდის ყველას და ყველაფერს ხელს და, როგორც დედა შვილებს, პირჯვარსა სწერს, სიცოცხლეს დიდის ხნისას, სიყვარულისას სთხოვს მათთვის ზეცას. ყველგან სიხარულია, ყველას გულში სიამოვნებაა დღესასწაულის გამო. ერთი მხოლოდ ბობოლა სტირის და სტირის იმიტომ, რომ შვიდის ფრთისა ერთიღა შერჩა და ისიც, როგორც თითონ, შემჭვარტლული; იგი, თავპირჩამომტირალი, ბუხრის თავზე ჰკიდია მოსაწყლებული, გაბეჩავებული, სასოებამიხდილი. საბრალო! ხვალ იმ ერთადერთს ფრთასაც დაჰკარგავს და თითონაც თან გაჰყვება. მოელება ბოლო მის ფარფაშს, მის საზარელს მაღლიდამ გადმოცქერას, დიდისა და პატარის დამაწიოკებელს. გაითრევენ, გასწეწენ ბალღები და გადაუძახებენ სადმე ხევში ან კლდეზედ, ქარსა და წყალს მისცემენ.

რამდენი ცრემლი ჩამოაგდებინა ამ შეჩვენებულმა ბობოლამ ბალღებს, მაგრამ ხვალ კი ჯავრს ამოიყრიან; როგორც შეეფერება, სწორედ ისე მოექცევიან, ამოაშხამებენ სასტიკობა-მტარვალობას. ჯერ გუშინწინვე გაიგონებდით ბალღების სიმხიარულეს ბობოლას ჩამობრძანებაზე და ყელის ჩაპოხაზე.

**„დღეს წითელი პარასკევი,
ხვალ შაბათი შავდებაო;
ხვალზევით რომ კვირა
მოვა,
ყელი ჩაიპოხებაო“.**

ყველგან მოძრაობა და დიდი მოლოდინია ქრისტეს აღდგომისა. სად ქათამი ჩამოსვეს ქანდარიდამ და მოაგდებინეს კისერი, სად ნას- ►

**«ფარისეველთ, უგუნურთ აცვეს ქრისტე ჯვარსა, ვითარცა ავაზაკი, და განგმირეს ლახვრითა, მაგრამ აღსდგა, სძლია სიკვდილსა და მით მოგვცა ჩვენ, კაცთ, მაგალითი აღდგომისა, სიკვდილის ძლევისა, და დაემკვიდრა ჩვენს შორის; მოგვანიჭა ნათელი, ნაცვლად ბნელისა»**

„კუტს არჩენდა, მკვდარს აცოცხლებდა და ბრმას მხედველობას აძლევდა. ფარისეველთ სწყინდათ, ჰშურდათ, ქრისტე ხალხს რად უყვარსო და მოაკვდინეს კიდეც, მაგრამ მან სიკვდილი დათრგუნა და ამაღლდა ზეცას და კვალად მომავალ არს... ვაი მაშინ იმას, ვინც ცოდვილია. მეორედ მოსვლა რომ იქნება, მაშინ იესო ქრისტე გაარჩევს ყველას, როგორც მწყემსმა ცხვრები თხებისაგან გაარჩიოს, და ყველას თავის შესაფერისს ადგილს მისცემს. მაშინ ბევრი ინანებს, ბევრი იტირებს, მაგრამ გვიანღა იქნება“

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ამიერიდგან ეშმაკი ველარ გაიმარჯვებს კაცთა ნათესავზე, სამეფო მისი შემუსვრილ იქმნა. ლოდი, რომელიც დაკეტა ფარისევლობამ, ბოროტებამ, შურმა სამარე ქრისტესი, რათა მოესპო ჩვენთვის კავშირი ქრისტესთან, ჰფარვიან ანგელოზნი და ეტყვიან იესოს მაძიებელთ: «ვისაც ეძიებთ, იგი აღსდგა!»

უქს ინდაურს მოაშორეს სწორედ ინდაურული, გამოჩერჩეტებული გოგრა, სად ნასუქის ქოსმანის ჭყივილი ისმის, ჭყივილი ვაისა და ვაგლახისა. ამოაშხამეს იმასაც იმდენის სანოვაგის შეყლაპვა და გაოხრება. დიასახლისებს ჯერაც არ გადასვლიათ ხელებიდან კვერცხების ღებით ახალი ფერი. მოისვენებს ამას იქით ლობიოს სადუღარიც. პატარძლებმა და გასათხოვარმა ქალებმა სწორედ ათჯერ დაიბანეს პირი და, ვისაც კი რამ ზიზილპიპილა მოეპოვებოდა, ტანზე მიიკოსეს, „ბუზიკები“ და „პოლსაპოჩკები“ გაიწმინდეს. მხოლოდ მოხუცებულნი არა ზრუნავენ ტანის აჭრელებაზე, მისხდომიან ცეცხლს კერის პირას, სანთელს ადნობენ და აკეთებენ. მღვდელი და დიაკვანიც, უნდა მოგახსენოთ, დიდს ფაცა-ფუცში არიან. ხურჯინები დააკერეს, ტიჭკორები დარეცხეს და, სადაც დაზიანებული იყო, პოლორჭიკი მიაკერეს. მარილი და შაბიც მოამზადეს ბატკნის ტყავების დასამარილებლად. მომზადდა ძღვენიც ნათლიისათვის, მის განუშორებელის მეგობრითურთ — ინდაურით, ამასთან, ნამცხვარ-ნაზუქით და საქმის დამაგვირგვინებელ ყელმოღერებულ გოზაურით.

საყდრის შორიახლო ცეცხლის ალი ავარდა. გაჩაღებულს ცეცხლს გარს შემოსხდომოდა ხალხი. დიდი და პატარა გაფიცულიყვნენ, ეფხიზლათ ამ ღამეს. ყველანი ყაყანებდნენ. იმათში მხოლოდ ერთი გაჭაღარავებული კაცი ერია. დაფიქრებული თვალები, ჩამომხმარი და ჩამომტირალი სახე ცხადად ამტკიცებდნენ, რომ ამ კაცს ბევრი ტანჯვა და ვაება უნდა გამოევლო. უცნობს სოფელში ნაბერალს საბას ეძახდნენ. მართლაც, საბამ ბერობაში ათიოდე წელი გაატარა, მაგრამ რა მიზეზის გამო დაანება თავი ბერობას, არავინ იცოდა; იგი სოფელში მაინც კიდევ ბერივით სცხოვრობდა, საყდრის ყარაულად იყო. სოფლელთაგან ბევრი დაცინვა ესმოდა საბას: ერთი „ძალად წმინდანს“ ეძახდა, სხვა „გამოპარულს ბერს“ და სხვა და სხვა. საბა ამას ყურადღებას არ აქცევდა.



კვერცხი — „დაფნის ხე“ კარლ ფაბერჟემ 1911 წელს დაამზადა. ნაყოფის ფუნქციას ამ ხეზე ბრილიანტები ასრულებს. ერთ-ერთი მათგანის მეშვეობით მოქმედებას იწყებს მექანიზმი, რომელიც „აცოცხლებს“ კვერცხის გულში მოთავსებულ სიურპრიზს — პაწაწინა ჩიტს: ჩიტი ხის კენწეროდან „ცაში“ აფრინდება, ფრთებს იქნევს და ჭიჭკჭიკს იწყებს

— აბა, ერთი, შენ ჩვენზე ბევრით მეტი იცი, — სთხოვა საბას ერთმა იქ მყოფმა შუახნის გლეხმა: — ერთი გვიამბე რამა, გეთაყვა, საბავ!

— დიდება შენს სახელს, ღმერთო, სასოებაო ჩვენო, დიდება შენდა! — სთქვა საბამ, — **ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის, თვით იესო ქრისტემ ბრძანა. იგი ღმერთი იყო, შვილო, — არ იწამეს, მოჰკლეს, ჰგვემეს, სტანჯეს, ჯვარს აცვეს და მე ერთი საწყალი კაცი რომ მასხრად დამიჭიროთ, რა საკვირველია. იგი ჯვარს აცვეს, მაგრამ ჯვარზედაც თავის მტრებისთვის ლოცულობდა, ევედრებოდა მამა ღმერთსა, რომ მიეტევებინა ცოდვა უგუნურთათვის: „რამეთუ არა იციან, რას იქმანო“. მაინც და მაინც იესომ ქვეყანა არ მოიძულა, მას არ გადაემტერა.**

— რად მოჰკლეს ქრისტე ურიებმა, საბავ? — იკითხა მეორემ.

— იმიტომ, — უპასუხა საბამ, — რომ **კუტს არჩენდა, მკვდარს აცოცხლებდა და ბრმას მხედველობას აძლევდა. ფარისეველთ სწყინდათ, ჰშურდათ, ქრისტე ხალხს რად უყვარსო და მოაკვდინეს კიდეც, მაგრამ მან სიკვდილი დათრგუნა და ამაღლდა ზეცას და კვალად მომავალ არს... ვაი მაშინ იმას, ვინც ცოდვილია. მეორედ მოსვლა რომ იქნება, მაშინ იესო ქრისტე გაარჩევს ყველას, როგორც მწყემსმა ცხვრები თხებისაგან გაარჩიოს, და ყველას თავის შესაფერისს ადგილს მისცემს. მაშინ ბევრი ინანებს, ბევრი იტირებს, მაგრამ გვიანღა იქნება.**

ეს საუბარი დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ძვლების კნაწაკნუწის ხმას არ მიექცია ხალხის ყურადღება. თურმე კატას, ვინ იცის, რომელ დიასახლისისათვის, ქათამი მოეტაცა, შორეულ ღამისმთევლებს შორიახლო მიეთრია და შეექცეოდა. ნახევარი ხალხი იმას გამოეკიდა.

— ვერ უყურებ მაგ ვერანას, წინადღითვე გაუხსნილებია, ე! — ამბობდა ხალხი ხარხარით.

ამ მდგომარეობაში იყო ხალხი, რომ ზარი აჩქამდა. ყველამ ქუდები მოიხადეს და დაიწყეს პირჯვრის წერა. „ტარასტა“, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რეკდა ზარებს, მაგრამ ახალგაზრდებმა მალე ჩამოართვეს ეს ხელობა და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზარის რეკვაში; ერთი მეორეს სტაცებდა ხელიდან ზარის თოკს. შორიდამ მღვდლისა და დიაკვნის ხმაც მოისმა, იმათ თან მოსდევდა ხალხის გროვა. მღვდელი მოვიდა მრევლითურთ. ყველამ სანთლები დაანთეს, მხოლოდ „ტარასტა“ აღარსად ჩანდა, იგი საყდრის კარებს ეფარა. მღვდელმა წინადვე დაარიგა, რა პასუხიც უნდა მიეცა. „ტარასტა“ მიკუნჭული იდგა კარებში და დასწავლილს სიტყვებს ბუტბუტებდა. მღვდელი შეიმოსა, აიღო კელაპტარი და გაუძღვა წინ ხალხს „ქრისტე აღსდგა“-ს გალობით. ხალხიც თან მისდევდა ხელსანთლიანები. შემოუარეს ლიტანია ორჯერ და, მესამედ რომ მიუახლოვდა კარებს, მღვდელმა ყველანი შეაჩერა და სთქვა:

— აღახვენით ბჭენი თქვენნი, მთავარნო, და აღახვენით ბჭენი საუკუნენი და შევიდეს მეუფე დიდებისა! — „ტარასტას“ დაჰვიწყებოდა მღვდლის ნასწავლი სიტყვები და, იმის მაგივრად, რომ ეთქვა: „ვინა არს მეუფე დიდებისაო“, — ვინ არის და ვინ გინდაო, — შემოგვჩხავლა საყდრიდამ. ხალხს სიცილი წასკდა. მღვდელმა ყური არ უგდო „ტარასტას“ უგვანს პასუხს.

— უფალი ძალთა თავად არს მეუფე დიდებისაო, — სთქვა მან, დაჰკრა ფეხი და შეაღო კარები. ხალხიც მიჰყვა გრიალით. მღვდელმა და დიაკვანმა გამარჯვებულად ჩამოილოცეს ეს გამარჯვება სიმართლისა, ქრისტეს აღდგომა.

— აღსდეგინ ღმერთი და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი, — სთქვა მღვდელმა და „ქრისტე აღსდგა!“ მოაძახა ხალხს გამეორებით.

ბოლოს მღვდელმა სიტყვა სთქვა, რომელიც შემდეგის სიტყვებით დაამთავრა: **„ფარისეველთ, უგუნურთ აცვეს ქრისტე ჯვარსა, ვითარცა ავაზაკი, და გაგმირეს ლახვრითა, მაგრამ აღსდგა, სძლია სიკვდილსა და მით მოგვცა ჩვენ, კაცთ, მაგალითი აღდგომისა, სიკვდილის ძლევისა, და დაემკვიდრა ჩვენს შორის; მოგვანიჭა ნათელი, ნაცვლად ბნელისა. ამიერიდგან ეშმაკი ველარ გაიმარჯვებს კაცთა ნათესავზე, სამეფო მისი შემუსვრილ იქმნა. ლოდი, რომელიც დაკეტა ფარისევლობამ, ბოროტებამ, შურმა სამარე ქრისტესი, რათა მოესპო ჩვენთვის კავშირი ქრისტესთან, ჰფარვიან ანგელოზნი და ეტყვიან იესოს მაძიებელთ: „ვისაც ეძიებთ, იგი აღსდგა!“**

ხალხი თავჩაკიდებით, მორჩილად ისმენდა ამ სიტყვებს, საბა კი დაჩოქილი იდგა ქრისტეს აღდგომის ხატთან, ცრემლი სიხარულისა ჩამოსდიოდა და ხელაღპყრობით ევედრებოდა მეუფეს.

**1889 წელი.**



მეფეები ფაბერჟესაგან ელოდნენ, რომ კვერცხებში რაიმე სიურპრიზი იქნებოდა დამალული. ამ კვერცხში მოთავსებულია იმპერატორის ერთ-ერთი რეზიდენციის, სანქტ-პეტერბურგის მახლობლად მდებარე გატჩინის სასახლის რვასანტიმეტრიანი მოდელი „დაიმალა“

* * *

რაც შეეხება, წითელ კვერცხს, ის ყველა კუთხეში სააღდგომო სუფრის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია, რომელსაც ვნების პარასკევს ღებავენ, ნიშნად ქრისტეს მიერ კაცობრიობის გამოსახსნელად დაღვრილი სისხლისა. გადმოცემით, **წმინდა მარიამ მაგდალინელმა რომის იმპერატორ ტიბერიუსს აღდგომა ახარა და კვერცხი მიართვა. ტიბერიუსმა უპასუხა: მაგ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამ სიტყვებზე კვერცხმა ფერი შეცვალა. მას შემდეგ მორწმუნე ქრისტიანებში კვერცხის შეღებვა ტრადიციად იქცა.**

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფხვნილი არსებობს, კვერცხის შეღებვის ყველაზე ნაცად და გამართლებულ საშუალებად დღემდე ენდრო და ხახვის ფურცელი რჩება. სააღდგომო კვერცხის მოხატვა უამრავი ადამიანის ჰობი გახდა, თუმცა, ცნობილი იუველირის, კარლ ფაბერჟეს (1885-1917), ქმნილებებს ბადალი დღემდე არ ჰყავს. მის მიერ დამზადებული ულამაზესი დეკორატიული კვერცხები სპეციალურ ყუთებში ინახებოდა და საჩვენებლად მხოლოდ აღდგომის დღესასწაულზე გამოჰქონდათ. ფაბერჟე ასლს არასოდეს აკეთებდა. სწორედ ამიტომაა მისი თითოეული ნამუშევარი უნიკალური.

კვერცხები ძვირფასი ლითონისგან მზადდებოდა ან მყარი ქვებისგან, რომლებზეც მინანქრისა და ძვირფასი ქვების ორნამენტები იყო დატანებული. ტერმინი „ფაბერჟეს კვერცხი“ დროთა განმავლობაში ფუფუნების სინონიმი გახდა, ხოლო ეს კვერცხები ამჟამად საიუველირო ხელოვნების შედევრებად არის მიჩნეული. ცნობილი იუველირის 47 კვერცხი დღეს მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმსა და კერძო კოლექციაში ინახება.



„ვარდის კოკორი“ პირველი კვერცხია, რომელიც ნიკოლოზ მეორემ თავის მეუღლეს, დედოფალ ალექსანდრას მიართვა. კვერცხში ვარდის კოკორია ჩამალული — ახალდაქორწინებულთა სიყვარულის სიმბოლო

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.**

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## გინესის რეკორდების წიგნის ერთ-ერთი გეიმერი გერების გაუპატიურების ბრალდებით დააპატიმრეს

**ჯერ სახელდახელო ლიკბეზი გავიაროთ და გავარკვიოთ, რას ნიშნავს ტერმინი „გეიმერი“. ეს ტერმინი ინგლისურიდან გავრცელდა და ნიშნავს ადამიანს, რომელიც ვიდეოთამაშებით არის გართული. თავდაპირველად ასე უწოდეს ადამიანს, რომელიც მხოლოდ როლებს ასრულებს ან სამხედრო თამაშებით არის დაკავებული. გეიმერობა ითვლება სუბკულტურად 2013 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც აღიარეს კიბერსივრცე. გეიმერებს უწოდებენ ადამიანებს, რომლებიც დიდ დროს ხარჯავენ თამაშებისთვის ან ამ თამაშებით არიან დაინტერესებულნი.**

აშშ-ში მოთამაშეთა საშუალო ასაკი 35 წელია, გაერთიანებულ სამეფოში — 23 წელზე მეტი. სწორედ ამ ასაკობრივ ფენაში ერთ-ერთ დასამახსოვრებელ ფიგურად ითვლებოდა **რობერტ პაზი** სიეტლიდან (აშშ), მაგრამ მისმა პოპულარობამ ვერ გადაფარა მისი ცოლის მიერ მონაყოლი ისტორია.

ბონი და რობერტი 11 წლის განმავლობაში დაქორწინებულები იყვნენ და ცოლს ქმრის ერთგულებაში ეჭვი არასოდეს შეპარვია, იგი ერთნაირად ზრუნავდა ოთხ გერზე და მათ ერთობლივ ქალიშვილზე, მაგრამ დროთა განმავლობაში ოჯახში გაჩნდა ბზარი და ბონიმ შვილებთან ერთად მიატოვა რობერტი, რომელმაც, მისი აზრით, გაიჩინა საყვარელი და ცოლზე გული აიცრუა. ორი წლის თავზე ორმა უმცროსმა ბიჭმა დედას გაანდო დაუჯერებელი ამბავი — მამინაცვალი მათზე სექსუალურად ძალადობდა.

გაოგნებულმა დედამ პოლიციას საჩივრით მიმართა. ოფიცრებმა და ფსიქოლოგებმა დიდხანს და პროფესიულად იმუშავეს ბიჭებთან და დაადასტურეს მათზე ძალადობის ფაქტი. მამინაცვალი დააპატიმრეს. ბრალად წაუყენეს მცირეწლოვანთა გახრწნა და სექსუალური ძალადობა.

თუ ყველა ბრალდება დაუმტკიცდა, მამაკაცი დარჩენილ სიცოცხლეს ციხეში გაატარებს.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## აშშ-ის სენატმა ჯანდაცვის მინისტრის თანაშემწედ ქალი-ტრანსგენდერი დაამტკიცა

**ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას სააგენტო „როიტერი“ გვაუწყებს. მომხრე — 52 ხმა, წინააღმდეგი — 48. ეს მოხდა 24 მარტს. ტრანსგენდერი თანაშემწე რეიჩელ ლევინია, რომელიც სექსშეცვლილთა შორის პირველია, რომელმაც ბაიდენის ადმინისტრაციაში დაიწყო მუშაობა.**

ამ მანამდე არნახული მოვლენის რეალიზაციისთვის ლგბტ-ორგანიზაციებმა შეაქეს პრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** მთავრობა: დოქტორ ლევინის შერჩევით აღმასრულებელმა ხელისუფლებამ სწორი ნაბიჯი გადადგა, რადგან ეს ტრანსგენდერი უაღრესად კვალიფიცირებული ორგანიზატორია, რომელიც პანდემიას გაუმკლავდებაო.

მშვიდობაში მოიხმარონ!

ჰიუსტონის ყოფილმა მერმა და ვიქტორის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა **ენის პარკერმა** (თუ ეს ტიტულებიანი გვარ-სახელი რამეს ნიშნავს ჩვენი მკითხველებისთვის) თქვა, რომ „ამ მომენტის მნიშვნელობა სცილდება ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის საზღვრებს“.

მისი თქმით, მაშინ, როცა სიძულვილის პროპაგანდისტი პოლიტიკოსები ტრანსგენდერების სიცოცხლეს თავიანთი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად იყენებენ, დოქტორ ლავინის დანიშვნა ჩვენს ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორი დიდი წვლილი შეაქვთ ლგბტ-წარმომადგენლეს აშშ-ის განვითარებაში.

გიხაროდენ!

მაგრამ **იძულებული** არიან, აღნიშნონ, რომ მინისტრის ტრანსგენდერი თანაშემწის დანიშვნის წინააღმდგ გაილაშქრეს „რელიგიურმა კონსერვატიულმა ჯგუფებმა და რესპუბლიკელმა სენატორებმა“. ზოგიერთმა კი მიიჩნია, რომ კენტუკიდან არჩეულმა სენატორმა **რენდ პოლმა** ზედმეტი მოინდომა, როცა დაინტერესდა, მხარს უჭერს თუ არა კანდიდატი „არასრულწლოვანთა გენიტალიების შეცვლას ქირურგიული ჩარევის გზით და დარწმუნებულია თუ არა, რომ არასრულწლოვანებს თავად შეუძლიათ, მიიღონ ისეთი ბედისმიერი გადაწყვეტილება, როგორიც სქესის შეცვლაა“.

მინისტრის თანაშემწის თანამდებობაზე არჩეული ლევინი



კურატორობას გაუწევს ჯანდაცვის სფეროში სხვადასხვა ინიციატივის განვითარებას და, როგორც ბაიდენმა განაცხადა, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს კორონავირუსის წინაალმდეგ ბრძოლის საქმეში.

ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე ლევინი ხელმძღვანელობდა პენსილვანიის შტატის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტს. მინისტრის თანაშემწედ ამ ქალის (კაცის?) წარდგენისას ბაიდენმა განაცხადა, რომ ეს არის „ისტორიული და მაღალკვალიფიციური არჩევანი, რომელიც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციის საქმიანობის რეგულაციას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“.

პედერასტიის სფეროში რომ ეთქვა, ალბათ, უფრო ზუსტი იქნებოდა.

## თორმეტი წლის ბიჭმა TikTok-ის ჩელენჯში მიიღო მონაწილეობა და კამერის წინ თავი დაიხრჩო

**ეს ტრაგიკული შემთხვევა აშშ-ის კოლორადოს შტატში მოხდა: 12 წლის ჯოშუა ჰეილიესუსი მისმა ძმამ მკვდარი იპოვა სააბაზანოში. როგორც ჩანს, ბიჭი ცდილობდა, გადაეღო ვიდეო „ტიკტოკისთვის“ და მიერთებოდა პოპულარულ, მაგრამ ძალიან საშიშ ჩელენჯს (მოწოდებას) სახელწოდებით „ბლეკაუტი“. ამ მოწოდების განხორციელებისას ბევრი მონაწილე გონებას კარგავს, რომელსაც გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვება.**




შეშინებულ მშობლებს საავადმყოფოში აცნობეს, რომ ბიჭს გაეთიშა ტვინი და მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო. „ექიმებმა გვითხრეს, რომ ჯოშუას გადარჩენა შეუძლებელი იყო, — ყვება გაუბედურებული მამა, — მე ვემუდარებოდი მათ, ვეხვეწებოდი, არ შეეწყვიტათ მცდელობა; ვერ დავნებდებოდი, რადგან ეს ჩემი ბიჭის გაწირვა იქნებოდა... მაგრამ სასწაული არ მოხდა“.

მშობლები იხსენებდნენ, რომ მათი ვაჟიშვილი ყოველთვის აქტიური იყო და სოციალურ ქსელებში დროს უქმოდ არ კარგავდა — ეძებდა ახალ ინფორმაციას და ახალ მეგობრებს, რომლებთანაც შეიძლება საერთო ინტერესი ჰქონოდა. ბოლო დროს მას განსაკუთრებით იტაცებდა კულინარია, გიტარაზე დაკვრა და მსახიობის ხელოვნება. მამა ზერიიჰუნმა არ იცის და ვერაფრით აუხსნია, რატომ გადაწყვიტა მისმა შვილმა, მიეღო მონაწილეობა ასეთ სულელურ და საშიშ ჩელენჯში. მან მოუწოდა მშობლებს, გაძლიერებული ყურადღება მიაქციონ შვილების გატაცებას სოციალური ქსელების პოპულარული თამაშებით.

ჩელენჯი „ბლეკაუტი“, დიდი ხანია, რაც სოციალურ ქსელებში არის დამკვიდრებული, მაგრამ სხვადასხვა სახელწოდებას იყო ამოფარებული. არაერთი ბავშვიც შეეწირა. მათ შორის — ცხრა წლის **ემანუელ პოტეონი** მალონიიდან (ტრინიდადი და ტობაგო), ათი წლის გოგონა პალერმოდან (იტალია) და სხვები.

## «მე სიმშვიდეში ყოფნა მინდოდა»: ბოდიბილდერმა დაახრჩო მშობლები, რადგან მათ ძაღლის გასეირნება სთხოვეს

**იტალიის ქალაქ ბოლცანოში წლევანდელ იანვარში დაიკარგა ხანდაზმული ცოლ-ქმარი — პეტერ ნოიმარი და ლაურა პერსელი. მათი შვილი — ოცდაათი წლის ბოდიბილდერი ბენო ამ დრომდე მშობლებთან ცხოვრობდა. პოლიციელებმა მასზე მიიტანეს ეჭვი. მალევე მდინარე ადიჯეში იპოვეს ლაურას ცხედარი, რომელსაც აშკარად ემჩნეოდა დახრჩობის ნიშნები, ხოლო ერთ-ერთ ხიდზე, რომელიც ამ მდინარეზე არის გადებული, ნახეს მისი ქმრის სისხლის კვალი.**



იანვრის ბოლოს ბენო დააპატიმრეს, მაგრამ იგი კატეგორიულად უარყოფდა, რომ დახოცა თავისი დედ-მამა. ორი თვის შემდეგ აღიარა, თუ რატომ ჩაიდინა ეს მიუტევებელი დანაშაული. მშობლებმა სთხოვეს, გაესეირნებინა ძაღლი, ბოდიბილდერმა უარი უთხრა. შეკამათდნენ. მშობლების საყვედურები რომ არ მოესმინა, ბენო თავის ოთახში გავიდა, ცოტა ხანს ვიდეოთამაშებით გაერთო და შემდეგ დაიძინა.

მამა მოგვიანებით შევიდა ჩაძინებულ შვილთან და განაგრძო კამათი. ბენომ არ მოუთმინა. სპორტინვენტარის კონტეინერიდან ამოიღო თოკი და მოაშთო საკუთარი მამა. დედაც მოკლა, მოწმე რომ არ ჰყოლოდა, და მათი ცხედრები მდინარეში გადაყარა. „მამამ მითხრა, რომ ჩემზე გული აიყარა. მე კი სიმშვიდეში ყოფნა მინდოდა, ამიტომაც მოვაკეტინე. დედა კი ისე უცებ დავახრჩე, რომ დამშვიდობებაც



ვერ მოვასწარი“, — ასე განაცხადა ამ არაკაცმა.

## „ოცნებამ“ სახელმწიფოს გადარჩენის ფსევდოლოზუნგით შეიწყალა და პოლიტპატიმრის გვირგვინით შემოსა კრიმინალი, მკვლელი, ვინმე ჟორიკა რურუა!

ხალხის აზრი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ აფასებენ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს მოქალაქეები

## სოციალური ქსელის ქართველი მომხმარებლების მიერ პოლიტიკური პროცესების რამდენიმე შეფასება



**„კომუნისტების დროს ქართველები მონები იყვნენ და მხოლოდ ახლა არიან ამაყები... თავისუფლები... ძლიერები... ერთიანები...“**

ვიცი, რომ, რასაც ახლა ვწერ, უამრავი წაიკითხავს და ძალიან მცირე გააკეთებს ლაიქს. „დაჟე“ შემიძლია ვთქვა, სახელებით ე.წ. „ნე ვიჟუს“ ვინც „იკადრებს“ და მაინც — საქართველომ მიაღწია განვითარების უმაღლეს დონეს.

მხოლოდ აქ, ჩვენთან, იბადებიან დიპლომიანი ბავშვები;

მხოლოდ აქ, ჩვენთან უხსნის ოცი წლის ახალგაზრდა სამოციან წლებში დაბადებულ ადამიანს, რა ურაპატრიოტებად ზრდიდნენ მშობლები შვილებს სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში;

მხოლოდ აქ შეიძლება უსასრულოდ გიმტკიცოს ადამიანმა, რომ კომუნისტების პერიოდში ქართველები მონები იყვნენ და მხოლოდ ახლა არიან ამაყები... თავისუფლები... ძლიერები... ერთიანები;

მხოლოდ აქ, საქართველოში, ცოცხლობს აზრი, რომ მხოლოდ რუსია მტერი და ამერიკელი, ევროპელი, თურქი, არაბი, ირანელი, აფრიკელი და ა.შ. უფალს შეუქმნია იმიტომ, რომ ქართული ჯიში, სისხლი და გენი გააკეთილშობილოს;

მხოლოდ აქ უხარია, ეამაყება უამრავ მშობელს, რომ მის შვილს ბოი-ფრენდი ჰყავს. აი იმ ჩამპალი სოციალიზმის დროს მხოლოდ სირს უხაროდა;

მხოლოდ საქართველოში და ზუსტად ამ დროში განათლების დონემ მიაღწია უმაღლეს ზღვარს, პატრიოტიზმმა — მწვერვალებს;

მხოლოდ აქ ამთავრებს უამრავი უმაღლესს და მხოლოდ აქ ტირის ხელისუფლება, კადრი არ მყავსო;

მხოლოდ აქ ხდიან იძულებულს ადამიანებს, წავიდნენ ემიგრაციაში და მხოლოდ აქ, ამ რეალობის შემქმნელები, კითხულობენ მერე გაოცებულები, — რატომ გარბიან უცხო ქვეყანაშიო;

მხოლოდ აქ შეუძლიათ ცინიზმით ცრემლების გადმოყრა, მხოლოდ აქაა წესი, მთავარია, უცხო ენა იცოდე, გამოცდილება ცოდნა და ადამიანობა საჭირო არაა.

მხოლოდ აქ სიშიშვლე მოდის ბოლო ძახილად ითვლება;

მხოლოდ აქ იბადებიან ევროპელებზე მეტად ევროპელები;

მხოლოდ აქ ამბობენ ხელისუფლებაში მყოფები მხოლოდ ერთ სიმართლეს: ჩვენ ვაშენებთ ჩვენი შვილების მომავალსო, და ნამდვილად აშენებენ, აშენებენ დაუსრულებლად;

მხოლოდ აქ ვერ ხვდებიან, წიგნის კითხვა არაა მხოლოდ საქმე, გააზრებაა საჭირო და ცოტა მეტი ზრდილობა. ყველა თაობა ქმნიდა და ქმნის კარგ და ცუდ მდგომარეობას და ლანძღვას მოუკელით, რადგან, სხვას კი არა, საკუთარ ჯიშსა და ჯილაგს აგინებთ და აფურთხებთ. არ ვიცი, რამდენად გასაგებად ან სრულყოფილად ვამბობ, მაგრამ, არავის არაფერი რომ არ შერჩება, ეს... ასეა, ბატონებო, დიახ ასეა.

**ზურა ოთარაშვილი**



**„სტალინის ბრალია, დღეს ერთმანეთს რომ ძიძგნით? სტალინი და საბჭოთა წყობა რომ არა, სამოთხეს ააშენებდით!“**

რას გევხართ ამ 30 წლის განმავლობაში მთელი საქართველო, თუ ხედავთ ნეტავ?!

სტალინის ბრალია, რომ დღეს ერთმანეთს ძიძგნით ხომ?

აბა, სტალინი და საბჭოთა წყობა რომ არა, სამოთხეს ააშენებდით!

ვაი, თქვენს პატრონს!

ახლა ვუყურებ, მარტვილში ყანდურებმა რომ ერთმანეთს დასცხეს და სადღაც იქ ილიჩმა აურია და მისი ბრალია ყველაფერი!

**ირაკლი ფირცხალავა**



**„არ მიყვარს ბილწსიტყვაობა, მაგრამ გამონაკლისის სახით შევნიშნავ, რომ დღეს ნაცები სიმწრით სისხლსა ფს@მენ“**

გავიარ-გამოვიარე ყველაზე ცნობილი ნაცების პროფილებზე. თვალშია საცემი, რომ იმ „ოპოების“ მიმართ, რომლებმაც მიშელის დოკუმენტს ხელი მოაწერეს და ცერემონიის დასრულების შემდეგ სალომეს მიერ გაშლილ სუფრაზე დარჩა, გამეფებულია ზიზღი, ხოლო ლაიკების რაოდენობა ყველაზე უფრო შეურაცხმყოფელი კომენტების ქვეშ დაითვლება ასეულობით.

არ მიყვარს ბილწსიტყვაობა, მაგრამ გამონაკლისის სახით შევნიშნავ, რომ დღეს ნაცები სიმწრით სისხლსა ფს@მენ და მერწმუნეთ, ეს მათი რეაქციის სრულიად ადეკვატური შეფასებაა.

სულ ქვეყანაზე ფიქრობენ ეს ჩვენი ვაშა-პატრიოტები, აი...

**გოგი ლორთქიფანიძე,**
მწერალი



**„რატომ არის ულტრალიბერალიზმი ჩვენი შვილების „აღზრდით“ დაკავებული?!“**

რატომ არის ულტრალიბერალიზმი ჩვენი შვილების „აღზრდით“ დაკავებული?! არსებობს ცნობილი გამოთქმა-

„თუ გინდა რომ მტერი დაამარცხო, აღუზარდე მას შვილები”.

(ერთ-ერთი ვერსიით, ის აღმოსავლური სიბრძნეა, მეორე ვერსიით კი, ის იეზუიტმა ბერებმა დაამკვიდრეს შუასაუკუნეებში)

აბა, გადავხედოთ სატელევიზიო თუ სხვა მეინსტრიმულ მედიასაშუალებებს — 95% სატელევიზიო თუ სხვა მედიასაშუალებების პროდუქტი ეკუთვნის დასავლურ, ულტრა-ლიბერალურ კომპანიებს თუ ქვეყნებს. ეს ეხება ყველა სფეროს- გასართობი, შემეცნებითი, პოლიტიკური, სოციალური და ა.შ.(ღამის შოუები, ნიჭიერები, ვოისები, მასტერშეფები)

აბა, ვნახოთ რა თემების პოპულარიზაციითა დაკავებული ულტრა-ლიბერლაური ლობის მიერ დაფინასებული არასამთავრობო ორგანიზაციებისექსუალური აღზრდა ელჵიპიტი, გენდერ-შმენდერი და ა.შ. 1991 წელს ულტრალიბერალურმა დასავლეთმა, საკუთარი თავი „გამარჯვებულად“ გამოაცხადა, მაგრამ საქმე ბოლომდე არ იყო მიყვანილი, ამიტომ ჩვენისთანა „იდეოლოგიური გაუგებრობების“ საბოლოოდ აღმოსაფხვრელად, ისინი გვიზრდიან შვილებს, რადგამ პოლიტიკურ დონეზე, მათ ვისაც ჯერჯერობით ბოლომდე ვერ ჩაგვსვევს საკუთარ დღის წესრიგში, აღგვიქვამენ მ ტ რ ა დ, ხოლო როგორც ზემოთ აღვნიშნე — თუ გინდა მტრის საბოლოოდ განადგურება, უნდა აღუზარდო მას შვილები(მომავალი). ეს გლობალური, ჰიბრიდული ომი ნაწილია..ყველა პოლიტიკური იდეოლოგია, საწყისშივე გულისხმობს ამ იდეოლოგიის გავრცელებას გლობალური მაშტაბით. ის კი ვინც ამას ეწინააღმდეგება, აღიქმება მტრად. **ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ შეფარული ომის, ცბიერი ჩანაფიქრის განხორციელებისთვის, ჩვენ თვითონვე ვუხდით ფულს მათ, ზემოთ მოყვანილო სატელევიზიო შოუების ლიცენზიების მოსაპოვებლად, ხოლო ასო-ების წარმომადგენლებ მთავრობის წევრებადაც ვნიშნავთ.**

სწორედ ამტომ არის, ულტრა-ლიბერალიზმი, ჩვენი შვილების „აღზრდით“ დაკავებული. კარგი იქნება, თუ მათ ამის საშუალებას არ მივცემთ.

**რევაზ კილასონია,**
საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი



**„დიდების 10 წუთის ხიბლში“ მყოფი „მეშკეტერების“ დაზაფრული გამოსვლები ტელეეთერებში უამრავ ადამიანს უქმნის პრობლემას**

უამრავ ადამიანს უქმნის უკვე პრობლემას ეს „დიდების 10 წუთის ხიბლში“ მყოფი „მეშკეტერების“ დაზაფრული გამოსვლები ტელეეთერებში!

რა ჯანდაბის ისეთი საგანგაშო ციფრები გაქვთ ასეთი, რომ აშინებთ ხალხს და ათას უბედურებას ჰპირდებით? სხვებზე არაფერს ვიტყვი და სადაც ის “შავი კაცი” და მისი ორგანიზაცია ზის, ის ქვეყანა, მსოფლიოს მასშტაბით ყოველდღიური და ჯერაც მოუხსნელი რეკორდით კოვიდინფიცირების მასშტაბების მხრივ, მსოფლიოში პირველ ადგილზეა და იქაც კი ლამის საერთოდ აუქმებენ რეგულაციებს.

შერეული ორთაბრძოლების „უმაღლესი ლიგის“ (UFC) პაექრობები, სავსე დარბაზში გაიმართება და თანაც ისე, რომ გულშემატკივრებს არ ექნებათ ვალდებულება პირბადეები გაიკეთონ ( ვისაც უნდა ეკეთება, ვისაც უნდა — არა)!

„გეიგეთ, სიმონ, რაცხა?!“

მეტი არაა ჩემი მტერი!მერე ბიზნესს რა ეშველება?

**დათო ხვადაგიანი,**
ჟურნალისტი



**„ოცნებამ“ სახელმწიფოს გადარჩენის ფსევდოლოზუნგით შეიწყალა და პოლიტპატიმრის გვირგვინით შემოსა კრიმინალი, მკვლელი, ვინმე ჟორიკა რურუა!**

„ქართული ოცნების“ მესიჯბოქსის შედევრად უნდა ჩაითვალოს გუშინ ატაცებული ფრაზა; „ხელმოწერით რევოლუციას გადაგვარჩინეს!“

ბატონო?.. ეგ. რომელ რევოლუციას? რუსთაველზე შეკრებილი ( ვერშეკრებილი) 500-1000 კაცი რომ გვპირდებოდა?.. თუ რაიმე იცოდნენ პოლიტმამებმა და ჩვენ ვერ ვიგრძენით? ისე, რევოლუცია ეწყობა ერთი მიზნით — ხელისუფლების დამხობის გზით ხელისუფლებაში მოსასვლელად! და რას მივაღწიეთ მიშელის (მაკეინის ბიჭის) დოკუმენტზე ხელმოწერით? იგივეს! დიახ, ნაცანალები დაბრუნდნენ ხელისუფლებაში (ჯერ ნაწილობრივ) და ოცნების ხელით დაამხეს ქართული სახელმწიფო. ღირსება აყარეს ქართველ ხალხს! შეურაცხყვეს კონსტიტუცია და ქვეყნის დამოუკიდებლობის დეკლარაცია! პარადოქსია?! დიახ!

„ქართულმა ოცნებამ“ სახელმწიფოს გადარჩენის ფსევდო ლოზუნგით, შეიწყალა და პოლიტპატიმრის გვირგვინით შემოსა კრიმინალი, მკვლელი, დამნაშავე ვინმე ჟორიკა რურუა!.. დიახ, სახელმწიფო მნიშვნელობის, უმაღლესი დიპლომატიის რანგში აიყვანა ჩვეულებრივი დამნაშავის პატიმრობა და სამარცხვინოდ მოიხარა ქედი კრიმინალური სამყაროს წინაშე და პარალელურად, თავისი დაგეშილ-დაფინანსებული ხალხის ხელით ტალახს ესვრის საკუთარი ეზო-კარისთვის, საკუთარი სოფლისთვის, საკუთარი ხეობისთვის, საკუთარი კუთხისთვის, ჩემი და შენი სამშობლოსთვის, ჩვენი მადლიანი მიწისთვის მებრძოლ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც, ამდენი ხანია, ერთი დასაბუთებული ბრალი ვერ წაუყენა! არადა, ესვრის ტალახს! ხან რუსეთის გაწვრთნილს ეძახის და ხანაც იმ ნაციონალებისას, რომელსაც თავად გაუწვა ხასასავით! პარადოქსია? დიახ! ვაი ჩვენ პატრონს?! აბა, რა!

**ხათუნა ხოფერია,**
ყოფილი პარლამენტარი



**„აკი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ პრინციპით არ გადააგდეს რუსი სკამიდან? და რა გამოვიდა?**

ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ აზრზე იმ ავბედითი დღის შემდეგ, როცა ჩემი თვალით შევხედე, ევროკავშირის პრეზიდენტის, შარლ მიშელის პირადმა წარმომადგენელმა, კრისტიან დანიელსონმა როგორ გაამწკრივა ქართველი „პოლიტიკოსები“ და სწორდი-სმენაზე ჩამოურაკრაკა, რისი გაკეთება ევალებოდათ, დოკუმენტზე ხელმოწერიდან დაწყებული, საპარლამენტო კომიტეტებში ადგილების განაწილებით დამთავრებული — ძალიან მრცხვენია! თან დამცირებული ვარ და თან — გაბრაზებული ოღონდ არ ვიცი, ვისზე უნდა ვიყო გაბრაზებული, ჩემს (ჩვენს) თავზე თუ სხვა, პოლიტიკაში უკვე კარგად „გამობრძმედილ“ ქართველებზე? სამწუხაროდ, ისინი ვერ ხედავენ თავის თავს გვერდიდან, ვერ ხედავენ, რა სასაცილოდ გამოიყურებიან თავის ხალხთან დესპოტი და მტერთან ენის მომჩლიქავი ე.წ. პოლიტიკოსები

ყველაზე მეტად კი იმან განმაცვიფრა, რომ თურმე პარლამენტში იმიტომ შედიან (ოპოზიციის წარმომადგენლებს ვგულისხმობ), რომ ამნისტიის კანონის ინიცირება მოახდინონ, რათა კანონიერად იყვნენ პატიმრობიდან განთავისუფლებულნი 20 ივნისის მოვლენების მონაწილენი — დანაშაულის ჩამდენნი!..

რა გამოდის? **თუ მომავალიც დანაშაულს ჩაიდენენ ოპოზიციის წარმომადგენლები (ან „მათი ხალხი“), კიდევ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას განახორციელებენ და ციხეში კარს მიღმა აღმოჩნდებიან, ისევ დაიხმარენ „ევროპას“, ისიც ამნისტიის მორიგი კანონის ინიცირებას მოსთხოვს ხელისუფლებას (ან ორივე ძალას ერთად) და დამნაშავეები ისევ თავისუფლებაზე გამოვლენ?!**

აკი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ პრინციპით არ გადააგდეს რუსი სკამიდან? და რა გამოვიდა? ახლა დასავლეთის კალთის ქვეშ არიან შემძვრალნი და წამდაუწუმ, ზარმაცი მოსწავლის დარად, მას სთხოვენ ყველანაირ დახმარებას, იმასაც, რასაც სხვების დახმარების გარეშე უნდა ართმევდნენ თავს?!.. ვაი, სირცხვილო, **ქართველებმა თავად ჩაუგდეს ქვეყანა ხელში გარეშე ძალებს და მერე რად გვიკვირს, ეს ძალები საქართველოს არა მარტო ტერიტორიას, არამედ ყველა რესურსს რომ განაგებენ? ასე ექცევიან კოლონიას! გამოვფხიზლდეთ, ხალხო!!**

**რუსუდან კოტაშვილი**
ge.news-front.info

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გრასა სიმბინე ისტორიაში ჯერჯერობით ერთადერთი ქალია, რომელიც ორი სახელმწიფოს პირველი ლედი იყო. სიმბინე პირველად 1976 წელს გათხოვდა, მისი რჩეული გახლდათ სამორა მაშელი — მოზამბიკის მომავალი პრეზიდენტი. წყვილის ქორწინებამ 11 წელს გასტანა, სანამ მაშელი ავიაკატასტროფაში დაიღუპებოდა. 1996 წელს ნელსონ მანდელამ, უკვე სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა, აღიარა, რომ გრასასთან, წლებია, სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა.**

# სახელმწიფოს პირველი პირების ყველაზე გახმაურებული ცოლქმრული ღალატი

**1999 წლის 3 მარტს მონიკა ლევინსკიმ ამერიკელი ხალხის წინაშე საჯაროდ მოიხადა ბოდიში იმ როლისთვის, რომელიც მან ითამაშა აშშ-ის პრეზიდენტ ბილ კლინტონის იმპიჩმენტის საქმეში. სახელმწიფოს პირველი პირის მიერ ცოლქმრული ღალატის ყველაზე ხმაურიანი სკანდალი კლინტონის სახელს უკავშირდება. მსგავსი შემთხვევები არც ისე იშვიათია. გაეცანით სახელმწიფოს პირველი პირების რომანტიკულ თავგადასავლებს.**




## ბილ კლინტონი და მონიკა ლევინსკი



აშშ-ის 42-ე პრეზიდენტსა და თეთრი სახლის სტაჟიორ ქალს შორის ინტიმური კავშირი 1998 წელს გამჟღავნდა, როცა **მონიკა ლევინსკის** დაქალმა **ლინდა ტრიპმა** გამოაქვეყნა სატელეფონო ჩანაწერი, რომელშიც მონიკა ლევინსკი ცოლიან ბილ კლინტონთან ინტიმური ურთიერთობის დეტალებზე ლაპარაკობდა. ბილ კლინტონმა მონიკა ლევინსკი 1996 წელს გაიცნო, როცა ქალი თეთრ სახლში სტაჟიორად მიიღეს. ინტიმური ურთიერთობა კი მაშინ დაიწყო, როცა მონიკამ პენტაგონში დაიწყო მუშაობა.

როგორც მოგვიანებით გამოძიებამ გაარკვია, ლევინსკი და კლინტონი ერთმანეთს თეთრ სახლში ხვდებოდნენ და, ძირითადად, ორალური სექსით იყვნენ დაკავებული. რამდენიმე შეხვედრა კი თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მოხდა. პროკურატურამ მოიპოვა არა მხოლოდ ლევინსკის აღიარებითი ჩვენება, არამედ მტკიცებულებაც — ლევინსკის კაბა, რომელზეც იყო პრეზიდენტის დნკ. დაკითხვებმა შეარყია ლევინსკის ფსიქიკური ჯანმრთელობა და ძალიან დააზარალა ბილ კლინტონის ოჯახური ურთიერთობები, აგრეთვე, რეპუტაცია. თვითონ კლინტონი კი შეეცადა, ხელი შეეშალა გამოძიებისთვის, მოგვიანებით ის ცრუ ჩვენების მიცემაში დაადანაშაულეს, 1998 წელს მის მიმართ იმპიჩმენტის პროცესის დაწყებას შეეცადნენ, მაგრამ სასამართლომ იმპიჩმენტის პროცესს მხარი არ დაუჭირა. კლინტონმა პრეზიდენტის პოსტი შეინარჩუნა, მაგრამ მისი რეპუტაცია ძალიან დაზიანდა.

1999 წელს მონიკა ლევინსკიმ გამოსცა მემუარები, რომელშიც აღწერა პრეზიდენტთან ურთიერთობა. ამ მემუარებმა ლევინსკის 2 მლნ-მდე დოლარი მოუტანა. 2004 წელს კი ლევინსკის წიგნის საპასუხოდ კლინტონმაც გამოსცა მემუარები, რომელშიც წერს, რომ მათი ურთიერთობა ლევინსკის ინიციატივით დაიწყო და მონიკამ წინასწარგანზრახვით შეაცდინა.



## დუაიტ ეიზენჰაუერი და კეი სომერსბი

სამხედრო გენერალსა და აშშ-ის 34-ე პრეზიდენტს რომანი ჰქონდა თავის მძღოლ **კეი სომერსბისთან.** ქალი ქვრივი იყო — ქმარი მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა. ამის შემდეგ კეიმ ეიზენჰაუერის მდივნად დაიწყო მუშაობა.

1990-იან წლებში გამოქვეყნდა დუაიტ ეიზენჰაუერსა და კეი სომერსის მიმოწერა: წერილებში აშშ-ის პრეზიდენტი ჰპირდებოდა ქალს, რომ ცოლს გაეყრებოდა. სომერსბიმ დაწერა რამდენიმე წიგნი, რომლებსაც დღემდე გამოსცემენ.



## პრინცი ჩარლზი და კამილა პარკერ-ბოულზი



უელსის პრინცსა და კამილას შორის სიმპათია გაჩნდა 1970-იანი წლების დასაწყისში, როცა ერთმანეთი წვეულებაზე გაიცნეს და ურთიერთობაც გააბეს. მაგრამ კამილა ჩარლზის ცოლობის შესაფერისი კანდიდატურა არ აღმოჩნდა — პრინცის მშობლებს თავიანთი შვილისთვის სხვა მეუღლე სურდათ. პრინცმაც აირჩია **დაიანა სპენსერი,** რომელიც მალე ყველას შეუყვარდა გაერთიანებულ სამეფოში. მაგრამ ჩარლზს ვერც ქორწინებამ და ვერც შვილებმა ვერ ათქმევინეს უარი სასიყვარულო თავგადასვლებზე. ის არც მალავდა ძლიერ ემოციურ კავშირს კამილასთან, რამაც იმოქმედა დიანაზე და მან მეუღლეს უპასუხა შემხვედრი განცხადებით, რომ ურთიერთობა ჰქონდა ცხენოსნობის ინსტრუქტორთან.

1997 წელს კი დაიანამ რომანი გააჩაღა ეგვიპტელი მილიარდერის შვილ **დოდი ალ-ფაიედთან.** იმავე წელს დაიანა და დოდი ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. სკანდალი ჩარლზისთვის სასიკეთოდ დასრულდა — 2005 წელს პრინცმა მაინც იქორწინა კამილაზე, რომელთანაც 40 წლის განმავლობაში ჰქონდა რომანი. სხვათა შორის, გაერთიანებული სამეფოს დედოფალი **ელისაბედ II** ქორწილში არ ყოფილა და წყვილი არ დაულოცია.



## ნელსონ მანდელა და გრასა სიმბინე

**გრასა სიმბინე** ისტორიაში ჯერჯერობით ერთადერთი ქალია, რომელიც ორი სახელმწიფოს პირველი ლედი იყო. სიმბინე პირველად 1976 წელს გათხოვდა, მისი რჩეული იყო **სამორა მაშელი** — მოზამბიკის მომავალი პრეზიდენტი. წყვილის ქორწინებამ 11 წელს გასტანა, მაშელის ავიაკატასტროფაში დაღუპვამდე.

1996 წელს ნელსონ მანდელამ, უკვე სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა, აღიარა, რომ გრასასთან, წლებია, სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა. ამ აღიარებამ გრასას დიდი პოპულარობა მოუტანა.

1998 წელს კი 52 წლის სიმბინე ცოლად გაჰყვა 80 წლის მანდელას, რომელმაც მას თავისი ცხოვრების სიყვარული უწოდა.





## ჯონ კენედი და მერილინ მონრო

პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელებისას, 1957 წელს, **ჯონ კენედი** უკვე იცნობდა **მერილინ მონროს.** ისინი ერთმანეთს გადასაღებ მოედანზე შეხვდნენ პირველად. მერილინის ვერშემჩნევა შეუძლებელი გახლდათ. კენედების წყვილი მონროს თაყვანისმცემელი იყო. მისი პლაკატი ჯონის კაბინეტში ეკიდა. ვითარება დაიძაბა 1962 წელს, როდესაც მონრომ დაურეკა **ჟაკლინ კენედის** და უთხრა, რომ სურს, იყოს პრეზიდენტის ცოლი. რთული წარმოსადგენია ემოციების ქარიშხალი, რომელიც განიცადა პრეზიდენტის კანონიერმა მეუღლემ, მაგრამ მან შეძლო ერთმნიშვნელოვნად ეპასუხა: „თუ გსურს მისი ცოლობა, მაშინ დაიკისრე ყველა მოვალეობა, მათ შორის პასუხისმგებლობა მის ყველა საქციელზე“. თავისი 45-ე წლისთავის საზეიმო წვეულებაზე ჯონ კენედიმ სწორედ მონრო მიიწვია, სადაც მან შეასრულა თავისი ცნობილი Happy Birthday Mr. President. მას შემდეგ, რაც ხმები რიგით ამერიკელებს შორისაც გავრცელდა, ჯონ კენედი თავს არიდებდა მერილინს, მაგრამ ქალი მაინც შეეცადა ურთიერთობის აღდგენას ჯონ კენედის ძმის, **რობერტის,** მეშვეობით, რომელთანაც ადრე ჰქონდა სასიყვარულო კავშირი.

1962 წლის აგვისტოში მერილინი და რობერტი ერთმანეთს შეხვდნენ. არავინ იცის, რაზე ისაუბრეს ყოფილმა საყვარლებმა, მაგრამ ერთი დღის შემდეგ მონრო გარდაცვლილი იპოვეს.




## ფრანსუა მიტერანი და ან პენჟო



საფრანგეთის პრეზიდენტი (1981-1995) განთქმული იყო სასიყვარულო თავგადასავლებით. ან პენჟო მისი „ოფიციალური“ საყვარელი იყო 1980-იანი წლების დასაწყისიდან. მათი ურთიერთობა ფრანსუას გაპრეზიდენტებამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. პენჟომ მიტერანისგან ქალიშვილი გააჩინა — მაზარინი. ფრანსუა მიტერანს დედა-შვილი ყველაფრით უზრუნველყოფილი ჰყავდა, მათ შორის — პრეზიდენტის რეზიდენციაში ბინითაც. საკვირველია, მაგრამ ფრანგი საზოგადოება შეეგუებული იყო ფრანსუა მიტერანის „ორმაგ ცხოვრებას“.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ქაოსმა, რომელშიც ახალი საფეხბურთო ტურნირის ორგანიზატორებმა სუპერლიგის შექმნა გამოაცხადეს, მათ წინააღმდეგ იმუშავა. სუპერლიგის რეგლამენტში იყო ბევრი თეთრი ლაქა, რომლებმაც წარმოაჩინეს, რომ აპრილის მესამე დეკადაში სუპერლიგის შექმნის შესახებ რელიზის გამოქვეყნება იმპულსური გადაწყვეტილება იყო. პროექტი ორ დღეში ჩაფლავდა.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სუპერლიგის შექმნა და... კრახი

**19 აპრილს საფეხბურთო საზოგადოება ააფორიაქა ცნობამ, რომ ევროპის 12-მა წამყვანმა კლუბმა განაცხადა ახალი კონტინენტური ტურნირის — სუპერლიგის — შექმნის შესახებ.**
**რევოლუციის ინიციატორები იყვნენ ფლაგმანი კლუბები ინგლისის („მანჩესტერ სიტი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ლივერპული“, „არსენალი“, „ჩელსი“, „ტოტენჰემი“), ესპანეთისა („რეალი“, „ბარსელონა“, „ატლეტიკო“) და იტალიის („ინტერი“, „მილანი“, „იუვენტუსი“) ჩემპიონატებისა. ბუნტის მთავარი მიზეზი ფინანსური გარდაქმნები იყო.**




## რა არის სუპერლიგა?

გამოქვეყნებული რელიზის თანახმად, ტურნირის მუდმივ მონაწილეთა რაოდენობა უნდა იყოს 15 და მათ უნდა დაემატოს კიდევ 5 გუნდი, რომლებიც შეიცვლებიან ხოლმე. ისინი უნდა დაყოფილიყვნენ 2 ჯგუფად, თითოეულში 10 მონაწილით, და ეთამაშათ ორწრიანი ტურნირი, რომელიც აგვისტოში დაიწყებოდა. ფლეიოფებს პირდაპირ ითამაშებდნენ ჯგუფებიდან სამ-სამი საუკეთესო გუნდი, ხოლო მე-4 და მე-5 ადგილებზე გასულები გაითამაშებდნენ ფლეიოფში მოსახვედრ 2 საგზურს. მეოთხედფინალური და ნახევრადფინალური დაპირისპირებები 2-მატჩიანი იქნებოდა. ფინალი კი მაისის ბოლოს გაიმართებოდა.

სუპერლიგის დამფუძნებელი და პრეზიდენტია **ფლორენტინო პერესი** („რეალი“ მადრიდი), მოადგილეები — **ჯოელ გლეიზერი** („მანჩესტერ იუნაიტედი“) და **ანდრეა ანიელი** („იუვენტუსი“).

ცნობილია, რომ ტურნირის გენერალური სპონსორი უნდა ყოფილიყო გიგანტი ბანკი JP MORGAN-ი, რომელიც გაიღებდა 4,6 მლრდ გირვანქა სტერლინგს. ბანკი ჩადებულ ფულს ტელეტრანსლაციების გაყიდვით მიღებული შემოსავლებით დაიბრუნებდა. ახალი ტურნირი უნდა დაეფინანსებინათ, აგრეთვე, Key Capital Partners-ს და DAZN-ს.

15 დამფუძნებელი კლუბი მიიღებდა 3,1 მლრდ გირვანქა სტერლინგს. კლუბები ამ თანხას დახარჯავდნენ ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.



ფლორენტინო პერესი

## რა სურთ ტოპკლუბებს?

სუპერლიგის შექმნის მიზეზი პროზაულია — ფული. წამყვან კლუბებს, რომლებიც გამოდიან უეფას ეგიდით, არ სურთ ბილეთებისა და ტრანსლაციებიდან შემოსული თანხების გაყოფა ღარიბი კლუბებისთვის, აგრეთვე, თვით უეფასთვის. სუპერლიგის შექმნას ბიძგი მისცა კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ, რომლის გამოც გრანდებმა დიდი ფინანსური დანაკარგები განიცადეს. **ახალი ტურნირის პლუსი იქნება მატჩების ტელეტრანსლაციების გაყიდვის უფლება, რომელიც 4 მლრდ ევროდ შეფასდა. ეს თითქმის 2-ჯერ მეტია ჩემპიონთა ლიგის მატჩების ტრანსლაციიდან მიღებულ თანხაზე. ამასთანავე, თუ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული იღებს 100-120 მლნ ევროს, სუპერლიგის საუკეთესო კლუბი მიიღებს 250 მლნ-ს.**







## როგორია უეფას რეაქცია?

ევროპის საუკეთესო კლუბების მიერ ინიცირებული რევოლუცია თარილის მიხედვით საეჭვოდ დაემთხვა უეფას მიერ გამოცხადებულ ჩემპიონთა ლიგის რეფორმებს. 2024-25 წლების სეზონში 32-ის ნაცვლად 36 კლუბი იასპარეზებს.

ტურნირის ჯგუფური ფორმატი შეიცვლება ერთიანი ლიგით, რომელშიც 8 საუკეთესო კლუბი გავა ფლეიოფში, დანარჩენი საგზურების მფლობელებს კი სხვა კლუბები ერთმანეთთან მატჩებში გამოავლენენ. **რეფორმების შედეგი იქნება მეტი მატჩი, მეტი ძლიერი კლუბი და მეტი მოგება.**

გრანდების მხრიდან გამოვლენილ რეპორტაჟზე უეფას რეაქცია იყო მკაცრი — ის გამოაცხადა ასოციაციის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ჩეფერინმა.** მისი თქმით, ჩემპიონთა ლიგა ზემოხსენებული 12 კლუბის გარეშეც მშვიდად იცხოვრებს, ამბოხებულებს კი სანქციები უნდა დაუწესდეს — აეკრძალოთ გუნდებსა და მოთამაშეებს უეფას ეგიდით ჩატარებულ ტურნირებში მონაწილეობა და შეეზღუდოთ ტრანსფერები. **უეფას მხარი დაუჭირეს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ, პრემიერლიგამ, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ, ლა ლიგამ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ და სერია A-მ. მათ, ყველამ, სხვადასხვა ფორმირებით დაგმეს სუპერლიგის პროექტი, რამდენიმემ ამბოხებული კლუბების ეროვნული ჩემპიონატებიდან ჩამოშორებაც კი მოითხოვა.**

## პროექტმა მხოლოდ ორ დღეს იცოცხლა

საფეხბურთო სუპერლიგამ მალე უამრავი მტერი შეიძინა. ბევრ გულშემატკივარსა და სპეციალისტს ინგლისის პრემიერლიგა ვერ წარმოუდგენია „დიდი ექვსეულის“ კლუბების გარეშე. ბევრმა მიიჩნია, რომ პროექტი შექმნილია არა მაყურებლის ინტერესის დასაკმაყოფილებლად, არამედ მხოლოდ მოგების მისაღებად, მესამენი აღშფოთებულნი იყვნენ პატიოსანი და თანასწორუფლებიანი თამაშის პრინციპების უგელებელყოფით. სუპერლიგის შექმნის ოფიციალურად გაცხადებამდე უეფას თავიანთი ლოიალურობა დაუდასტურეს გერმანულმა კლუბებმა — **„ბავარიამ“** და **„ბორუსიამ“,** აგრეთვე, ფრანგულმა **პსჟ**-მ, რამაც ამბოხებულთა რიგებში არეულობა გამოიწვია.

20 აპრილს ნისლიან ალბიონზე აჯანყდნენ გულშემატკივრები: ინგლისის პრემიერლიგის გუნდების, „ჩელსისა“ და „ბრაიტონის“, მატჩის წინ „ჩელსის“ სუპერლიგაში გადასვლაზე თანხმობით განაწყენებულმა გულშემატკივრებმა სტიქიური მიტინგი მოაწყვეს სტადიონთან. ვითარება ისე დაიძაბა, რომ კლუბის ლეგენდა **პეტერ ჩეხი** იძულებული შეიქნა, მათ წინაშე გამოსულიყო და „ცხელი თავები“ დაეშოშმინებინა. ამ ინიციდენტის ამოწურვისთანავე „ჩელსიმ“ და „მანჩესტერ სიტიმ“ განაცხადეს, რომ უარს ამბობენ სუპერლიგაზე. ცოტა ხნის შემდეგ ანალოგიურად მოიქცა ინგლისის კიდევ 4 კლუბი. 21 აპრილს კი სუპერლიგაში სულ 5 გუნდი დარჩა (12-დან). სუპერლიგის რეაქცია დაშლაზე ასეთი იყო: „ჩვენ გთავაზობთ ახალ ევროპულ ტურნირს, იმიტომ, რომ ამჟამად არსებული სისტემა არ მუშაობს. ჩვენი წინადადება მიმართულია იქით, რომ სპორტი განვითარდეს და ფინანსური სტაბილურობა ჰქონდეს საფეხბურთო პირამიდას, დაეხმაროს მას ფინანსური სირთულეების დაძლევაში, რომელიც გამოიწვია კორონავირუსის პანდემიამ. ახალი ტურნირი, აგრეთვე, უზრუნველყოფს მეტ სოლიდურ შემოსავალს საფეხბურთო სისტემის მონაწილეებისთვის“.

ქაოსმა, რომელშიც ახალი საფეხბურთო ტურნირის ორგანიზატორებმა განაცხადეს სუპერლიგის შექმნაზე, მათ წინააღმდეგ იმუშავა. სუპერლიგის რეგლამენტში იყო ბევრი თეთრი ლაქა, რომლებმაც წარმოაჩინეს, რომ აპრილის მესამე დეკადაში სუპერლიგის შექმნის შესახებ რელიზის გამოშვება იმპულსური გადაწყვეტილება იყო, **აშკარაა, რომ გრანდები შეეცადნენ, კუნთები აეთამაშებინათ უეფას წინაშე, რათა მისგან მეტი სარგებელი მიეღოთ. ამ დემარშის შემდეგ დაჯდება თუ არა უეფა მოლაპარაკების მაგიდასთან ევროპის წამყვან კლუბებთან, დრო გვიჩვენებს.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტანო პერესი დარწმუნებულია, რომ პროექტი სუპერლიგა საბოლოოდ წარმატებით განხორციელდება და სანქციებს ვერც ერთ კლუბს ვერ დაუწესებენ.**

**ნ.კ.**

# 9 მაისი — დიადი გამარჯვების დღე

## დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან 76 წელიწადი გავიდა



**71 წლის წინათ, 1945 წლის 8 მაისს, გერმანიის დედაქალაქ ბერლინის რაიონ კარლჰორსტის შენობაში, რომელშიც განლაგებული იყო საბჭოთა არმიის მე-5 არმიის შტაბ-ბინა, ცენტრალური ევროპის დროით 22 საათსა და 43 წუთზე (მოსკოვის დროით — 9 მაისს, 00 საათსა და 43 წუთზე) ხელი მოეწერა ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის აქტს.**

ამ ისტორიული დოკუმენტით დასრულებულად გამოცხადდა სამხედრო კონფლიქტი გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, რაც, აგრეთვე, ნიშნავდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას ევროპის კონტინენტზე.

ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი და მასშტაბური ომი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

აღსანიშნავია, რომ **საბჭოთა კავშირმა, მისმა მრავალეროვანმა მოსახლეობამ მთავარსარდალ იოსებ სტალინის მეთაურობით, ომის უმძიმეს პირველ თვეებში შექმნო სახალხო მეურნეობის გადაწყობა ომის ყაიდაზე, სამხედრო ტექნიკისა და მეომრების მობილიზაცია, ქვეყანაში შემოჭრილი ჰიტლერელების შეტევის მოგერიება, შემდეგ იერიშზე გადასვლა და მტრის საკუთარ ბუნაგში — ბერლინში მოხრჩობა.**

გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს მოსახლეობამაც. საქართველოდან ომში გაიწვიეს 700 ათასამდე მებრძოლი, მათგან 300 ათასი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მსხვერპლი, პროცენტული შეფარდებით, არ გაუღია არც ერთ ქვეყანას, რომელთა ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები. ქართველი მეომრები გმირულად იბრძოდნენ **კავკასიის მისადგომებთან, რუსეთის ევროპულ ნაწილში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ჩეხეთში, პოლონეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, მონაწილეობდნენ ბერლინის შტურმში.**

უდიდესი განსაცდელის ჟამს ქართველმა ხალხმა, ისევე, როგორც მოწინავე საბჭოთა კავშირის სხვა ერებმა, გამოავლინა გმირული სული, გამძლეობა, თავდადება, გამარჯვებისადმი რწმენა.

165 ქართველ მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 244 700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა სსრკ-ის ორდენებითა და მედლებით.

9 მაისი — გამარჯვების დღე — უდიდესი დღესასწაულია. მას პატივს სცემენ და მოწიწებით აღნიშნავენ მსოფლიოს იმ ქვეყნებში, რომლებიც დაზარალდნენ ფაშიზმისგან. მიმდინარე წელს გამარჯვების დღე 76-ედ აღინიშნება. გამარჯვების პირველი დღე გრანდიოზულად იზეიმა საბჭოთა კავშირმა, ყველა ქალაქში გაიმართა სახალხო სეირნობები, მიტინგები, უკრავდნენ ორკესტრები, გამოდიოდნენ თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობები. ამ ისტორიულ დღეს მოსახლეობას მიმართა ფაშიზმზე გამარჯვების სულისჩამდგმელმა იოსებ სტალინმა. მოგვიანებით მოსკოვის ცა გაანათა გამარჯვების სალუტმა — ათასობით საზენიტო იარაღიდან გასროლილმა 30-მა ზალპმა, შემდეგ კი ათობით თვითმფრინავმა ცაზე ფერადი გირლანდები გამოსახა.

გამარჯვების დღესასწაული, რომელიც ერთობით მოიპოვეს საბჭოთა ხალხებმა, ყოველთვის დარჩება ისტორიაში და შეგვახსენებს იმ სისხლიმღვრელ მოვლენებსა და ფაშისტი დამპყრობლების განადგურებას.

1941-45 წლების ომი საბჭოთა ხალხებისთვის, მათ შორის ქართველებისთვის, დიდი სამამულო ომი იყო. მადლობა დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, სამარადისო დიდება დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველ მეომრებს!

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# 3-12 მაისის ჩათვლით მუნიციპალური ტრანსპორტი არ იმოძრავებს, სადღესასწაულო დღეებში კი სასაფლაოებზე გასვლა შეიზღუდება



**3-12 მაისის ჩათვლით საქართველოს მასშტაბით მუნიციპალური ტრანსპორტი არ იმოძრავებს. სადღესასწაულო დღეებში კი სასაფლაოებზე გასვლა შეიზღუდება. ეს გადაწყვეტილება უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ 26 აპრილს გამართულ სხდომაზე მიიღო, რომელიც პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართა.**

პრემიერმინისტრის დავალებით, ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა გეგმა, როგორც დამატებითი საწოლების მობილიზების, ისე მედიკამენტების, ჟანგბადის თუ ტესტების მარაგების მართვის კუთხით. აღინიშნა, რომ ყველაზე ცუდი სცენარისთვისაც კი სისტემა მზად არის, ვითარება კონტროლს ექვემდებარება და მთავრობა სრულად მართავს პროცესს. რაც შეეხება აღდგომის დღესასწაულს, საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებით, სადღესასწაულო ლიტურგია ტაძრებში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალური დაცვით ჩატარდება. ტაძრებში უზრუნველყოფილი იქნება გახმოვანების სისტემა, დაცული იქნება სოციალური დისტანცია და პირბადის მოხმარების წესი.

ამასთანავე, გამონაკლისის სახით, სააღდგომო ლიტურგიისას გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა მხოლოდ ერთი ღამით იმოქმედებს — 1 მაისის 23:00 საათიდან 2 მაისის 04:00 საათამდე. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სადღესასწაულო დღეებში სასაფლაოებზე გასვლა შეიზღუდება. ჩაიკეტება სასაფლაოებთან მისასვლელი გზები. 4-11 მაისი საქართველოში გამოცხადებულია უქმე დღეებად, რაც მობილობის შემცირებას ისახავს მიზნად. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 3-დან 12 მაისის ჩათვლით შეიზღუდება მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა. პარალელურად, ვაქცინაციის ეროვნული გეგმის შესაბამისად, აქტიურად გაგრძელდება ვაქცინაციის პროცესი.

lpn.ge



# მოლდოვაში «სპუტნიკ V»-ის პირველი პარტია შეიტანეს

**რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო თავდაცვის, საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების ლიკვიდაციის საკითხების სამინისტროს სპეციალურმა თვითმფრინავმა კიშინიოვის საერთაშორისო აეროპორტში რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის პირველი პარტია (200 ათასი დოზა) ჩაიტანა.**

ვაქცინის მოლდავეთში ჩატანა ორგანიზებული იყო მოლდოვის ექსპრეზიდენტის, სოციალისტების პარტიის თავმჯდომარის, **იგორ დოდონის,** მიერ.

News-front.into-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით
მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



# აზერბაიჯანში «გაზ»-ის მარკის სატვირთო ავტომობილების ქარხანა ამუშავდა

**20 აპრილს გაიმართა „ჯგუფ ГАЗ“-ისა და „აზერმაშის“ ერთობლივი საავტომობილო ქარხნის გახსნის ცერემონია. ქარხანა გამოუშვებს კომერციული და სპეციალური დანიშნულების ავტომობილებს (GAZet-Nex-სა და GAZon-Nexi-ს).**

„ჯგუფ ГАЗ“-ის ორგანიზებით, ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მოხდა „აზერმაშისთვის“ საჭირო კომპლექსების მიწოდება, საწარმოს სპეციალისტების სწავლება და სერტიფიკაცია, აუცილებელი დოკუმენტებისა და ლიცენზიის გადაცემა.

საწარმო წელიწადში გამოუშვებს 1500 სატვირთო და სპეცდანიშნულების ავტომობილს, რომლებსაც უცხოეთშიც გაყიდის, საწარმოში დასაქმებულია 100 ადამიანი.

sdelanounas.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**

# საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნებია: თურქეთი, რუსეთი და ჩინეთი

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნებია: თურქეთი, რუსეთი და ჩინეთი.**

„2021 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 71,5 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: **თურქეთი (343.3 მლნ დოლარი), რუსეთი (220.4 მლნ დოლარი) და ჩინეთი (182.8 მლნ დოლარი).** უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2021 წლის იანვარ-მარტში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 168.5 მლნ აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8,6% შეადგინა; მეორე ადგილზეა **სპილენძის მადანი და კონცენტრატები** — 145.8 მლნ დოლარით (იმპორტის 7,5%); ხოლო მესამე ადგილზეა ნავთობი და ნავთობპროდუქტები — 141.9 მლნ დოლარით (იმპორტის 7,3%)“, — ნათქვამია საქსტატის ინფორმაციაში.

bpn.ge

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894